ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოთა ვადაჭკორია

ქუთაისის 1921 წლის 17- 18 მარტის საზავო მოლაპარაკება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

შოთა ვადაჭკორია

ქუთაისის 1921 წლის 17- 18 მარტის საზავო მოლაპარაკება

UDC(უაკ) 94(479.22)‘1921“
ვ–126

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოჩენილია დემოკრატიული საქართველოსა და გასაბჭოებული საქართველოს დელეგაციების წარმომადგენელთა დისკუსიის მიმდინარე პროცესი– ბათუმის ოლქის შენარჩუნების მექანიზმის შემუშავებასთან მიმართებაში. წინა პლანზეა წამოწეული გრ.ლორთქიფანიძის დამსახურება საქართველოს რევკომის მესვეურთა უსაფუძვლო მოთხოვნების დასაბუთებული ფორმით უარყოფაში და ქვეყნისთვის სასარგებლო შეთანხმების მიღებაში. პირველად ქვეყნდება გრ.ლორთქიფანიძისა და მ.ორახელაშვილის 1918 წლის 16 მარტის სატელეფონო საუბრის სტენოგრამა, რომელიც საფუძვლად დაედო ქუთაისის 17- 18 მარტის მოლაპარაკების დაწყებას. აქვეა დაბეჭდილი ამ მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშის სრული ტექსტი. იგი დღემდე საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარებისთვის უცნობი იყო.

К 324.603

რედაქტორი პროფ. ანზორ სიჭინავა

რეცენზენტები: პროფ. კოკა კუტუბიძე
პროფ. ირაკლი კალანდია

წიგნი დაიბეჭდა ავტორის ხარჯით

© „სამშობლო“
თბილისი
2019

ISBN 978-9941-8-1232-3

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის 1921 წლის 17- 18 მარტის მოლაპარაკება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ისტორიაში ყველაზე ურთულესი დღეები 1921 წლის თებერვალ- მარტი იყო. მხედველობაში მაქვს: 1)საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან გადახდილი უმძიმესი ბრძოლები; 2)გენერალ გ.კვინიტაძის მიერ 1921 წლის 24 თებერვალს გამოცემული ბრძანება № 131, რომლის ძალითაც ქართულმა საჯარისო შენაერთებმა თბილისი დატოვა; 3)სურამის უღელტეხილთან განცდილი მარცხი და საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასთან მიმართებაში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური სიტუაცია; 4)ოსმალეთის მხრიდან ქართული ტერიტორიების მიტაცების, კერძოდ, ბათუმისადმი დაპატრონებისა და ოსმალეთისადმი მიერთების მცდელობა. მართალია, ეს საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაო სისრულითაა შესწავლილი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით საქართველოს რევკომისა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის მოლაპარაკებისადმი ქართველ მკვლევართა დამოკიდებულებაზე. დღევანდელი მონაცემებით ამ მოლაპარაკების მხოლოდ 17 პუნქტიანი შეთანხმების საბოლოო ტექსტია დაბეჭდილი.[1] რაც შეეხება მოლაპარაკების სტენოგრაფიულ ანგარიშს, მისი პუბლიკაცია დღემდე არ განხორციელებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმავე მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშიდან გრ.ლორთქიფანიძისა და მ.ორახელაშვილის საუბრის სამიოდე მცირე ამონარიდს, რომელიც ჟურნალმა „კავკასიონმა“ გამოაქვეყნა.[2] აღნიშნული მასალით ისარგებლა ყველა იმ მკვლევარმა, რომლებიც საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საჯარისო შენარერთების საბრძოლო მოქმედებების ფონზე, ქუთაისის მოლაპარაკებას შეეხო. მხედველობაში მაქვს ლ.ურუშაძის,[3] და ლ.თოიძის[4] ნაშრომები. მათგან განსხვავებით, უშუალოდ საარქივო დოკუმენტით შ.ვადაჭკორიამ ისარგებლა.[5]

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქუთაისის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიში, ლევილიდან და ჰარვარდიდან ჩამოტ-

ანილ საარქივო მასალებშია დაცული და აჟამად საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება. იგი ხელის მანქანაზე ნაბეჭდ 51 გვერდს შეიცავს. მართალია ტექსტის ზოგიერთი ადგილები დაზიანებულია (გაფერმკრთალებულია) და ძნელად იკითხება, მაგრამ ჩემი კოლეგების დახმარებით, მისი გაშიფრვა შესაძლებელი გახდა. ამ მხრივ განსაკუთრებული თანადგომა გამიწია საარქივო დოკუმენტების საუკეთესო მცოდნემ და ძნელად ამოსაკითხი ტექსტების გამშიფრავმა ბატონმა **ანზორ სიჭინავამ,** რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

საქართველოს შევუნარჩუნოთ ბათუმის ოლქი და მომავალი თაობების წინაშე ვიყოთ პირნათელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის წინააღმდეგ დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა (1921 წლის 16 თებერვალი) და ქართული საჯარისო შენაერთების მარცხმა, მეზობელ ქვეყნებს საქართველოს ტერიტორიების მიტაცების რეალური შანსი გაუჩინა. ამ მხრივი იმ ეტაპზე ოსმალეთი აქტიურობდა. იგი საბჭოთა რუსეთის მმართველ წრეებთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა. მხედველობაში მაქვს: 1)საქართველოს საჯარისო შენაერთების მიერ 18- 22 თებერვალს XI არმიის ყველა შემოტევის წარმატებით მოგერიება; 2)ქართული ჯარის კონტრშეტევაზე გადასვლა და დამპყრობლებისადმი გამანადგურებელი დარტყმის მიყენება; 3)ოსმალეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მთავრობისადმი 22 თებერვალს წაყენებული ულტიმატუმი– არდაგანისა და ართვინის ოლქებს ქართველები უბრძოლველად თუკი არ დატოვებდნენ, ოსმალები საომარი მოქმედებების სამხრეთიდან დაწყებით იმუქრებოდნენ.

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების თავდასხმით შექმნილ უმძიმეს ფონზე, ოსმალეთმა სამხრეთ- დასავლეთიდან საქართველოს ხელისუფლებას ახალი პრობლემები შეუქმნა. ამ ქმედებით, საბჭოთა რუსეთის XI არმიას ძალთა გადაჯგუფებისა და საბრძოლო ოპერაციების განახლების შესაძლებლობები მისცა.[6] ასეთ უმძიმეს სიტუაციაში ჩავარდნილი საქართველოს მთავრობა, იძულებული გახდა აღნიშნული ოლქებიდან ჯარის ნაწილები გამოეყვანა. ოსმალები ამითაც არ დაკმაყოფილდა და ახალციხე- ბათუმის დაპატრონებას შეეცადა. საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ- დასავლეთის ნაწილი დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თუ რა მძიმე სიტუაცია იყო შექმნილი ამ თვალსაზრისით, ეს მომენტი კარგადაა წარმოჩენილი გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში“ დაბეჭდილ თ.ღლონტის პუბლიკაციაში– „ქემალის სცენები.“ მასში მოტანილი ძირითადი დებულებები შემდეგი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1)საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობა, მეზობელმა ერებმა საქართველოს იურიდიულად წაშლად და მის აღსასრულად აღიქვა; 2)რამდენადაც საქართველო, რუსეთის განაპირა პროვინციად და სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა მიიჩნიეს, ქართველთა ისტორიულ სხე-

ულზე ქირურგიული პროცედურების ჩატარება და მათთვის მისაღები კიდურის ჩამოჭრა- მიტაცება, არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე მოსასწრებად ჩათვალეს.

ყოველივე აღნიშნულს უკეთებდა რა ანალიზს, თ.ღლონტი გულისტკივილით დასძენდა: „ჩვენ მოწმე ვართ საქართველოს საზღვრებზე ჩვენი მტრების დიპლომატიური და მილიტარული დემონსტრაციებისა და ამ სცენარებმა ყველას დაგვანახა, რომ საქართველოს რევკომის ხალხს უცქერიან როგორც ყოვლად უძლურ ძალას, რომლის გამოც ყველას შეუძლია საქართველოდან ყველაფრის წაგლეჯა თუ ამას მოახერხებს დროზე მოსწრებით.“[21]

ამ ამონაწერის მიხედვით, მეზობელი რესპუბლიკის ხელისუფალთა წარმომადგენლები საქართველოს რევკომს დაუძლურებულ მმართველ ორგანოდ აღიქვამდა. ამ ფაქტის თავიანთ სასარგებლოდ– საქართველოს ტერიტორიებთან მიმართებაში არსებული პრეტენზიების გასანაღდებლად გამოყენებას ცდილობდნენ. ანგარიშს არ უწევდნენ: ა)საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მესვეურებთან ადრე გაფორმებულ და რატიფიცირებულ ხელშეკრულებებს; ბ)თითოეული მათგანის მტაცებლურ მიზნებთან მიმართებაში, ქართველი ერის დამოკიდებულებას. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოკვეთილი პოზიცია დააფიქსირა გაზეთმა „სოციალისტ- ფედერალისტმა“ სტატიაში– „ტფილისი, ხუთშაბათი, მარტის 17.“ ეს პუბლიკაცია ახალ ხელისუფლებას გამაფრთხილებელი ფორმით შეახსენებდა: 1)ბორჩალოს მაზრის მთლიანად თუ არა, ნაწილის მისაკუთრებას სომხეთი შეეცდებოდა; 2)ახალციხე-ახალქალაქისა და ბათუმის ოლქებზე ხარბი თვალები ოსმალებს ჰქონდა მიპყრობილი; 3)აფხაზი სეპარატისტები აფხაზეთის საქართველოდან ჩამოგლეჯას შეეცდებოდნენ; 4)გორის მაზრიდან ოსები, ოსეთის შექმნას მოისურვებდნენ. ე.ი. რაც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ვერ შეძლეს, იმის აღსრულების რეალური პირობები საბჭოთა ხელისუფლებაში დაინახეს, თავიანთი სურვილები და მისწრაფებები კანონიერი მთავრობის დამხობისთანავე დაუფარავად გამოამჟღავნეს. აღნიშნულიდან გამომდინარე იმავე პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ახალმა მთავრობამ ამ საკითხს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს და ფხიზლად სდარაჯობდეს ქართველთა ტერიტორიის მთლიანობას. არაფერი ისე არ დასცემს ახალ ხელისუფალთა ავტორიტეტს ხალხის თვალში, როგორც ერთი გოჯის ოდენი საქართველოს მიწაწყლისა სხვისთვის დათმობა. თანამედროვე ქართველობა, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა არ შეურიგდება თავის სამშო-

ბლოს დაკუწვას. მომავალი თაობაც წყევლა-კრულვით მოიხსენიებს საქართველოს ყოველგვარ მთავრობას, რომელიც მისი მთლიანობისთვის თავგამოდებით არ იბრძოლებს.“[8] ამ შემთხვევაში პუბლიკაციის ავტორმა ნ.ჟორდანიას მიერ ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 15 თებერვლის სხდომაზე ბრესტის ზავის პირობებთან მიმართებაში წარმოთქმული სიტყვის ძირითადი დებულება გაიმეორა. „ისეთ ზავს, როგორსაც ბოლშევიკები გვთავაზობენ– ამბობდა ნ.ჟორდანია– ჩვენ ხელს არ მოვაწერთ. უმჯობესია ადგილზევე დავიხოცოთ ვინემ თავი მივცეთ შთამომავლობას სამუდამო წყევლა- კრულვისათვის.“ თუკი ამ პრინციპით მივუდგებით გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან ქართველთა ისტორიულ ტერიტორიებთან მიმართებაში დამოკიდებულებას, ჩვენს წინაშე პრინციპულად დაისმება საკითხი: იმსახურებენ თუ არა ისინი– ნ.ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ- შთამომავლობისგან „სამუდამო წყევლა-კრულვას?“ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კითხვა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერებსაც აწვალებდა. მათი აზრით, გასაბჭოებული საქართველოს მთავრობა, მაქსიმალურად შეეცდებოდა საქართველოს ტერიტორიების არსებულ საზღვრებში არა მარტო შენარჩუნებას, არამედ იმ განუყოფელი ნაწილების დაბრუნებაზედაც იზრუნებდა, რომლის შემოერთება საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ ვერ შეძლო. ამასთან დაკაშირებით გაზეთი „სოციალისტ- ფედერალისტი“ ხაზგასმით წერდა: „ჩვენი ახალი მთავრობა საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას უნდა დაეყრდნოს და ამ ფარგლებში ახლავე შემოხაზოს საბჭოთა საქართველოს ტერიტორია. დანარჩენი მიწა-წყლის შემოერთება მთავრობის მორიგი საკითხი იქნება. ტერიტორიის საკითხის ასე მოგვარებით, საბჭოთა მთავრობა თავის მიზანს შეასრულებს, ქართველი ხალხის ეროვნულ საჭიროებას დააკმაყოფილებს და მდგომარეობასაც განამტკიცებს.“[9]

ჩემს მიერ მოტანილი ეს ამონაწერი ქართველი ბოლშევიკებისადმი განსაკუთრებული იმედითაა დამძიმებული. როგორც სჩანს, გაზეთის რედაქტორი და იმავე სტატიის ავტორი მოსკოვის რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა. არადა იმავე ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (არტაანისა და ართვინის ოლქები) ოსმალეთს გადაეცა. რაც შეეხება ბათუმის ოლქს, იმავე ხელშეკრულების მეორე

მუხლით, ოსმალეთი სიუზერენიტეტის უფლებით უთმობდა საბჭოთა საქართველოს.[10] ისიც ცნობილია, რომ ამ მოლაპარაკებაში საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელის სახელით მიხა ცხაკაია მონაწილეობდა. მანვე მოაწერა ხელი მოსკოვის აღნიშნული მოლაპარაკების იმ ოქმს, რომელიც საქართველოს საზღვრებს ეხებოდა. ამის შესახებ **მ.ორახელაშვილმა 16 მარტის** ღამის სატელეფონო საუბარში **გრ.ლორთქიფანიძეს** განუცხადა: **„რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციაზე მოსკოვში, სრულიად გადაწყვეტილია საკითხი, რომ ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საქართველოს საზღვრებში. შეთანხმებაზე ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელს <u>მიხა ცხაკაიას</u>.“**[11]

ამ აღიარებით, მ.ორახელაშვილმა საბოლოოდ დაასამარა მემარცხენე სოცციალისტ- ფედერალისტთა ლიდერების იმედი ოსმალეთის ალაგმვისა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების თუნდაც მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში შენარჩუნებაზე, რომელსაც 1921 წლის 22 თებერვლამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება აკონტროლებდა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სოციალისტ- ფედერალისტების ცვალებადობა აშკარად წარმოჩნდა იმავე გაზეთის მომდევნო ნომრებში დაბეჭდილ პუბლიკაციებში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პეტრე მირიანაშვილის სტატია „მოსკოვის კონფერენცია და საქართველო.“ პუბლიკაციის ავტორის მტკიცებით, მოსკოვის კონფერენციაზე ოსმალეთი „ძლევამოსილი გამოვიდა და ანტანტის იმპე-რიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი თავად გადაიქცა იმპერიალისტად, და კინაღამ მთლიანად აღიდგინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება... დღეს კი მოსკოვის კონფერენციის დასტურით ბათუმის ოლქს ჩამოეჭრა ართვინის მზრა, რომელიც არტაან- ოლთისყარსის ოლქებითურთ გადავიდა ოსმალეთის ხელში და მასვე მიეცა უფლება ბათუმის პორტით სარგებლობისა თავისუფალი ტრანზიტისათვის... მოსკოვის კონფერენციას გულუხვობას დაუფასებს ოსმალეთი,... რომელიც გაუბედნიერებიათ საქართველოსა და სომხეთის მშრომელი მასის ხარჯით. ე.ი. საქართველოსგან ართვინ-არტაან- ოლთისი, ხოლო სომხეთისგან ყარსის ოლქი ჩამოუთლიათ. ისპირ- თორთუმ- ლაზისტანი კი სალაპარაკოდაც არ გამხდარა, ალბათ ოსმალეთის როგორც „სჯულიერი ნაწილები.“[12]

ამ ამონაწერიდან კარგად სჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების იმედი გაუცრუა. მეტიც, საქართვე-

ლოს პირველი რესპუბლიკის კონტროლირებადი ტერიტორიები ოსმალეთს გადასცა. ამ შემთხვევაში მან ძირითადად დააკმაყოფილა ოსმალთა ის პრეტენზია, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიმართ გააჩნდა და მის აღსრულებას მიულწეველ ოცნებად თვლიდა. პ.მირიანაშვილის ზემოაღნიშნული პუბლიკაცია იმითაცაა საინტერესო, რომ იგი ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ლაზისტანის,საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ავტონომიური უფლებებით შემოსვლას აუცილებლად მიიჩნევდა. რაც შეეხება ართვინის ოლქის, თუ რა მნიშვნელობის მატარებელი იყო იგი საქართველოსთვის, ამასთან დაკავშირებით პ.მირიანაშვილი წერდა: „ართვინი მასაზრდოებელია აჭარა- ქობულეთისა. მისი ბუნების სიმდიდრე საარაკოა. მისი სპილენძის მადნებს საქართველოს მშრომელი მასისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბაქოს ნავთს აზერბაიჯანისათვის.“

ჩემს მიერ გაზეთ „სოციალისტ- ფედერალისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი შეგონებითი ხასიათის სტატიები „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“– დატვირთვის მატარებელი იყო, რადგან საქართველოსთვის მტკივნეული საკითხი ცენტრმა ქირურგიული ოპერაციის მეშვეობით მოსკოვში გადაწვიტა. ქართველი ერის წინაშე ჩადენილი ღალატის ტოლფასი ქმედება, სამართლებრივ ჩარჩოში რომ მოექცია, საქართველო- ოსმალეთის საზღვრების საკითხთან დაკავშირებით შედგენილ ოქმებზე, საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის სტტუსით, როგორც ზემოთაც მქონდა მითითებული, ძმობისა და მეგობრობის ნიშნით ხელი მ.ცხაკაიას მოაწერინა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა რუსეთის მაღალჩინოსანთა მხრიდან მოსკოვის კონფერენციაზე ოსმალეთთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილება (1921 წლის 16 მარტი) უყოყმანოდ უნდა შესრულებულიყო. საქართველოს რევკომს მხოლოდ ამ კონფერენციით დადგენილ საზღვრებში მოქმედების უფლება ეძლეოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რევკომის შესაძლებლობები, ბათუმის ოლქის შესანარჩუნებლად მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მითუმეტეს, გათამამებული ოსმალეთის ხელისუფალნი, მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ და ბათუმის ოლქის მისაკუთრებას ცდილობდნენ. შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია ეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებული სწორი გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებდა. ამ მხრივ, გაბედული ნააბიჯი ბათუმში მყოფმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრო-

ბის თავმჯდომარემ ნ.ჟორდანიამ გადადგა. მისი ინიციატივით, მთავრობის სახელით საქართველოს რევკომის მესვეურებთან მოლაპარაკება გრ.ლორთქიფანიძეს დაევალა. იმავე გრ.ლორთქიფანიძემ, 16 სადგურ საჯავახოდან მარტს ღამის 12 საათზე საქართველოს რევკომის წევრთან მ.ორახელაშვილთან სატელეფონო საუბარი გამართა, რომლის სტენოგრაფიული ჩანაწერი გაზეთმა „სოციალისტ-ფედერალისტმა" დაბეჭდა[13] ამ დოკუმენტის მიხედვით, საუბრის ძირითადი თემას შეადგენდა: 1)ოსმალებისგან ბათუმის ოლქის გაწმენდა და საქართველოსთვის შენარჩუნება; 2)საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და საზავო პირობებზე შეთანხმება; 3)სამხრეთის ფრონტიდან რუსის ჯარის წინსვლის მოლაპარაკების დამთავრებამდე შეჩერება, რათა ქართველებსა და რუსებს შორის სამხედრო შეტაკება არ მომხდარიყო. მითუმეტეს, გამორიცხული არ იყო, რომ ამ ორ ძალას ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა დასჭირვებოდა; 4)ორ მხარეს შორის მოლაპარაკების ადგილად– ქუთაისი იქნა შერჩეული.

ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებაში ორივე მხარის პოზიცია ძირითადად ერთმანეთთან თანხვედრაში მოდიოდა. ამ საუბრის შინაარსი გრ.ლორთქიფანიძემ ბათუმში მთავრობის წევრების თანდასწრებით ნ.ჟორდანიას გააცნო. მიღებული გადაწყვეტილებით, დელეგაცია ქუთაისში დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო. ამის აუცილებლობა, ოსმალეთის საჯარისო შენაერთების ბათუმის ოლქში გააქტიურებითაც იყო განპირობებული. თუ როგორ აფასებდა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ქემალისტები, ამის შესახებ გაზეთ „სოციალისტ- ფედერალისტში" თ.ღლონტმა საინტერესო წერილი– „ქემალის სცენები" დაბეჭდა. „ქემალის გაბედული მოქმედება მესხეთსა და სამაჰმადიანო საქართველოში– წერდა იგი– აგებული იყო იმ რწმენაზე, რომ საქართველოს როგორც ასეთს, აღარა ჰყავს პატრონი, რომ რევკომში სამშობლოს სიყვარული ყელს ზევით გამოთქმული დეკლარაცია იყო, რომ საკმარისია საზღვრებში ცერემონიალური სეირნობა რომელიმე ჯარებისა და ეს ტერიტორიაც იმის მფლობელობაში შევა ვინც შეძლებს ასეთ ცერემონიალს."[14]

ოსმალეთის მხრიდან ბათუმის დაკავების და სამთავრობო ჯარებისადმი საომარი მოქმედებების დაწყების რეალობიდან გამომდინარე, 16 მარტს ციხიდან ს.ქავთარაძე და მ.ტოროშელიძე გაათავისუფლეს და მთავრობის თავმჯდომარეს ნ.ჟორდანიას შეახვედრეს. მიღებული გადაწყვეტილებით, მთავრობის მიერ ბათუმის დატოვებისთანავე ადგილობრივი ძალაუფლება რევკომის ხელში

გადავიდოდა და ქართული ჯარის მეშვეობით ბათუმის დაცვის საქმე გაადვილდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით დ.შარაშიძის მოხსენებას თუკი დავეყრდნობით, დელეგაციის ქუთაისში გამგზავრების მომენტში (16 მარტის გამთენიისას) ფრონტის ხაზი თითქმის მოშლილი იყო. უდიდესი საფრთხე ოსმალებისგან იყო შექმნილი. იმავე დოკუმენტიდან ისიც ირკვევა, რომ ბათუმში 17 მარტს ოსმალებისგან მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ქუთაისში მყოფ გრ.ლორთქიფანიძეს, სატელეფონო საუბარში ნ.ცინცაძე შეთანხმების მიღწევას და რუსის ჯარის გამოშვების აუცილებლობას აჩქარებდა.

მართალია, დემოკრატიული საქართველოს მთავრობა იმ მომენტში ბათუმის დაცვის მიზნით ქართული ჯარის ბოლშევიკების დაქვემდებარებაში გადაცემაზე აცხადებდა თანხმობას, მაგრამ ეს კომპრომისი ქვეყნის ინტერესების აუცილებლობით იყო განპირობებული. აქედან გამომდინარე, დელეგაციის მხრიდან ამ საკითხზე დათანხმების პროცედურა, რევკომის ცნობის საკითხის გვერდის ავლით უნდა მომხდრიყო. ე.ი. რევკომის ფუნქციონირება საქართველოში სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა უნდა დარჩენილიყო. გრ.ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით წარგზავნილ დელეგაციას ამ პრინციპის ბოლომდე გატარება ჰქონდა დავალებული.

ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის საზავო მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამ ისტორიულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: **1)გასაბჭოებული საქართველოს მხრიდან: აბ.ენუქიძე (სხდომის თავმჯდომარე), მ.ორახელაშვილი, ალ.სვანიძე, შ.ელიავა, გამბაროვი; 2)საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან: გრ.ლორთქიფანიძე, ალ.დგებუაძე, ი.გედევანიშვილი, დ.შარაშიძე.**

ქუთაისის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე აბ.ენუქიძე, მხარეთა შორის გარეგნულად „მომრიგებლის“ ფუნქციის შემსრულებლის როლში იმყოფებოდა. ისიც საყურადღებოა, რომ იგი ყოველგვარი შეფარვის გარეშე აღიარებდა იმ მოსალოდნელ საფრთხეს, რომელიც ბათუმს ოსმალო დამპყრობლებისგან ემუქრებოდა. მისი ასეთი პოზიციის მიუხედავად, ოსმალო გენერლების მოქმედების გარკვეული ფორმით გამართლებას ცდილობდა და შესაბამის არგუმენტად საბჭოთა რუსეთისადმი ანტანტის სახელმწიფოების მტრობას ასახელებდა. „ოსმალეთის ჯარის უფროსს– აცხადებდა იგი,– სხვა ინტერესები, სხვა პირობები უკარნახებს იმას, რომ... ანტანტა მუდმივი და დაუძინებელი მტერია რუსეთისა, ისარგებლა ძალით,

რომ ბათუმი დაისაკუთროს.“ მითუმეტეს, იმავე აბ.ენუქიძის მიერ გაკეთებული განცხადებით „ახლაც უნდა გავიმეორო, რომ ბათუმის შესახებ უკვე მოხდა შეთანხმება რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ამ შეთანხმების თანახმად, ბათუმის ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში. ეს ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია და რუსეთი დაჟინებით მოითხოვს ოსმალეთიდან, რომ უსათუოდ ბათუმი საქართველოს ხელში დარჩეს.“ ამ შემთხვევაში საუბარია მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის შეთანხმებაზე, რომლის შესახებ ზემოთაც მქონდა საუბარი. აბ.ენუქიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ოსმალეთი აღნიშნულ შეთანხმებას თითქოს რუსეთის დაუძინებელი მტრის ანტანტის მოსალოდნელი მოქმედების შიშით არღვევდა, ლოგიკას იყო მოკლებული. მხედველობაში მაქვს საბჭოთა რუსეთის მხრიდან იმავე ანტანტის წამყვან სახელმწიფოსთან– ინგლისთან გაფორმებული სავაჭრო- ეკონო-მიკური ხელშეკრულება. ამ ფაქტის სისწორეს იმავე სხდომაზე გრ.ლორთქიფანიძესთან საუბარში თვით აბ.ენუქიძე ადასტურებდა. „ჩვენ ვიცით– განაცხადა მან,– რომ ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ისმება კითხვა: ანტანტის სახელმწიფოთა მომიზეზებით, ოსმალეთის მხრიდან ბათუმის ოლქში გააქტიურება და ამ ფაქტთან მიმართებაში მოსკოვის მიერ მკაცრი საპროტესტო განცხადების არგაკეთება, ოსმალეთთან წინასწარი გარიგების შთაბეჭდილებას ტოვებს. მხედველობაში მაქვს ბათუმის რეალური დაკარგვის საფრთხის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელის ფაქტის წინაშე დაყენება და მ.ორახელაშვილისგან ამ მომენტის მანიპულირებით, გრ.ლორთქიფანიძის კომპრომისზე დაყოლიების მცდელობა. ასეთ დაძაბულ ფონზე, სხდომის თავმჯდომარემ აბ.ენუქიძემ ორივე მხარეს შორის საერთო ენის გამონახვის და ერთობლივი ძალებით ოსმალო ასკერებისგან ბათუმის განთავისუფლების საკითხი წამოსწია წინა პლანზე. რაც შეეხება მ.ორახელაშვილს, მან ზავის პირობების წინასწარი განხილვის აუცილებლობა მოითხოვა და იგი განსახილველ საკითხთა შორის ძირითადად გამოაცხადა. ამ პოზიციას მხარი აბ.ენუქიძემაც დაუჭირა. თუკი მსჯელობა ამ მიმართულებით წარიმართებოდა, მოლაპარაკების ჩიხში შესვლა და მისი ჩაშლა გარდუვალი იყო. ამ შემთხვევაში ყველაფერი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას დაბრალდებოდა. „რევკომის“ მესვეურნი დისკუსიის ამ მიმართულებით გადატანას ცდი-

ლობდნენ. მათი პოზიციიდან გამომდინარე, გაურკვეველი იყო ზავის წინასწარ პირობად თუ რა მოთხოვნებს დააყენებდნენ. ბოლშევიკების შეფარვით პოლიტიკურ მანევრირებას გრ.ლორთქიფანიძემ დროულად აუღო ალღო და პრინციპულად მოითხოვა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად პირველ რიგში ბათუმის საკითხი განეხილათ. ოსმალებისგან შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, იმ ეტაპზე ბათუმის შენარჩუნება- არშენარჩუნების საკითხის უკანა პლანზე გადატანა, მისი სამართლიანი მტკიცებით დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, იგი რევკომის წარმომადგენლებს შეახსენებდა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების დაუყოვნებლივ გადაწყვეტა ყველაზე საშურ და პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა.

გრ.ლორთქიფანიძის ასეთმა შეუალმა და დასაბუთებულმა პოზიციამ, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული გახადა ნიღაბი ჩამოეხსნათ და სათქმელი ოფიციალური განცხადების სახით ეთქვათ. პირველი ასეთი მცდელობა აბ.ენუქიძიდან მომდინარეობდა. მხედველობაში მაქვს მისი მოთხოვნა– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას ელიარებინა გასაბჭოებული საქართველოს წესწყობილება. ეს საკითხი აბ.ენუქიძისა და მ.ორახელაშვილის მხრიდან მოლაპარაკების ძირითად პირობად იქნა მიჩნეული. მ.ორახელაშვილმა თავისი პოზიცია შემდეგი ფორმით ჩამოაყალიბა: „ჩვენ გამოვდივართ იქედან, რომ გადატრიალება საქართველოში უკვე ფაქტია. საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას უჭირავს მხოლოდ ერთი კუთხე საქართველოსი. დანარჩენი უდიდესი ნაწილი საქართველოსი რევოლუციური კომიტეტის უზენაეს ხელისუფალთ სცნობს. ამიტომ ჩვენი პირველი მოთხოვნილება არის, რომ მეორე მხარემ სცნოს გადატრიალება საქართველოში,... აღიაროს დამოუკიდებელი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და მისი დღევანდელი... საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი. ეს არის ჩვენი ძირითადი მოთხოვნილება და თუ ეს არ იქნება მიღებული... სხვა დეტალების მიღება ზედმეტი იქნება... ამ საკითხში თუ შევთანხმდებით... დანარჩენ საკითხებში შეთანხმების ნიადაგი გამორკვეული იქნება და გაგვიადვილებს საქმეს.“ ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს: 1)უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მეშვეობით გასაბჭოებული საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების მესვეურნი, კანონიერი ხელისუფლებისგან რევკომის წინაშე კაპიტულაციას და „ახალი მთავრობის“ უფლებების სამართლებრივ

ჩარჩოში მოქცევას მოითხოვდნენ; 2)რამდენადაც ეს საკითხი მათი ძირითადი პლატფორმის დასაყრდენ საფეხურს წარმოადგენდა, მის შესრულებას საომარი მოქმედებების შეწყვეტა და აჭარის ტერიტორიის საქართველოსთვის შენარჩუნება- არშენარჩუნების საკითხი მიზანმიმართულად მიაბეს. არადა, ქუთაისის შეხვედრა-მოლაპარაკება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის შესაბამისი მექანიზმის შემუშავებას უნდა დაფუძნებოდა. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში, გრ.ლორთქიფანიძეს განსაკუთრებული საზრო-ვნო ძალისხმევა უნდა გამოეჩინა, რათა მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნები დასაბუთებული ფორმით უარეყო და მოლაპარაკებ-ისთვის ისეთი მიმართულება მიეცა, რომელიც ბოლშევიკების აზრო-ვნებას წაღმართობისკენ შემოაბრუნებდა და დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას შექმნიდა. ამ მხრივ მან შესაშური გა-მჭრიახობა და რკინისებური ლოგიკური მსჯელობა გამოავლინა. შესაბამის ფაქტებზე და სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით მოწინააღმდეგე მხარეს დაუსაბუთა: ა)ბოლშევიკების პოლიტიკურმა ჯგუფმა, რამდენადაც უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე დაყრდ-ნობით შესძლო კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამთავრო-ბო ცვლილებების განხორციელება, ეს ფაქტი საქართველოს მო-სახლეობის განწყობის შედეგს არ წარმოადგენდა; ბ)რუსეთში მომხდარი პოლიტიკური პროცესების საქართველოსთან გაიგივე-ბა არასწორ შედარებას ეფუძნებოდა თუნდაც იმ ელემენტარუ-ლი მიზეზის გამო, რომ იქ სახელმწიფო გადატრიალება გარედან თავსმოხვეული ინტერვენციის გარეშე– შინაგანი ძალებით განხო-რციელდა. რაც შეეხება საქართველოს, აქ სახელისუფლებო ცვლა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის XI არმიის შედეგმა განაპირობა; გ)ოსმალეთის მხრიდან ბათუმის ოლქის საქართველოდან ჩამოცილ-ების რეალური საფრთხიდან გამომდინარე, საქართველოს დემო-კრატიული რესპუბლიკის გადაწყვეტილებით, საბჭოთა ჯარებთან საომარი მოქმედების შეწყვეტა და ერთობლივი ძალებით ოსმა-ლო დამპყრობლების წინააღმდეგ მოქმედება, ბათუმის ოლქის გა-დარჩენას ისახავდა მიზნად. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომ-დინარე, გრ.ლორთქიფანიძე მოპირდაპირე მხარეს ერთხელ კიდევ შეახსენებდა: „როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, რა წყობი-ლებაც არ უნდა იყოს იქ, ჩვენ ვფიქრობთ ბათუმის ოლქი უეჭვე-ლად უნდა დარჩეს საქართველოს ფარგლებში... დეე ეს დარჩეს საბჭოთა საქართველოს. გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან... ჩვენ ვსთვლით უწმინდეს მოვალეობათ ხალხის და საქართვე-ლოს წინაშე, რომ დავცალოთ ის რაიონები, რომლებიც ჩვენ

დღეს გვიჭირავს... და ფაქტიურად ჩავაბაროთ იმ ხელისუფლებას, რომელიც დღეს არის თბილისში,... ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო გეზი.“ ამ ამონაწერიდან კარგად სჩანს, რომ გრ.ლორთქიფანიძემ, ეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებული კომპრომისით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გადარჩენის აუცილებლობის ფაქტის წინაშე დააყენა მ.ორახელაშვილი და მისი გუნდი. რაც შეეხება საქართველოს დემოკრეტიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან რევკომის ხელისუფლების აღიარებას, გრ.ლორთქიფანიძემ თავისი პასუხი სამართლებრივ ნორმებზე ააგო და მოპირდაპირე მხარეს შეახსენა: ა)საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლია ხელისუფლება სხვა მთავრობას გადასცეს იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ იგი უფლების წყარო არ არის; ბ)რამდენადაც უფლების წყარო დამფუძნებელი კრებაა, მხოლოდ მისი პრეროგატივაა სცნობს თუ არა ახალ მთავრობას.

გრ.ლორთქიფანიძის ზემოაღნიშნული არგუმენტები რამდენადაც დამაჯერებელი ფორმით იყო წარმოდგენილი, მხარეებს შორის სიტუაციის არგამწვავწებიდან გამომდინარე, შუამავლის ფუნქცია სხდომის თავმჯდომარემ აბ.ენუქიძემ იკისრა. მან გრ.ლორთქიფანიძისეული მტკიცებულებები მისაღებად ჩათვალა და გამოსავალი ფორმულირების გამოყენებას შეეცადა. მიუხედავად ამისა, მ.ორახელაშვილი ისევ კატეგორიული ფორმით დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თვითლიკვიდაციის საკითხს აყენებდა. იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო **გრ.ლორთქიფანიძის მიერ გახმოვანებული ფორმულის– „ჩვენ ვიყავით და ვრჩებით კანონიერ მთავრობათ“** და შესაქმნელ დოკუმენტში მისი არგამოყენება მოითხოვა. ამ შემნთხვევაში იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან იმ სამართლებრივი უფლების დატოვებაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომელიც პოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობის შემთხვევაში, მას ქვეყნის კანონიერ მთავრობად გამოცხადების შესაძლებლობას უტოვებდა. მეორე მხრივ, მ.ორახელაშვილის საფიქრალს, საქართველოდან ემიგრაციაში წასული ნ.ჟორდანიას მთავრობის მიერ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ლეგიტიმაცია წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხდომის მონაწილეთა შორის წინააღმდეგობით დამძიმებული ღრუბელის ჩამოწოლა გარდუვალი იყო. მითუმეტეს, მ.ორახელაშვილი ისევ გასაბჭოებული საქართველოს სამართლებრივ ცნობას მოითხოვდა. თუკი ამ მიმართულებით რეალური გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული, შეთანხმება შეუ-

ძლებელი გახდებოდა. „ვიმეორებ– ამბობდა მ.ორახელაშვილი,– ეს სისტემა, რომელსაც გამოხატავს დღეს რევკომი, ე.ი. საბჭოთა წყობილება საქართველოში უსათუოდ ცნობილი უნდა იყოს. უამისოდ მე მგონი ჩვენს შორის შეთანხმება შეუძლებელია.“ ასეთი ფორმით გამოთქმული პოზიციის გახმოვანება, საბჭოთა რუსეთის მიერ ძალისმიერი გზით საქართველოში ხელდასმული ბოლშევიკური „მთავრობის“ (რევკომის) სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას ისახავდა მიზნად. აღნიშნულის გამო სიტუაცია იმდენად დამძიმდა, რომ გამოსავალი ფორმულის გამოძებნა აუცილებელი შეიქმნა. მითუმეტეს, როგორც ზემოთაც მქონდა მითითებული, გრ.ლორთქიფანიძეს საგანგებო დავალება ჰქონდა მიღებული ნ.ჟორდანიასგან– რევკომის არაღიარების შესახებ. პარალელურად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად რევკომის წევრებთან მოლაპარაკების ფორმატი უნდა გაეგრძელებინა და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებში მათგან თანხმობა მიეღო. ამ ურთულესი ამოცანის აღსრულება, მისგან ერთხელ კიდევ ლოგიკაზე დაფუძნებულ მაღალი დონის აზროვნების გამოვლინებას მოითხოვდა. ამ მხრივ მან გონივრული გადაწყვეტილება მიიღო იმ თვალსაზრისით, რომ მ.ორახელაშვილის მოთხოვნების მიზანშეწონილების საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანა და მოწინააღმდეგეს დასაბუთებული პასუხი გასცა. მისი პოზიცია შემდეგი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1)მ.ორახელაშვილის მხრიდან დასმული მოთხოვნა– საბჭოთა სისტემის ცნობის აუცილებლობის შესახებ, გრ.ლორთქიფანიძემ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების გვერდის ავლის მცდელობად და ჭეშმარიტების გზიდან გადაცდენად გამოაცხადა; 2)მისი მტკიცებით, რეალური იქნებოდა თუკი საბჭოთა ხელისუფლების აღიარების საკითხს, რევკომის წარმომადგენლები საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ლიდერების წინაშე დააყენებდნენ. პასუხის მიღება მხოლოდ მათგან იყო შესაძლებელი თუ რა სახის პოლიტიკური კურსის გატარებას აპირებდნენ მომავალში; 3)მიუხედავად იმისა, რომ გრ.ლორთქიფანიძე სოციალ- დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, აღნიშნული მოლაპარაკების დროს რამდენადაც მას პარტიის მანდატი არ ჰქონდა, იგი პარტიის სახელით ვერ ისაუბრებდა; 4)გრ.ლორთქიფანიძის სამართლიანი მტკიცებით, საბჭოთა ხელისუფლების აღიარების დაყენება მხოლოდ საბჭოთა რუსეთში იყო შესაძლებელი, რადგან ძალაუფლება იქ კომუნისტურ პარტიას ჰქონდა, ხოლო პარტია და მთავრობა იდენტური იყო. რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, იგი

პასუხს ვერ გასცემდა იმ საკითხებზე, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და პარტიულ მოღვაწეებს ეხებოდა; 5)ქუთაისის მოლაპარაკების მომენტში, საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სამართლებრივი სუბიექტი არ არსებობდა, რადგან მის დამყარებაში ხალხს არჩევნების გზით მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული, ხოლო ქვეყანას უცხო სახელმწიფოსგან ძალმომრეობის გზით დანიშნული რევკომი განაგებდა. რაც შეეხება არჩევნებს, საქართველოს სინამდვილეში იმ ეტაპზე მომავლის პროექტად რჩებოდა; 6)საქართველოში საბჭოების არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, სხვა პარტიებთან ერთად შესაძლებელი იყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც მიელო ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. თუკი ეს მოხდებოდა, იგი საბჭოთა ხელისდუფლებისადმი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებას გამოკვეთდა. არსებული ხელისუფლების მიმართ პოლიტიკური პარტიების პოზიციის წინასწარ განჭვრეტა იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო; 7)გრ.ლორთქიფანიძის შეუვალი განცხადების მიხედვით, იგი საქართველოს რევკომის წარმომადგერნლებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მხოლოდ ბათუმის ოლქის საქართველოსთვის შენარჩუნების საკითხზე, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისგან ჰქონდა მინდობილი; 8)იმავე ლორთქიფანიძის მტკიცებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაუყოვნებლივ მოახდენდა საომარი მოქმედების შეჩერებას XI არმიის ნაწილების წინააღმდეგ, ბათუმის ოლქს უპრობლემოდ გადასცემდა საქართველოს რევკომს და თანახმა იყო ქართულ- რუსული ერთობლივი ძალებით მოეხდინათ ოსმალო დამპყრობლების ოლქიდან განდევნა.

გრ.ლორთქიფანიძის ასეთი არგუმენტირებული პოზიციის მიუხედავად, მ.ორახელაშვილმა ერთხელ კიდევ სცადა, რომ რევკომისადმი ბათუმის ოლქის გადაცემის ფაქტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის და მისი დამფუძნებელი კრების მხრიდან დეკლარაციით ან შესაბამისი დეკრეტით ყოფილიყო დადასტურებული. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი რევკომისადმი ტერიტორიის გადაცემის საკითხს სამართლებრივი თვალსაზრისით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ამ შემთხვევაში მ.ორახელაშვილი მოპირდაპირე მხარისგან სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტის ხელში ჩაგდებას ცდილობდა და ამით მდგომარეობას შეგნებულად ართულებდა. მითუმეტეს, როგორც ზემოთაც მქონდა აღნიშნული, საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი სტატიის

K 324.3 603
საქართველოს პარლამენტის

მიხედვით, ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზი გა-რკვევით იყო მითითებული. იგი იწყებოდა შავი ზღვის პირას მდებარე სოფელ სარფთან, გაივლიდა ხეედის მთას, წყალთა გამყო-ფი ხაზით შავშეთის მთას[15]. იმავე ხელშეკრულების II სტატიით, ოსმალეთი თანხმობას აცხადებდა საქართველოსთვის სიუზერენიტეტით და-ეთმო ბათუმის ოლქი ზემოაღნიშნული საზღვრის ფარგლებში.[16] ეს იმას ნიშნავს, რომ ოსმალეთი სამართლებრივი წესით საქარ-თველოს ახალ ხელისუფლებას ბათუმის ოლქს „უთმობდა“ და ვალდებული იყო აღნიშნული ხელშეკრულება შეესრულებინა. აქედან გამომდინარე, მ.ორახელაშვილის მხრიდან გრ.ლორთქი-ფანიძისადმი წაყენებული პრეტენზია, ბათუმის ოლქის რევკომის-ადმი გადაცემის ფაქტის ოფიციალური დოკუმენტით დადასტურე-ბის მოთხოვნა ლოგიკურ ფარგლებს სცილდებოდა. ეს ხარვეზი კარგად შენიშნა სხდომის თავმჯდომარემ აბ.ენუქიძემ და შექმ-ნილ კრიტიკულ მომენტში თავისი განმარტებით გარკვეული დისო-ნანსი შეიტანა. „რამდენადაც ვიცი- ამბობდა აბ.ენუქიძე,- ტერი-ტორიის გადაცემა, ომის დაწყება, ომის გათავება, დამფუძნებელი კრების პრეროგატივაა... მთავრობა ყოველთვის უნდა შეეკითხოს მას. ჩვენ როდესაც მთავრობას ველაპარაკებით, არ შეგვიძლია მისი ძალაუფლება შევამციროთ და ვუთხრათ, რომ მთავრობას არა აქვს უფლება ესა თუ ის აქტი მოახდინოს. ამიტომ, მთავრობა არის პასუხისმგებელი დამფუძნებელი კრების წინაშე. ჩვენ დღეს ველაპარაკებით მთავრობას. თუ მთავრობა მის განცხადებაში რაიმე მოტივებით არ დაასაბუთებს, რომ გადასცემს თავის ტერი-ტორიას რევოლუციურ კომიტეტს, ჩვენის მხრით ეს დამაკმაყო-ფილებლად მიგვაჩნია... პატივცემული ლორთქიფანიძის განცხა-დებაში გამოსჭვივოდა ეს... მე პირადად საკმარისად მიმაჩნია, რომ მთავრობა თავის განცხადებაში იძულებულად გრძნობს თავს, ემორჩილება ძალას... რაკი ამას მოითხოვს საერთო ინტერესები საქართველოს მთლიანობისა.“

ჩემს მიერ მოტანილი აბ.ენუქიძის სიტყვის ეს ვრცელი ამონაწ-ერი, თითქმის სრულად წარმოაჩენს გრ.ლორთქიფანიძის პოზიცი-ისადმი მხარდაჭერას. მეორე მხრივ, იგი აშკარად მიანიშნებდა მ.ორახელაშვილს, რომ იმ მომენტისათვის მისი მხრიდან რადიკა-ლიზმით დატვირთული განცხადებები საერთო საქმისთვის იყო ხელის შემშლელი. ამ შემთხვევაში აბ.ენუქიძე დამბალანსებლის ფუნქციას ასრულებდა ორ მოპირდაპირე მხარეს– მორახელაშ-ვილ- ლორთქიფანიძეს შორის. მისმა ასეთმა პოზიციამ,მ.ორახე-ლაშვილი იძულებული გახადა უკან დაეხია და თავისი წინანდე-

ლი მოთხოვნები შეეცვალა- „მე ვცვლი ჩემს საკითხს“- განაცხადა მან და ამ ქმედებით, მოლაპარაკების გაგრძელების დაშედეგებზე ორიენტირების შესაძლებლობა შექმნა. მხედველობაში მაქვს რევკომის და საბჭოთა ხელისუფლების აღიარების, მისი სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მცდელობის დღის წესრიგიდან მოხსნა.

ამ ფაქტმა შესაძლებლობა შექმნა მოლაპარაკების მონაწილეთა მთელი ყურადღება ბათუმის გადარჩენაზე და იმ მექანიზმის შემუშავებაზე ყოფილიყო გადატანილი, რომელიც ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ქართული და რუსული ჯარის ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობას შექმნიდა. მითუმეტეს, გრ.ლორთქიფანიძემ საბჭოთა მხარის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა წითელი არმიის ნაწილებთან საომარ მოქმედებებს წყვეტდა და წინადადებას იძლეოდა საბჭოთა ჯართან ერთად დაეცვა ბათუმი. იმავდროულად იგი პრინციპულად მოითხოვდა: „თუ ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ, რა ფორმით? ეს წინასწარ უნდა იყვეს ნათქვამი.“ ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს შორის დამბალანსებლის ფუნქცია ისევ აბ.ენუქიძემ შეასრულა და გრ.ლორთქიფანიძე- ალ.დგებუაძის წინადადება იქნა მიღებული, რომ ოსმალებისგან ტერიტორიის გაწმენდამდე ქართული ჯარი, ქართული სარდლობის დაქვემდებარებით იბრძოლებდა. დასახული მიზნის განხორციელების შემდეგ, იგი ახალი სარდლობის დაქვემდებარებაში გადავიდოდა. ამ წინადადებას აბ.ენუქიძე დაეთანხმა, რაც ბათუმის ოლქის ოსმალო მტაცებლებისგან გადარჩენის საკითხში ორმხრივ შეთანხმებას ნიშნავდა.

იმავე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშის მიხედვით, მსჯელობის მომდევნო ძირითად საგანს, ოსმალებთან საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ ქართული ჯარის განიარაღების ფორმის შემუშავება წარმოადგენდა. ეს პროცედურა ისეთი სახით უნდა ჩატარებულიყო, რომ მის წევრებს წარსულში გაწეული საქმიანობა დანაშაულებრივ ქმედებად არ ჩათვლოდა. ამის გათვალისწინება იმითაც იყო აუცილებელი, რომ მიმდინარე პროცესი ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომის დაწყების ფაქტორი არ გამხდარიყო. ეს საკითხი მთელი პრინციპულობით გრ.ლორთქი-ფანიძემ დააყენა. იგი რევკომის წარმომადგენლების მისამართით აცხადებდა: „თქვენ ბრძანებთ ჯარის გადმოცემაზე და დაშლაზე, ეს თქვენი საქმეა როგორ დაშლით, ყოველ შემთხვევაში ჩვენი საქმე იქნება, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, იქნება ეს პო-ლიტიკური მოღ-

ვაწე... სამხედრო პირი, ან საერთოდ სახელმწიფო მოღვაწე, მოსამსახურე,... ამ პირთ არ ჩაეთვალოს დანაშაულად წარსულში ის, რაც მოხდა. ისინი თავისუფალნი არიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, სამხედრო ადმინისტრაციულ სამსახურთან... საჭიროა საერთაშორისო ამნისტია... ჩვენ ვთხოულობთ რომ ასეთნაირი მუხლი აუცილებლად იყოს შეტანილი შეთანხმებაში."

გრ.ლორთქიფანიძის მოთხოვნის საპასუხოდ, მ.ორახელაშვილმა საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს გამოცემული დეკრეტი № 1 „ამნისტიის შესახებ" წაიკითხა. ამ დოკუმენტით ამნისტია ყველა იმ პოლიტიკური პარტიის, ჯგუფისა და პიროვნების მიმართ ცხადდებოდა, რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომპარტიის წინააღმდეგ. იგივე დოკუმენტი იმავდროულად, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიების წევრთა მთელ მოქმედებას ბოროტ მოღვაწეობად აცხადებდა.[17] ამ ფაქტით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველების მიერ გაწეული საქმიანობა „ბოროტი მოღვაწეობის" ეპითეტით იქნა შეფასებული, მხოლოდ იმ საბაბით, რომ ისინი უცხო ქვეყნის მიერ დაფინანსებულ ქართველ ბოლშევიკებს, საქართველოს გასაბჭოების შესაძლებლობას არ აძლევდა. აღნიშნულ დოკუმენტში „ბოროტი მოღვაწეობის" ტერმინოლოგიის გამოყენება, შემთხვევითობით არ იყო განპირობებული. ამ ფორმულირებით, არსებული ხელისუფლება „საჭიროების" შემთხვევაში მისთვის არასასურველი პიროვნებებისადმი სათანადო რეპრესიული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობის საფეხურს ქმნიდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში გრ.ლორთქიფანიძეს, როცა იგი ორმხრივი შეთანხმების ტექსტში ამნისტიის შესახებ საგანგებო მუხლის შეტანას რომ მოითხოვდა. იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გრ.ლორთქიფანიძის ამ მოთხოვნაზე, აბ.ენუქიძე, შ.ელიავა და მ.ორახელაშვილი დათანხმდნენ. აღნიშნული საკითხი შესაბამისი ფორმულირებით ცალკე მუხლის სახით იქნა შეტანილი ხელშეკრულებაში.

ქუთაისის მოლაპარაკების ერთ- ერთ საკითხად, საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის აუცილებლობაც დაისვა. ეს საკითხი მთელი პრინციპულობით გრ.ლორთქიფანიძემ დააყენა. „**რუსის ჯარი– ამბობდა გრ.ლორთქიფანიძე,– როცა შესაძლებელი და მოსახერხებელი იქნება გაყვანილი იქნას აქედან.**" ამასთან დაკავშირებით, მ.ორახელაშვილმა გაღიზიანებული ფორმით განაცხა-

და: „ობიექტური პირობები, როგორც გარეშე, ისე შინაური გვაიძულებენ,... რომ ეს წითელი ჯარი ჯერჯერობით აქ იყვეს. **როდესაც ჩვენ საქართველოში გვეყოლება საკუთარი ლაშქარი, რასაკვირველია, რუსეთის ჯარს წავიყვანთ, მოგაშორებთ.**“ ისიც საყურადღებოა, რომ იმავე გრ.ლორთქიფანიძის კატეგორიული მოთხოვნით საქართველოს მოქალაქე სამხედრო პირებს, ჯარისკაცებსა და მოსამსახურეებს სამხედრო ბეგარა სა-ქართველოში უნდა მოეხადა. ეს საკითხი შესაბამისი ფორმული-რებით ხელშეკრულებაში მეთექვსმეტე მუხლით იქნა დადასტურებული.

ქუთაისის ორმხრივი მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშის საფუძვლიანი შესწავლიდან ის ძირითადი წინააღმდეგობები იკვეთება, რომელიც საქართველოს სასიცოცხლო საკითხებთან მიმართებაში რევკომის წარმომადგენლობას გააჩნდა. მეორე მხრივ, წინა პლანზე წამოწევას იმსახურებს დემოკრატიული საქართველოს მთავრობის რწმუნებულის გრ.ლორთქიფანიძის უკომპრომისო პოზიცია და მაღალი მომზადების დონე. საქართველოს ინტერესებზე დაფუძნებული მისი პოზიციის მიღების აუცილებლობის ლოგიკურად დასაბუთებით, მან მ.ორახელაშვილი და შ.ელიავა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მხედველობაში მაქვს: ა)საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსავალი გზების შესახებ თუკი ისინი გრ.ლორთქიფანიძის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებდნენ, ქვეყნის მოსახლეობის წინაშე მათი ანტიეროვნული კურსი ოფიციალურად გასაჯაროვდებოდა; ბ)საქართველოს რევკომის წარმომადგენლებს, გრ.ლორთქიფანიძემ ის მტკივნეული ნერვი მოუძებნა, რომელიც კომპრომისზე წასვლას აიძულებდა; გ)ქუთაისის მოლაპარაკების ბოლომდე მიყვანაში და ორ მოპირდაპირე მხარეს შორის დამბალანსებლის ფუნქციის შესრულებაში განსაკუთრებული როლი აბ.ენუქიძეს მიუძღვის. მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში მის მიერ შემუშავებულმა ობიექტურმა პოზიციამ, მ.ორახელაშვილი და შ.ელიავა იძულებული გახადა კომპრომისზე წასულიყო.

თუკი ქუთაისის 1921 წლის 17- 18 მარტის მოლაპარაკებით მიღწეულ შეთანხმებას მიუდგომელი პოზიციიდან შევაფასებთ, მორალურ-ფსიქოლოგიური კუთხით იგი საქართველოს მოსახლეობის თვალში წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამ ისტორიულმა შეთანხმებამ ერთხელ კიდევ სრულად გამოავლინა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მზრუნველი პოზიცია ქვეყნისა და მისი მოსახლეობის მიმართ.

დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ქუთაისის შეთანხმება

მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებისთვის. ისინი განსაკუთრებით სტენოგრაფიული ანგარიშის შინაარსმა და ამ დოკუმენტის დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენლებისადმი გადაცემის ფაქტმა აღაშფოთა. ამასთან დაკავშირებით, ქუთაისის მოლაპარაკების ერთერთი მონაწილის დ.შარაშიძის მოხსენებაში ვკითხულობთ: „ბოლშევიკები ძლიერ გაწყრნენ, როცა შეიტყვეს, რომ სტენოგრამა ჩვენც მოგხვდა ხელში. სტენოგრაფისტებს დაჭერით ემუქრებოდნენ.“ ამ შემთხვევაში, მათი გაღიზიანება იმ წინააღმდეგობრივი დაპირისპირების მოსალოდნელი გასაჯაროების შიშმა განაპირობა, რომელიც ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას მოყვებოდა. მხედველობაში მაქვს: ა)ძალმომრეობის გზით მოსული ხელისუფლებისადმი ქართულ სახელმწიფოსთან მიმართებაში ფართო საზოგადოების წინაშე ნიღაბის ჩამოხსნა; ბ)დოკუმენტის გასაჯაროებით, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის ავტორიტეტის ზრდის გარდუვალობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგები, ქართველ და რუს ბოლშევიკებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული და მათ ნერვიულობას ეს გარემოებაც განაპირობებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქუთაისის 16 პუნქტიანი შეთანხმების უმეტესობა, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების (ს.ორჯონიკიძე...) მესვეურთათვის მიუღებელი იყო, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ რევკომის წარმომადგენლებმა, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის რწმუნებულთა მხრიდან ახალი ხელისუფლების აღიარებას, დამხობილის მხრიდან კაპიტულაციის გამოცხადებას ვერ მიაღწიეს. მეორე მხრივ, ქუთაისის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშის ტექსტის, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოყენება ვერ შეძლეს, რადგან გრ.ლორთქიფანიძის მიერ გაკეთებულ განცხადებებში და წარმოთქმულ სიტყვებში ბოლშევიკებისთვის ხელჩასაჭიდი არაფერი აღმოჩნდა. ამ საკითხთან დაკავშირებით დ.შარაშიძის მოხსენებაში ვკითხულობთ: „საერთო შთაბეჭდილება იყო თვით კომუნისტურ წრეებში,რომ ლორთქიფანიძემ დიპლომატობით „მოატყუა“ ბოლშევიკები. ეს გარეშეებთან სთქვა არა ერთხელ და ორჯერ ენუქიძემ, ორახელაშვილმა და სხვებმა.“ თუკი ეს სიმართლეს შეესაბამება, გამორიცხული არაა, რომ მათი გაღიზიანების განსაკუთრებული საფუძველი სწორედ ეს ფაქი გამხდარიყო. რაც შეეხება დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დარჩენა- არდარჩენისა და საბჭოთა ხელისუფლებასთან შესაძლო თანამშრომ-

ლობის საკითხს, იმავე მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიშიდანაც სჩანს, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერისთანავე, დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ძალაუფლებას ბათუმის რევკომს გადასცემდა და საქართველოს ტერიტორიას ტოვებდა. ეს ფაქტი, მოლაპარაკების პროცესში რევკომის წარმომადგენლებისთვის (აბ.ენუქიძე, მ.ორახელაშვილი, შ.ელიავა, ალ.სვანიძე) მისაღები აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს დატოვება და ემიგრაციაში წასვლა, საქართველოს რევკომმა, ქუთაისის შეთანხმების გაუქმების ერთ- ერთ მიზეზად დაასახელა. ამის დადასტურებას საქართველოს ს.ს.რ. რევკომის 1921 წლის 21 მარტის სხდომის (ოქმი № 15) ამონაწერი წარმოადგენს. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ მთავრობასთან მოლაპარაკების წარმოების შესახებ მოხსენება რევკომის რწმუნებულმა მ.ორახელაშვილმა გააკეთა. რევკომის მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „მოისმინა რა მოხსენება რევკომის რწმუნებულისა, რომლისთვისაც მინდობილი იყო ყოფილ მენშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკება და მიიღო რა ცნობა ნ.ჟორდანიას მთავრობის ბათუმიდან გაქცევის შესახებ,- რაც ნიშნავს რწმუნებულების მიერ ხელმოწერილი შეთანხმების აშკარად დარღვევას, ამასთანავე გაიგო რა, რომ გაქცეულმა მთავრობამ გაიტაცა უამრავი სახელმწიფო ქონება და ღირებულებანი საეკლესიო და სამონასტრო განძეულობა და აგრეთვე მშრომელთა ფართო მასისთვის აუცილებელი პირველსაჭიროების საგნები, მედიკამენტები და სხვა, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ჰკიცხავს მთელი ქვეყნის მშრომელთა მასის წინაშე, ქვეყნის მძარცველებს და ადგენს: 1.შეთანხმება მისი დარღვევის გამო საქართველოს ყოფილი მთავრობის მიერ ცნობილი იქნას გაუქმებულად.“ მართალია, იმავე დოკუმენტის მიხედვით 25 თებერვლის დეკრეტით და ხელშეკრულების მეთოთხმეტე მუხლით გამოცხადებული ამნისტია ძალაში დატოვეს, მაგრამ, ემიგრაციაში წასული მთავრობა და მისი თანმხლები პირები მოღალატეებად გამოაცხადეს. რაც შეეხება მათ ქონებას, იგი მუშათა და გლეხთა ხაზინისთვის გადაცემის მოტივით იქნა ჩამორთმეული.[18] ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფალნი, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის „მოღალატედ“ გამოცხადებული მთავრობის მხარდამჭერთა რეპრესიისთვის სამომავლოდ შესაბამის საფეხურს ამზადებდა.

ამრიგად: 1)საქართველოს ძალისმიერი გზით გასაბჭოებით და

რევკომის მმართველობით შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაცია, მეზობელი რესპუბლიკების მმართველი წრეებისგან, საქართველოს ტერიტორიების მისატაცებლად ხელსაყრელ სიტუაციად იქნა აღქმული. ამ მოსალოდნელ საფრთხეზე, საქართველოს მემარცხენე სოციალისტ- ფედერალისტთა პარტიის ლიდერების დროული გაფრთხილება, ახალი ხელისუფლებისგან უყურადღებოდ იქნა დატოვებული. რუსეთ- საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ფარგლებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ილუზია, მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის რუსეთ- ოსმალეთის ხელშეკრულებამ დაასამარა.

2)გასაბჭოებული საქართველოს რევკომის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შესახებ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივას, ორ მხარეს შორის ომის შეწყვეტა, ერთიანი ძალებით ბათუმის ოლქიდან ოსმალო დამპყრობლების განდევნა და ქვეყნისთვის ტერიტორიის შენარჩუნება ედო საფუძვლად.

დემოკრატიული საქართველოს დელეგაციის (გრ.ლორთქიფანიძე, ალ.დგებუაძე, ი.გედევანიშვილი, დ.შარაშიძე) მიზანს, რევკომის ხელისუფლების ცნობის გვერდის ავლით, გასაბჭოებული საქართველოს წარმომადგენლებთან (აბ.ენუქიძე, მ.ორახელაშვილი, ალ.სვანიძე, შ.ელიავა, გამბაროვი) შეთანხმების მიღწევა და ნ.ჟორდანიას მიერ მიცემული დავალების შესრულება წარმოადგენდა. გრ.ლორთქიფანიძეზე ზემოქმედებისა და კომპრომისზე დაყოლიებისთვის, რევკომის მესვეურნი, ბათუმის ოლქში ოსმალების გააქტიურების ფაქტის გამოყენებას ცდილობდნენ. გრ.ლორთქიფანიძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მ.ორახელაშვილის მხრიდან რევკომის აღიარების მოთხოვნის დაყენება, კანონიერი ხელისუფლების კაპიტულაციაზე და რევკომის სამართლებრივ ჩარშოში მოქცევაზე იყო გათვლილი. აქედან გამომდინარე, ბათუმის ოლქის შენარჩუნებისადმი აღნიშნული საკითხის გასაბჭოებული საქართველოს წარმომადგენლების მიერ მიზანმიმართულად მიბმა, გრ.ლორთქიფანიძეს დაუშვებლად მიაჩნდა.

3)ქუთაისის მოლაპარაკების პროცესში შექმნილი ურთულესი სიტუაციის ფონზე, გრ.ლორთქიფანიძემ სააზროვნო შესაძლებლობის მაქსიმალური მობილიზება და მოპირდაპირე მხარის მოთხოვნების დასაბუთებული ფორმით უარყოფა შესძლო. სტენოგრაფიული ანგარიშის ტექსტით ირკვევა, რომ გრ.ლორთქიფანიძემ რევკომის წარმომადგენლებს ლოგიკურ სააზროვნო პრინციპებზე და

ფაქტობრივი მასალის შედარებითი ანალიზის საფუძველზე დაუსაბუთა: ა)საქართველოში სახელისუფლებო ცვლა, საბჭოთა რუსეთის XI არმიის ძალისხმევით განხორციელდა და მომხდარი ფაქტი, საქართველოს მოსახლეობის განწყობილების– არჩევნების გზით მოპოვებულ შედეგს არ განასახიერებდა; ბ)საბჭოთა ჯარებთან საომარი მოქმედების შეწყვეტა, ბათუმის ოლქის საქართველოდან ჩამოცილების რეალური საფრთხიდან გამომდინარეობდა და ერთობლივი ძალებით ოსმალების ოლქიდან განდევნას ისახავდა მიზნად; გ)რამდენადაც უფლების წყაროს საქართველოს დამფუძნებელი კრება წარმოადგენდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, გასაბჭოებული საქართველოს რევკომისადმი ხელისუფლების ოფიციალურად გადაცემის სამართლებრივი უფლებები არ გააჩნდა.

4)აბ.ენუქიძის მხრიდან დამბალანსებლის ფუნქციის შესრულებამ და საბჭოთა ხელისუფლების აღიარების დღის წესრიგიდან მოხსნამ, ორმხრივი მოლაპარაკების გაგრძელების და მისი ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობა შექმნა. ქართული ჯარის მოსალოდნელი განიარაღების შემთხვევაში, ჯარისკაცების, ოფიცრების, პოლიტიკური და სამოქალაქო პირების მიერ წარსულში გაწეული საქმიანობის დანაშაულად არგამოცხადების გრ.ლორთქიფანიძისეული მოთხოვნა, ქვეყანაში შიდა დაპირისპირებას და სამოქალაქო ომის აცილებას ისახავდა მიზნად. ორმხრივ შეთანხმებაში ცალკე მუხლად– საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის და საქართველოს მოქალაქეებისთვის სამხედრო ბეგარის რესპუბლიკის ფარგლებში მოხდის ცალკე მუხლად შეტანა, გრ.ლორთქიფანიძის დელეგაციის უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენდა.

5)საქართველოს ინტერესებზე დაფუძნებულმა გრ.ლორთქიფანიძის უკომპრომისო პოზიციამ და მაღალი მომზადების დონემ, მ.ორახელაშვილი და შ.ელიავა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ გრ.ლორთქიფანიძის მხრიდან დაყენებული მოთხოვნების იგნორირება და მათი პოზიციის გასაჯაროება, საქართველოს მოსახლეობაში ახალი ხელისუფლების ანტიეროვნულ კურსს სააშკარაოზე გამოიტანდა და მის დისკრედიტაციას გარდუვალს გახდიდა. გრ.ლორთქიფანიძემ რევკომის წარმომადგენლებს ის მტკივნეული ნერვი მოუძებნა, რომელიც იძულებით კომპრომისზე მათ წასვლას განაპირობებდა.

ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის მოლაპარაკებით მიღწეული შეთანხმება და ამ პროცესის ამსახველი სტენოგრამა, დამარცხებული და „გამარჯვებული“ მხარეების ლუსტრაციას წარმოადგე-

ნს. საქართველოს მოსახლეობისთვის გასაგები გახდა, თუ ვინ-ვინ იყო. ამ კუთხით თუკი განვიხილავთ ზემოაღნიშნულ ისტორიულ ფაქტს, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ოკუპირებული საქართველოს უმძიმეს ფონზე, იგი წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. ქუთაისის მოლაპარაკებამ ერთხელ კიდევ სრულად გამოავლინა, ქვეყნისა და მისი მოსახლეობის მიმართ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მზრუნველი პოზიცია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1989 წ. 25 თებერვალი № 24
2. ჟურნ. „კავკასიონი“ 1981 წ. № XX გვ. 13- 14
3. ლ.ურუშაძე. ბოლშევიზმ-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბ. 1991 წ. გვ. 23-26
4. ლ.თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ. 1991 წ. გვ. 137- 138
5. შ.ვადაჭკორია. საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალ- მარტი). თბ. 2016 წ. გვ. 100- 103
6. შ.ვადაჭკორია. იქვე. გვ. 92
7. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“ 1921 წ. 25 მარტი № 21
8. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“ 1921 წ. 17 მარტი № 15
9. იქვე
10. Документы внешней политики СССР. т. 3. М. 1959 г. стр. 597-598
11. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“ 1921 წ. 20 მარტი № 17
12. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“ 1921 წ. 26 მარტი № 22
13. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“ 1921 წ. 20 მარტი № 17
14. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“ 1921 წ. 25 მარტი № 21
15. Документы внешней политики СССР. т. 3. М. 1959 г. стр. 597-598
16. იქვე. გვ. 598
17. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული. თბ. 1983 წ. გვ. 19
18. გაზ. „სოციალისტ- ფედერალისტი“ 1921 წ. 26 მარტი № 22

Shota Vadachkoria

Kutaisi Negotiation of March, 17-18, 1921

Abstract

On the basis of documentary materials it is stated that: **1).**The utterly egregious political situation generated by forced Sovietization and the activities of the Revolutionary Committee in Georgia served as a favorable situation for the governments of neighboring countries to seize the territories of Georgia. Party leaders of the left-wing social-federalists of Georgia timely warned about this probable danger, but it remained unanswered by the new government. The Russia-Ottoman treaty of Moscow in March, 16, 1921 drew to grave the illusion of restoring territorial integrity of Georgia according to the plan of the right-wing socialist federalists within the frames of the Russia-Georgian treaty of May, 7, 1920. **2).**After Sovietization of the country the aim of the initiative of the head of government of the Democratic Republic of Georgia to negotiate with the Revolutionary Committee of Georgia was to bring to the end the war between the two sides, to combine forces for bringing the Ottoman conquerors out of the Batumi district, to maintain territory for the country. The goal of the Georgian delegation (G. Lordkipanidze, A. Dgebuadze, I. Gedevanishvili, D. Sharashidze) was to fulfill the task that N. Jordania set for them: to circumvent the authorities of the Revolutionary Committee of Georgia and reach an agreement with the representatives of Sovietized Georgia (A. Bendukidze, M Orakhelashvili, A. Svanidze, S. Eliava, Gambarov). From their side the leaders of the Revolutionary Committee of Georgia tried to use the fact of the Ottoman Empire's activation in Batumi to influence G. Lordkipanidze and to make compromise. G. Lordkipanidze knew well that M.Orakhelashvili's demand to recognize the Revolutionary Committee of Georgia meant the surrender, capitulation of the legitimate government and aknowledgment of the Committeee into legal rights.

That is why G. lordkipanidze considered unacceptable linking maintaining Batumi region issue with the mentioned problem from the side of the Revolurionary Comittee of Georgia. **3).**On the background of the utterly egregious situation created during the Kutaisi negotiations, G. Lortkipanidze was able to refute their claims. According to the shorthand text of the report it turns out that G. Lordkipanidze, based on logic and factual material, proved that: **A).**11th army of Soviet Russia carried out the change of power in Georgia which was not the result of elections and did not reflect legitimate will of the population of Georgia; **B).**The suspension of hostilities with the Soviet troops was due to the real danger of cutting of the Batumi district from Georgia and aimed to drive out with joint forces the Ottomans from the district; **G).**Since the Constituent Assembly of Georgia was the main body which could transfer power officially to the Sovietized Revolutionary Committee of Georgia, the government of the Democratic Republic of Georgia had not had legal right to do this; **D).**A. Enukidze's balanced relationship during the negotiations and withdrawal from the agenda the issue of the Soviet government recognition, made it possible to continue and complete the negotiations. G. Lortkipanidze demanded that in the case of the expected disarmament of the Georgian army the past cases of soldiers, officers, politicians, civilians not to declare a crime. This demand was put forward in order to avoid internal confrontation and civil war. in this bilateral agreement a separate article was recorded - withdrawal of Russian troops from Georgia and to have an active military service in the country. It was a great victory of Georgian delegation headed by G. Lordkipanidze; **E).**Based on the interests of Georgia uncompromising position and high qualification of G. Lordkipanidze put M. Orakhelashvili and Sh. Eliava in a hopeless situation. They were well aware that ignoring his demands and publicity of their position should have exposed anti-national course of the new government to the population of Georgia and its discredit would be inevitable. The Kutaisi negotiation of March, 17-18, 1921 and

the stenographic record in fact is a lustration document of two sides: looser and "winner". For the population of Georgia it became obviouse who was who. If we discuss afromention historical fact from this point of view, we may assertain, that on the utterly egregious backgroung of the occupide Georgia it was a positive step forward. Kutaisi negotiation once more completely showed that the government of the Democratic Republic of Georgia had a solicitous position towards his people.

დოკუმენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი № 1

გრიგოლ ლორთქიფანიძისა და მამია ორახელაშვილის 1921 წლის 16 მარტის სატელეფონო საუბარი (სტენოგრამა).

ეს საუბარი ქუთაისის მოლაპარაკებამდე ერთი დღით ადრე სადგურ საჯავახოდან პირდაპირი მავთულით 16 მარტს ღამის 12 საათიდან დაიწყო და დილის 8 საათამდე გაგრძელდა.

ლორთქიფანიძე: მე გახლავარ ლორთქიფანიძე, არის ვინმე თუ არა აპარატთან რევკომის წევრთაგან.

ორახელაშვილი: ვინ არის აპარატთან.

ლ. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ლორთქიფანიძე.

ო. აპარატთან მთავრობის წევრი ორახელაშვილია. მოსალაპარაკებლად გვაქვს თქვენთან საკითხი. მართალია თუ არა ყარაბექირის ცნობა, რომ თქვენმა მთავრობამ გადასცა მის ჯარებს ბათუმი და იგი ვითომ ოსმალეთის ჯარებმა 11 მარტს დაიკავეს.

ლ. არ არის მართალი. მართალია ბათუმში არის ანგორის ჯარის პატარა ჯგუფი, რომელიც შემოვიდა ჩვენის თანხმობით. მაგრამ თვით ქალაქში, ციხეში და აგრეთვე ოლქში ჩვენი სრული დომინაციაა. როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო მხრივ. ანგორის ჯარის ნაწილები დარჩებიან იქ იმ დრომდე, ვიდრე ამაზე ჩვენი თანხმობა იქნება.

ო. მაშასადამე რაღა მიზანი აქვს ჩვენს შეხვედრას და რაზე უნდა ვითათბიროთ თუ ბათუმის ოკუპაცია, თუგინდ თქვენი თანხმობით უკვე ფაქტია.

ლ. კიდევ ერთხელ გიცხადებთ, რომ არავითარ ოკუპაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ერთი საქმეა სურვილი ყარაბექირისა, მეორე საქმეა ფაქტი, რომ ეს ჯგუფი სრულებით არ წარმოადგენს საოკუპაციო ძალას. აქამდე ჯერ არ არის ოკუპაცია, როგორც ფაქტი და როგორც უფლება. ჩვენი ნების დაურთველად არავის შეუძლია ბათუმის და ოლქის ოკუპაცია, თუ არა იარაღით დაპყრობის გარდა.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია შესაძლებლობა, როგორც თქვენს

რადიოშია ნათქვამი, რომ საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას კიდევ სხვა საფრთხე მოელოდეს. ამას ნათლად ამტკიცებს ყარა-ბექირის ცნობა.

რაც შეეხება იმას თუ ჩვენ რაზე უნდა ვისაუბროთ, მგონია რომ საჭიროა საუბარი ბევრ რამეზე; ეხლა თქვენ აღძარით საკითხი და თქვენვე ინებეთ მოგეცათ წინადადება ომის ლიკვიდაციის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოლაპარაკების აუცილებელ საჭიროებაზე.

ო. რამდენადაც თქვენ თავი მთავრობად მიგაჩნიათ, ანგორის შეიარაღებული ორი ასკერის ბათუმში ყოფნაც კი იმას ნიშნავს, რომ ეს ან ოკუპანტები არიან, ან თქვენი მოკავშირენი. საკითხი ტერიტორიის მთლიანობისა, უდიდესი საკითხია. თქვენ უკვე უკუ-აგდეთ სასურველი გადაწყვეტა ამ საკითხისა უცხოელი შეიარ-აღებული ძალის მეშვეობით ბათუმში, მაშინ როდესაც რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციაზე მოსკოვში სრულიად გადაწყვეტილ-ია საკითხი, რომ ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი რჩება საქართველოს საზღვრებში. შეთანხმებაზე ხელი აქვს მოწერილი საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელს მიხა ცხაკაიას (საუბარი დროებით შეწყდა)...

ლ. აპარატთან მთავრობის მოადგილე ლორთქიფანიძეა.

ო. აპარატთან რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ორახელაშვილია. ინებეთ შემატყობინოთ, მიიღეთ თუ არა ჩემი პასუხი და საკითხი თქვენი ცნობის შესახებ ბათუმში ოსმალთა ჯარის შემოსვლაზე თქვენი თანხმობით.

ლ. არ მესმის თქვენი ფრაზა. ჩვენი საუბარი შეწყდა იმ დროს, როდესაც თქვენ შეგვატყობინეთ გადაწყვეტილება მოსკოვის კონ-ფერენციისა. შემდეგ საუბარი შეწყდა. ჩვენ გვინდოდა გვეპასუხა. ინებებთ განაგრძოთ თუ ჩვენ გიპასუხოთ.

ო. გთხოვთ პასუხს.

ლ. ინფორმაციისთვის გმადლობთ. მოსკოვის კონფერენციას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით. იურიდიულად და ფაქტიურად ბა-თუმი ჩვენ ხელშია თუ იგი არავინ დაიპყრო. მისი ბედის გადაწ-ყვეტა შეიძლება მხოლოდ ჩვენთან მოლაპარაკების შემდეგ. ბათუ-მში შემოსული ანგორის ჯარი არც ოკუპანტია, არც ჩვენი მოკავ-შირე. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ამ საკითხისა და სხვების შესახებ მოლაპარაკება და მოვლენის ყოველმხრივი განხილვა შეხვედრის დროს უნდა მოხდეს.

ო. ნება მომეცით დავამთავრო ჩემი ცნობები. ყარაბექირმა ოფი-ციალური მე- 11 არმიის უფროსის სახელზე გამოგზავნილი დეპ-

აშით შეგვატყობინა, რომ დიდი ეროვნული კრების დადგენილებით, ბათუმი, მისი ოლქი, ახალქალაქი შეერთებული უნდა იქნას ოსმალეთთან და რომ მან ამის თანახმად გასცა ბრძანება ხსენებული რაიონების დაჭერის შესახებ. მისი ოფიციალური ცნობის თანახმად, ბათუმი დაკავებულია 11 მარტს. როგორც ხედავთ, ყარაბექირის ცნობით, ბათუმი დაჭერილია ოსმალეთის ჯარის მიერ, ხოლო ახალციხე და ახალქალაქი გვიჭირავს ჩვენ. ჩვენის ღრმა რწმენით ბათუმს ემუქრება აუცილებელი საფრთხე, ერთადერთი ხსნა არის ჩვენი ჯარი დაუყოვნებლივ შეყვანილი იქნას ბათუმში და მთელი თქვენი ჯარი დამორჩილდეს ჩვენს სარდლობას ბათუმის დასაცავად და მის შესანარჩუნებლად საქართველოსთვის. თუ დასთანხმდებით და ცარიელ ვაგონებს გამოაგზავნით, ჩვენი ჯარი დღესვე შევა ბათუმში. ამასთან თავისთავად ცხადია, ჩვენი მოლაპარაკების საფუძველი ისევ ძველი უნდა დარჩეს. თუ ამის თანახმა იქნებით, ჩვენ დაუყოვნებლივ წამოვალთ თქვენთან რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულებთან ამხ. ენუქიძესთან და სვანიძესთან ერთად.

ლ. დიახ, ბათუმს ნამდვილად შეიძლება ემუქრებოდეს და ეტყობა ემუქრება კიდეც საფრთხე ორის მხრივ. ეს საფრთხე მარტო სამხრეთიდან რომ იყოს, მაშინ, ჩვენ დარწმუნებული ვართ მოვიგერიებთ მას. ამიტომ, ჩვენ ენერგიულ წინადადებას გაძლევთ მკვიდრი დროებითი ზავის ჩამოგდებით ხელფეხი გაგიხსნათ და შეგაძლებინოთ სამხრეთისკენ ვიბრუნოთ პირი, დავიცვათ ქალაქი და ოლქი, დროულად დავიწყოთ მოლაპარაკება მტკიცე იმედით, რომ ამ საკითხში ჩვენ ვიპოვით არა მარტო საერთო ენას, არამედ საერთო საქმისთვის მივიღებთ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

ო. ჩვენ, ჩვენის მხრივ გიცხადებთ თქვენ, ჩვენი ქვეყნის წინაშე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთა თანდასწრებით, რომ ჩვენი ჯარის შეყვანით ბატუმში სრულიადაც არ გვინდა დავუკარგოთ მნიშვნელობა ჩვენს მოლაპარაკებას და დაგაყენოთ თქვენ უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე. რაც შეეხება ჩვენსა და თქვენს შორის სისხლის ღვრის შეწყვეტას და ბათუმის უშიშროებას– რაც სრულიად უზრუნველყოფილი იქნება, თუ თქვენ დასთანხმდებით ამას– ჩვენ დაუყოვნებლივ წამოვალთ, წინააღმდეგ შემთხვევაში რესპუბლიკის ტერიტორიის სიმრთელის და კერძოდ ბათუმის დასაცავად, ჩვენ ვსთვლით ბათუმისკენ გალაშქრების დაგვიანებას მისი დაკარგვის თანასწორად, რაც გვაიძულებს დაუყოვნებლივ დავიწყოთ შეტევა ბათუმისკენ. ვაცხადებ კიდევ ერთხელ ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ჩვენ მივდევთ ერთადერთ

მიზანს– ბათუმი შეუნარჩუნოთ საქართველოს. უკანასკნელ შემთხვევაშიაც ჩვენ მაინც მოვდივართ ქუთაისში თქვენთან მოსალაპარაკებლად და თქვენც გიწვევთ ქალაქ ქუთაისში.

ლ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თქვენ მიერ ნაჩვენები საშუალება საკითხის გადასაწყვეტად წარმოადგენს იმავე ხელშეკრულებას დროებითი ზავის შესახებ, რის შემდეგ მთელი ჩვენი ჯარები უნდა ემსახურონ იმ მიზანს, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ. ჩვენი ძალაუფლება სრულიად საკმაოა და ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენ დავიცავთ ბათუმს და ოლქს ფორმალური ლიკვიდაციის წამამდე, ამიტომ თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წამოხვიდეთ, როგორც იყო დაპირებული. მე გზაში ვარ სამტრედიასთან. ეს არის ეხლა მოვიდა დელეგაცია ტფილისიდან: წერეთელი და ღლონტი.

ო. ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოა. ამასთან ერთად მოვდივართ ქუთაისში. წამოდით თქვენც.

ლ. როგორ უნდა გავიგოთ ეს; მაშასადამე დროებითი ზავი გრძელდება ყოველს შემთხვევაში ერთმანეთთან შეხვედრამდე.

ო. თქვენ აღარ გეომებით, გათენებისას მოძრაობა ბათუმისკენ განახლდება.

ლ. პირდაპირ სთქვით, თუ აქ ფრონტია, ჩვენს შორის არ არის ზავი და შეთანხმება და თქვენ წინ წაიწევთ, ეს სწორედ სამხედრო მოქმედების განახლებაა. მაშინ რა აზრი აქვს იმას, რომ წამოვიდე გამოლაშქრებულ თქვენ ჯართან შესახვედრად, ან საზოგადოდ რა აზრი ექნება ჩვენ შეხვედრას. გადაწყვეტილება რომლითაც მე მოგმართავთ იმავე ძირითად მიზანს ემსახურება, რომელიც ამჟამად თქვენ დაგისახავთ, მაგრამ ამ საკითხს ჩემს მიერ შემოთავაზებული წინადადება უფრო მიზანშეწონილად სწყვეტს.

ო. ჩვენ სხვა გამოსავალ გზას არ ვხედავთ. თქვენთან ომი არ გვსურს, მაგრამ მოძრაობა ბათუმისკენ მის დასახსნელად განახლდება. ყოველ პირობებში მზად ვართ თქვენთან მოსალაპარაკებლად. მზად ვართ შეთანხმების უმთავრესი მუხლები გადავწყვიტოთ პირდაპირ მავთულით.

ლ. აუცილებლივ საჭიროა, რომ ხვალ თქვენმა ჯარმა წინ არ წამოიწიოს, რათა ობიექტურად მოკავშირეთა შორის ხვალინდელი დღიდან, რაც შესაძლებელია არ მოხდეს მეტად მიუტევებელი და უმსგავსო სისხლის ღვრა. ეს მოუთმენლობა თქვენის მხრით არამც თუ ხელს არ შეუწყობს ბათუმის საკითხის გადაწყვეტას, როგორც ეს სასურველია ორივე მხარისთვის, არამედ უფრო გაამნელებს და ვიღაც მესამეს გაახარებს. მე მოვითხოვ საქართვე-

ლოს წინაშე, საბჭოთა თუ არასაბჭოთა, მივიღოთ პასუხსაგები გადაწყვეტილება, შევთანხმდეთ ძირითად საკითხებში, რათა შესაძლებელი იქნეს ფრონტის შეცვლა. თუ შეიძლება მითხარით, აბელი ხომ არ არის აპარატთან.

ო. აბელი ეხლა აქ არ არის, მაგრამ შეიძლება დავუძახოთ. ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ მარტო ბათუმის შიში გვხდის ჩვენ მოუთმენლად. ამ საკითხში ყოველი წუთი დაგვიანებისა უფრო და უფრო ართულებს საქმეს. ნებაყოფლობით შეშვება ჩვენი ჯარისა ბათუმში არა თუ ხელს არ უშლის ფრონტის გადაკეთებას, არამედ ამაგრებს ამ ფრონტს სამხედრო და პოლიტიკური მხრივ და ხდის მას სრულიად მიუწვდომელად მტრისთვის. გარდა ამისა ჩვენ არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ჩვენი გაკვირვება იმის გამო, რომ თუ მართლა ბათუმში ოსმალეთის ჯარი შეუშვით, იმავე დროს ასე ენერგიულად ეწინააღმდეგებით ჩვენი ჯარის შეშვებას ბათუმში და მასთან ხვალინდელი დღე მიგაჩნიათ ჩვენს შორის ზავის დღეთ.

ლ. ნუთუ არ გესმით, რომ ერთი დღე დასჭირდება ამ საქმის არა მარტო გადაწყვეტას და ორგანიზაციას, არამედ მარტო ჩვენის ფრონტისთვის უბრალო შეტყობინებას და განმარტებას ყველა ამისა ჩვენი ჯარისთვის და სარდლობისთვის. ნუთუ ეს გასაგები არ არის, რომ ასე თუ ისე, ერთი დღის შემდეგ ჩვენ ერთად ვიქნებით. ერთი ასათ უფრო ადვილი იქნება საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის გადარჩენის საკითხი, ვიდრე მაშინ, თუ თქვენ ეხლავე უჩვენოდ და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ გამოილაშქრებთ. ჩვენ გთხოვთ ეხლავე დაუძახოთ აბელს.

ო. აბელი აპარატთან არის.

ლ. მე გადაჭრით მოვითხოვ, რომ აბელმა მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის გადაწყვეტაში. აბელმა გამოსთქვას თავისი აზრი.

აბ. ლაპარაკობს აბელი. ვაძლევ რა დიდ მნიშვნელობას ჩვენს მოლაპარაკებას, მე ვცდილობ წინსვლაზე ბრძანების გაუქმებას. მე, სვანიზე და ორახელაშვილი ვართ მზად წამოსასვლელად და გთხოვთ თქვენც წამოხვიდეთ.

ლ. მე კვლავ დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ ის ბრძანება გაუქმდეს. ეს დანაშაული იქნება, რადგანაც დარწმუნებული ვარ და თქვენც უნდა დაიჯეროთ, რომ ამ შეთანხმებით მივაღწევთ სწორედ იმ მიზანს ტერიტორიის მთლიანობას ან უმსხვერპლოდ ან სულ მცირე მსხვერპლით. ხოლო ის რასაც თქვენ ხვალ აპირებთ, მაპატიეთ და რაღაც უგნურობაა. რაც შეეხება ჩემ წამოსვლას, მე უკვე წამოვედი და ამჟამად სამტრედიის ხიდთან ვარ. თუ თქვენ

გულწრფელად გსურთ ამ საქმის კეთილად დაბოლოება, თქვენ უნდა განაგრძოთ ბრძოლის შეჩერება. მე, რა თქმა უნდა შემიძლიან ეხლავე ხიდს გადმოვიდე და თქვენთან შესახვედრად წამოვიდე.

ენუქიძე. ჩემის ძალდატანებით, ბრძანება ბათუმისკენ მიმავალი ჯარის ჯგუფისათვის გაუქმებულია. ხოლო სამხრეთის ჯგუფისთვის, სარდლობის აზრით, ტექნიკურის პირობით ბრძანების გაუქმება სრულიად შეუძლებელია და ამგვარად დღეს საღამოთი შეიძლება ჯარის ნაწილები ბათუმს მიუახლოვდნენ. სარდლობის სიტყვით, ამ ნაწილებს მიეცა ბრძანება წარმოგზავნონ პარლამენტიორები და შეატყობინონ თქვენს სარდლობას, რომ მათ დავალებული აქვთ მტერი არ შემოუშვან ბათუმში გარედან.

ო. ეხლახან გადმოცემულისგან შეგიძლიათ დარწმუნდეთ ჩვენს გულწრფელ სურვილებში მოვსპოთ ომი და გადავარჩინოთ რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობა. რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს სამხრეთის ჯგუფი შემოშვებული უნდა იქნას ბათუმში უბრძოლველად. თუ ამაზე თანახმა ხართ, ჩვენ თქვენი შემწეობით გადავცემთ ჯგუფის სარდალს შიფრიან დეპეშას შესაფერი შინაარსით.

ლ. რომელი მიმართულებით მიდის ეს ჯგუფი.

ო. ახალციხე- ბათუმის გზატკეცილით.

ლ. სრული შესაძლებლობაა შეაჩეროთ ეს ჯგუფი, გარდა თვითონ უღელტეხილისა, სადაც შეიძლება უხერხული მდგომარეობა შეიქმნას, ვფიქრობ, რომ საუკეთესოდ მოეწყოს ჩვენი აუცილებელი შეთანხმება, საჭიროა ჯარის ეს ჯგუფიც შეაჩეროთ უფრო შესაფერ ადგილებში. რაც შეეხება კავშირს, იგი უზრუნველყოფილია როგორც ბათუმ- ხულოთი, აგრეთვე ხულო- ახალციხით და ხაშურ- ბორჯომ- ახალციხით.

ო. ჯგუფი უღელტეხილს უკვე გადავიდა, მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია და არც კავშირი გვაქვს ამჟამად ამ ჯგუფთან. განა შეგვიძლია მოხსენებული შინაარსის შესაფერი ბრძანება.

ლ. მე არ მესმის, რატომ არ შეუძლია შეჩერება რომელიმე მოსახერხებელ ადგილას– რასაკვირველია არა უღელტეხილზე. რაც შეეხება შიშს, მესამე ძალის მხრივ გართულების შესახებ, იგი უზრუნველყოფილია ჩვენი ჯარის საფარით. რაც შეეხება თქვენს ბრძანებას ჯარის შეჩერების თაობაზე, ჩვენ გადავცემთ თავის დროზე, უკვე თუ თქვენ არა გაქვთ კავშირი, თუმცა გუშინ ხულო ესაუბრა ახალციხეს. მე ერთხელ კიდევ მოვითხოვ არა ერთხელ გამოთქმული მოტივებით, ნუ ართულებთ ამ ნათელ და სუფთა

საქმეს სამხრეთის ჯგუფზე მითითებით, რომელიც უბრძოლველადაც რომ წავიდეს, ეგრე ადრეც ვერ იქნება ბათუმთან, როგორც ეს თქვენ გგონიათ. როგორც საფიქრებელია, ამ ჯგუფის მიზანია ბათუმის დაცვა, რასაც ჩვენი ჯარი სავსებით კარგად ახერხებს.

ო. ვიმეორებ, ჯარის ჯგუფი არ შეიძლება შეჩერებული იქნეს მრავალი მიზეზებით, რომელთა შესახებ ლაპარაკი მავთულით შეუძლებლად მიმაჩნია. თუ ეს ჯგუფი საღამოსთვის არ მივა ბათუმთან, საკითხი თავისთავად გადაწყდება. თუ იგი არ მივა, ჩვენ წინაშე დგება საკითხი ნებით გაატარებთ ჯარს, თუ მან ძალით უნდა გაიაროს. პირველ შემთხვევაში ჩვენ ვაძლევთ შესაფერ დირექტივებს, მეორე შემთხვევაში თავიდან ვიცილებთ ყოველივე პასუხისმგებლობას მოსალოდნელი შედეგებისთვის.

ლ. წინადადებას გაძლევთ ბრძანება სამხედრო მოქმედებების შეჩერების შესახებ გააფართოვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სუყველა ამას ეკარგება ყოველივე აზრი. რა განსხვავება აქვს არსებითი შეთანხმებისთვის ერთი თუ ორი მიმართულებით იქნება შემოტევა. ჩვენ მაინც ჩვენს აზრს ვიცავთ, რადგან იძულებული ვიქნებით სამწუხაროდ ავიცილოთ თავიდან ყოველივე პასუხისგება შესაძლებელი შავბედითი გაუსწორებელი შედეგებისა.

ო. ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა და გამოწვეულია სამხრეთის ჯარის მდგომარეობით. თუ ჩვენი წინადადება შეუწყნარებლად მიგაჩნიათ მოლაპარაკება გათავებულად ჩავთვალოთ.

ლ. ვიმეორებ, არაერთხელ ჩვენ პრინციპულად თითქოს ვიპოვეთ საერთო საფუძველი ომის ლიკვიდაციისათვის და ჩვენი კონკრეტული წინადადება სამხრეთის ჯგუფის შესახებ გადაწყვეტილი იქნება ნახვისა და შეთანხმების სასარგებლოდ. თქვენ გვაყენებთ ისეთ პირობებში, ძლიერაც რომ გვსურდეს თქვენი წინადადების მიღება, თქვენ არ გვაძლევთ არც დროსა და არც ადგილს, რომ შევძლოთ პრაქტიკულად განვახორციელოთ ეს წინადადება თავის დროზე და უმტკივნეულოდ.

ო. ვიმეორებ, ჩვენთვის სხვანაირი გადაწყვეტილება სამხრეთის ჯგუფის შესახებ არ არსებობს. თქვენ განკარგულებაში არის მთელი დღე, რომელიც სრულიად თავისუფლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შესაფერი განკარგულებისა და თქვენი სარდლობის მოქმედების ჩვენთან შეთანხმებისათვის ბათუმის თბილისთან დაკავშირებით.

ლ. ჩვენ ვეცდებით ყველა ზომებით ავიცდინოთ შეტაკება ქართველთა და რუსის ჯარების. ხოლო ამჟამად მე საკმაოდ არ ვიცი, როგორია საქმის ვითარება აჭარის წყლის ხეობაში. შესა-

ძლებელია ქართველი და რუსი ჯარი უკვე ერთმანეთს ებრძვის. არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა შესაფერისი განკარგულების მიცემას. მე მაინც ვეცდები ამას. დელეგაციების შეხვედრამდე თქვენი ამხანაგების წამოყვანას ვეცდები, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან ბათუმში და რომელთა წამოყვანა საჭიროა ზოგიერთ მიზეზთა გამო, რომელზედაც მავთულით ლაპარაკი არ არის მოსახერხებელი და რომლის შესახებაც სწერს თავის წერილში სერგო ქავთარაძე. ეს წერილი მე თან მაქვს.

ო. თქვენს განკარგულებაშია თქვენივე განცხადებით მავთული ხულოში და თქვენ შეგიძლიათ აცნობოთ, რაც გნებავთ თქვენი ჯარის ნაწილებს. ჩვენ დაუყოვნებლივ ვსხდებით უკვე დამზადებულ მატარებელში და მივდივართ საჩქაროდ ქუთაისში, სადაც მოგიწვევთ თქვენც. დაპატიმრებული ამხანაგები გთხოვთ გამოგზავნოთ ქუთაისში. ყველა დანარჩენის შესახებ შეხვედრის დროს ვიმსჯელებთ. აბელი გთხოვთ შეატყობინოთ შეიმანის შესახებ.

ლ. შეიმანი ცოცხალია და კარგად არის. თუ იცით როგორ არის მახარაძე.

ო. როგორც შეიმანი. აბელი გთხოვთ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოთ შეიმანი და მისცეთ შესაძლებლობა წამოვიდეს თბილისში. ასევე მოვექცევით მახარაძეს.

ლ. შეიმანი არ არის დაპატიმრებული. მას ეკრძალება რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლა. სანამ სამაგიეროთ არ იქნება განთავისუფლებული გერასიმე მახარაძე, სამშობლოში დაბრუნების აზრით. თქვენი წინადადება ყოფილი ელჩების ერთი- ერთზე გაცვლის შესახებ სრულიად მისაღები და სწორია. გვიპასუხეთ როდის იქნებით ქუთაისში, რომ შევუთანხმოთ ჩვენი ჩამოსვლა. გაცნობებთ, რომ ჩვენი პარლამენტიორები სამტრედიაში მ.გურგენიძე და მესაყვირე ჯარისკაცი ორი დღეა დაკავებულია სამტრედიის ჯგუფის სარდლობის მიერ. გაეცით სათანადო განკარგულება.

ო. მაშასადამე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მახარაძეს და შეიმანს დღეიდან მოხსნილი აქვს დაკავება- დაბრუნების უფლების მინიჭებით და ისინი სრულიად თავისუფალნი არიან. თქვენ მიერ ამაზე თანხმობის განცხადებისთანავე ეცნობა მოსკოვს. პარლამენტიორების დაკავება ჩათვალეთ გაუგებრობად და სათანადო განკარგულება გაიცემა. ამ საათში სკარმი გვატყობინებს, რომ თქვენთან კავშირის აღდგენის დროს ხიდიდან თქვენ მიერ წაყვანილია მშვიდობის სახით ინსტრუქტორი ბელინსკი, ერთი მეთვალყურე და ორი მუშა. ჩვენ ვფიქრობთ ქუთაისში ვიქნებით არა უგვიანეს დღის 3 საათისა.

ლ. რომელ რიცხვში შეგიძლიათ იყოთ თქვენ ქუთაისში.

ო. მოვდივართ საგანგებო მატარებლით და ყოველ შემთხვევაში საღამოთი ვიქნებით.

ლ. კარგი, მაგ დროისთვის ჩვენც ვიქნებით. თქვენი ხალხი მართალია დაჭერილია, მაგრამ მხოლოდ თქვენ მიერ ჩვენი პარლამენტიორების დაკავების ერთი დღე და ღამის შემდეგ. ამიტომ განთავისუფლების სიტყვა ჯერ თქვენ გეკუთვნით. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ თქვენები იქნებიან განთავისუფლებულნი. მაშ კარგი, ნახვამდის.

ო. ნახვამდის.

დოკუმენტი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის 1921 წლის 17- 18 მარტის საზავო მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობების წარმომადგენლებს შორის

(სხდომა იხსნება 1921 წლის 17 მარტს, საღამოს ...საათზე)

მ.ორახელაშვილი: მოქალაქენო, საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის დავალებით მაქვს პატივი ვიყო წარმომადგენელი ამ კომიტეტისა მოლაპარაკების დროს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელებთან. მაქვს სათანადო რწმუნების ბარათი, გთხოვთ გაიცნოთ ეს და გაგვაცნოთ თქვენი ბარათები.

გ.ლორთქიფანიძე: მე მაქვს მოცემული რწმუნება ვაწარმოო მოლაპარაკება და მოვახდინო შეთანხმება. ჩემთან ერთად არის მრჩეველი სამხედრო საკითხებში ი.გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი ა.დგებუაძე და მდივნათ დელეგაციისა დ.შარაშიძე.

აბ.ენუქიძე: მე მაქვს მონდობილობა რუსეთის საბჭოს მთავრობისა, რომ მონაწილეობა მივიღო და მისი სურვილი გამოუაცხადო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ეს სურვილი უკვე გამოცხადებული არის (კითხულობს). მეორე რწმუნების ქაღალდი არის ამხ.სვანიძის სახელზე იგივე შინაარსისა. სვანიძე არის დანიშნული ჩემს თანაშემწედ.

მ.ორახელაშვილი: საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის დელეგაციაში შედიან როგორც მთავარი რწმუნებული მე, სამხედრო საქმეებისათვის ამხ. შალვა ელიავა და მდივნათ ამხ. გამბაროვი. ეს დელეგაცია სრულიად იღებს საბჭოთა მთავრობის წინადადებას და წინადადებას იძლევა, რომ ამხ. ა.ენუქიძე იყოს დანიშნული ჩვენი თათბირის თავმჯდომარეთ და ამას, მე მგონია, მიიღებს მეორე მხარე.

გ.ლორთქიფანიძე: სიამოვნებით.

თავმჯდომარე: პატივცემულო მოქალაქენო და ამხანაგებო, უპირველეს ყოვლისა მადლობას გწირავთ იმ მონდობილობისათვის, რომლითაც თქვენ ჩემი თავმჯდომარეობა ინებეთ. ჩვენი აქ შეყრა იმ პირებისა, რომელნიც ოდესღაც ერთ პოლიტიკას ვაწარმოებდით, ერთ მიზანს ვემსახურებოდით, ერთად ვიტანჯებოდით საზოგადო მიზნისათვის, ჩვენი აქ შეყრა, როგორც მოპირდაპირეებისა დღეს იმის მომასწავებელია, რომ ისტორიის მსვლელობის გზა ძალიან რთულია, ისე რთულია კაცობრიობის განვითარების გზა, რომ მისი გათვალისწინება წინდაწინ ჩვენ არ შეგვიძლიან. ამ უკანასკნელ დროის განვითარებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ბევრი რამ ხდება ცხოვრებაში ისეთი, რისი გათვალისწინებაც ძნელია. ამიტომ დღეს როდესაც მიხდება მონაწილეობის მიღება იმ შეთანხმებაში, რომელიც ძლიერ სასურველი და პასუხისმგებელია, როგორც ჩვენთვის, ისე დარწმუნებული ვარ, თქვენთვის, მე მინდა დავახასიათო მოკლედ ის მდგომარეობა, რომელმაც აქამდის მოგვიყვანა. ვინც გულდასმით შეისწავლის რუსეთის რევოლუციის განვითარებას უკანასკნელ წლებში, დამოკიდებულებას გარეშე ქვეყნებისადმი, თუ მიუდგომლად შეისწავლის ყველა განვითარების მომენტს, დარწმუნდება, რომ ის რაც დღეს მოხდა, აუცილებელი იყო. ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, რომ რაც უნდა საწყენი იყოს, ერთი მხარისათვის, ყველამ უნდა ჩავიქროთ გულში ყველა პირადი სიხარული და სევდა, და ვეცადოთ საზოგადო ზომებით და საზოგადო გზით გამოვნახოთ ის საერთო ენა, რომლის შესახებ დიდათ პატივცემული გ.ლორთქიფანიძე იწერებოდა გუშინ თავის დეპეშაში და გამოსთქვამდა იმედს, რომ ეს გარეშე პირობები თქვენც და ჩვენც, ყოველივე პირადობას დაგვავიწყებინებს და გამოგვაძებნინებს საერთო ენას, საერთო ზომებს, რომ დავიცვათ ის რაც თქვენთვის და ჩვენთვის ძვირფასია. მე პირადად მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა მონაწილეობა მიმეღო ამ მოლაპარაკებაში. რასაკვირველია არა ვარ იმის მოხარული, რომ საქმე იქამდე მივიდა, რომ სისხლი დაიღვარა, ბევრი მატერიალური ზარალი მიეცა ქვეყანას, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ წილი დამედო იმაში, რომ დღეს მაინც შევაჩერო ის საზარალო შეტაკება, რომელიც კარგ ნაყოფს არ მოუტანს საზოგადოებას. მდგომარეობას ვერ შეცვლის, ზარალს კი ვიმეორებ ბევრს მოიტანს.

დღეს მდგომარეობა ისეთია, რომ ბათუმის კუნჭული ისეთ ადგილს წარმოადგენს, რომ ოსმალებს თვალი უჭირავს და ანტანტაც თავის პოლიტიკას ისე აწარმოებს, რომ ხელში ჩაიგდოს ან თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს ეს კუნჭული. მაგრამ ამ კუნჭულის

ჩამოშორებით საქართველო როგორიც უნდა იყოს, საბჭოთა საქართველო თუ დემოკრატიული საქართველო, ეკონომიურად დიდად დაიჩაგრება. მე კარგად მახსოვს, როდესაც ბათუმი საქართველოს დაუბრუნდა, რა სიხარული გამოიწვია მან ქართველ ერში და ქართველ მთავრობაში. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის პირები, რომლებიც საქართველოს მთავრობის სათავეში იყვნენ, დღევანდელ მდგომარეობაში არ კარგავენ შესაძლებლობას შემდეგშიაც განაგრძონ თავისი მოღვაწეობა. ამით არ თავდება მისია საქართველოს მთავრობისა და კერძოთ იმ პირებისა, რომელნიც ჩარეულნი არიან როგორც საქართველოს მთლიანობაში, ისე საქართველოს მართვა- გამგეობაში. ამ პირებისათვის საქართველოს მთლიანობა, სისხლის ღვრის შეწყვეტა და ყველა ზარალის და შესუსტების მოსპობა ისეთივე სასურველი იქნება, როგორც მეორე მხარისათვის, როგორც არის თქვენთვის. თქვენი ცნობებიდან ვიცით, რომ ბათუმს საფრთხე მოელის. ჩვენ ამაში ეჭვი არ შეგვაქვს, თუმცა ფორმალურად საქმე ისე არის, როგორც უკვე გაუწყეთ თქვენ ამას წინათ. ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ბათუმის შესახებ უკვე მოხდა შეთანხმება რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ამ შეთანხმების თანახმად, ბათუმის ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი უნდა დარჩეს საქართველოს საზღვრებში. ეს ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია და რუსეთი დაჟინებით მოითხოვს ოსმალეთიდან, რომ უსათუოდ ბათუმი საქართველოს ხელში დარჩეს. მაგრამ თქვენ ძალიან კარგად იცით, იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური მდგომარეობა კარგად, მჭიდროდ არ მოიკიდებს ფეხს, თუ რა გავლენა აქვს ჯარის უფროსებს, ან სხვა და სხვა პარტიებს და მათ წარმომადგენლებს. ამას ვხედავთ ჩვენ ოსმალეთში. ოსმალეთის მთავრობასთან, ვიმეორებ, შეთანხმება არის. ის იძულებული იყო თანახმა გამხდარიყო ბათუმის ოლქი საქართველოს ფარგლებში დარჩეს, მაგრამ ოსმალეთის ჯარის უფროსს სხვადასხვა ინტერესები, სხვადასხვა პირობები უკარნახებს იმას, რომ ისარგებლოს იმით, რომ ანტანტა მუდმივი და დაუძინებელი მტერია რუსეთისა, ისარგებლა ძალით, რომ ბათუმი დაისაკუთროს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის წინააღმდეგ თქვენც შეებრძოლებით და შეერთებული ძალით ჩვენ დარწმუნებული ვიქნებით, რომ ბათუმი დარჩება საქართველოს ფარგლებში. მით უმეტეს, რომ რაც შეეხება დღეს რუსეთს და მის მდგომარეობას, ჩვენ დარწმუნებული ვართ პოლიტიკურად ის უფრო მაგრდება და იკიდებს ფეხს. ამას მოწმობს ისიც, რომ ჩვენ ვიცით რომ ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია. თქვენ კარგად გეცოდ-

ინებათ, რომ პოლონეთს ანტანტა ძალას ატანდა, რათა ხელშეკ-
რულება ჩაეშალა, აგრეთვე ანტანტა მოწადინებული იყო, რომ
საბჭოს მთავრობასთან არაფერი ხელშეკრულება არ შეეკრა და
თუ აშკარა ინტერვენციით არა, სავაჭრო ბლოკადით მოესპო მისი
ვაჭრობა. მე ვამბობ, რაც მოხდა კავკასიაში,- ეს მოულოდნელი
იყო. მე აქ ნებას არ მივცემ ჩემ თავს დაწვრილებით ჩამოვთვალო
ყველა ეს მიზეზები, მაგრამ, ვიმეორებ, დღეს ეს ყველაფერი დავივი-
წყოთ, რაც მოხდა ჩავთვალოთ ფაქტად და ჩვენ მოწადინებული
ვართ, რომ საქართველოს ამ ბრძოლის გაგრძელებით ზიანი არ
მიეცეს. მე კერძოდ მონდობილობა მაქვს, რომ ვიშუამდგომლო
საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისა და საქართველოს
დემოკრატიული მთავრობას შუა, რომ სათანადო შეთანხმებით
მოვსპოთ ეს ბრძოლა. მონდობილი მაქვს, რომ გამოგიცხადოთ
სურვილი რუსეთის მთავრობისა, რომ შემდეგში მთავრობა, რომელ-
მაც ამ ბრძოლამდი მიიყვანა, უსათუოდ მონაწილეობა მიიღოს სა-
ქართველოს მთავრობაში იმ ნაწილმა მთავრობისამ, რომელიც
მონაწილეობის მიღებას მოისურვებს და რასაკვირველია, შეურიგდე-
ბა იმ ფაქტს, რომ ამ დღევანდელმა ბრძოლამ ცვლილება შეიტანა
და შეიტანს საქართველოს პოლიტიკაში. უმთავრესი ცვლილება
გამოისახება იმაში, რომ საქართველოს პოლიტიკა უფრო მჭიდროდ
დაუახლოვდება რუსეთს, ე.ი. ძირითადად შეიცვლის თავის ორიე-
ნტაციას. რაც შეეხება შინაურ წესწყობილებას,- ეკონომიურს და
პოლიტიკურს, აქაც რასაკვირველია, ცვლილება იქნება შეტანი-
ლი. რაც შეეხება ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას, ჩვე-
ნი აზრი არის, რამდენადაც საქართველო განსხვავდება რუსეთიდან
თავის ძალთა განწყობილებით, შეიძლება სხვანაირი წესწყობილებ-
ის, სხვანაირი პირობების ჩამოყალიბებით. ეს რასაკვირველია საქმეა
უფრო იმათი, ვინც სათავეში მოექცევა მთავრობას და ვინც უკეთე-
სად იცის ადგილობრივი პირობები. ამითი მე მინდა გამოვთქვა,
რომ რუსეთის საბჭოს მთავრობა არავითარ გარეგნულ ძალას არ
იხმარს იმისთვის, რომ აქ გადაატრიალოს შინაური წესწყობილე-
ბა და წესრიგი საქართველოში. მე ვამბობ, რომ უმთავრესი მიზა-
ნი, თუ ეს შეთანხმება მოხდა, თუ ის წესწყობილება, რომელიც
მყარდება დღეს საქართველოში იქნება ცნობილი დემოკრატიუ-
ლი საქართველოს მთავრობის მიერ, რომ ეს მოასწავებს პოლიტი-
კურად დაახლოებას და საქართველოს მხრივ ორიენტაციის შეცვლ-
ას. მე დღეს ნებას ვაძლევ ჩემ თავს მოგიწოდოთ ორივე მხარეს,
რომ რაც შეიძლება მეტი დაკვირვება და რაც შეიძლება მეტი
ნდობა ურთიერთობისადმი გამოიჩინოთ დღეს, დავივიწყოთ ყველა

პირადი რაც ჩვენს შორის დაიდო ამ წლების განმავლობაში და დაუმორჩილოთ ჩვენი თავი, პირადი სურვილი, ჩვენი პირადი გრძნობები საზოგადო საქმეს, საზოგადო ინტერესებს, რადგანაც კიდევ და კიდევ ვიმეორებ, რომ მომავალში არაერთხელ მოგვიხდება ერთად ბრძოლა, ერთად მსვლელობა, ვეცადოთ გამოვნახოთ საზოგადო საშუალება, როგორ მოვეკიდოთ დღევანდელ ძნელ და სამწუხარო მოვლენას და ვეცადოთ ასეთი გზები გამოვნახოთ მომავლისათვის.

გთხოვთ ეხლა ცოტა წესრიგი შევიმუშაოთ, თუ რა კითხვები უნდა დავსვათ და უნდა რაიმე პროგრამა შევიმუშაოთ ჩვენი მოლაპარაკებისა. ბარათები განვიხილეთ და მგონი, იურიდიულად ჩვენ ვცნობთ სრულ უფლებიანად ორივე მხარეს.

მ.ორახელაშვილი: ერთი ძირითადი საკითხი არის შეტანილი დღევანდელ წესრიგში, გამოვიმუშაოთ პირობები ზავის შესახებ და ამ ძირითადი მთავარი საკითხების გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება დეტალებზე გადავიდეთ. უმთავრესი კი არის პირობები ზავის ჩამოგდების შესახებ.

თავმჯდომარე: ეს უმთავრესი კითხვა გახლავთ. თქვენ გნებავთ რაიმე შენიშვნა ამის შესახებ?

გ.ლორთქიფანიძე: მე მგონია ძირითადი კითხვა თავის თავად შეიცავს სხვა კითხვებსაც. შეიძლება თქვენ ახლავე გაანაწილოთ ეს კითხვა.

მ.ორახელაშვილი: ისე რომ ძირითადი პირობებიც მივიღოთ ამ სახით, მე მგონია, ეს საკითხი გაიყოფა ორ ნაწილათ- ძირითადი პირობები, წინასწარი პირობები, რომლის გამოურკვევლობა და მიუღებლობა შეუძლებლად ხდის ჩვენი სხდომის გაგრძელებას. უმთავრესი საკითხი ჩვენი სხდომისა, მე მგონია უნდა იყვეს,- ამ გზით, ამ უმთავრეს ჩარჩოში, შემდეგ რასაკვირველია შეიძლება შევუდგეთ ამ ძირითადი პრინციპების უფრო დეტალურად ჩამოყალიბებას და აღნუსხვას,რასაკვირველია,ეს ძირითადი პრინციპები შესდგება რამდენიმე მუხლისაგან, რომლებსაც მე წარმოვადგენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვახსენებ ამას კრებას. აი ამიტომ მე ჯერ დანამდვილებით მუხლებად დაყოფა შეუძლებლად მიმაჩნია. ჩვენ ხელს არ გვიბორკავს ამ საკითხის იმ სახით მიღება, როგორც მე ვამბობ. შემდეგ გამოირკვევა- რას ვგულისხმობთ იმ პირობებში, რომლის გამოურკვევლად სხდომის გაგრძელება შეუძლებლად მიმაჩნია. მერე იქნება მინიმუმი და შეიძლება მაქსიმუმი, რომელსაც ჩვენ აქ წარმოვადგენთ. შემდეგ ჩვენ გადავდივართ დეტალური პირობების აღნუსხვაზე და გადასინჯვაზე. მხ-

ოლოდ თუ ეს ძირითადი პირობები მიუღებელი დარჩა, მაშინ მე მგონია ჩვენი სხდომა შეწყდება და უკვე შემდეგი სჯა-ბაასი საჭირო არ არის.

თავმჯდომარე: მაშ მე ასე მესმის კითხვა: - თუ ამ ძირითად პირობებზე შევთანხმდებით, შემდეგ ჩვენ გადავალთ წვრილმან კითხვებზე, ამ შეთანხმების დეტალიზაციაზე და აქაც ავღნუსხავთ ჩარჩოს შეთანხმებისას. ჯერ უნდა გამოვიმუშაოთ ძირითადი პირობები, შემდეგ გადავიდეთ იმ კითხვებზე, რომელიც თავის თავად დამოკიდებული არიან ამ კითხვებზე.

გ.ლორთქიფანიძე: ბოდიშს ვიხდი, შეიძლება რამდენიმე წუთით გამანთავისუფლოთ, სასწრაფოდ გამომიძახეს ბათუმიდან და უთუოდ ამას კავშირი ექნება ჩვენს მოლაპარაკებასთან.

თავმჯდომარე: მაშ მე სხდომას შევწყვეტ. (ოცი წუთის შემდეგ). გთხოვთ გავაგრძელოთ შეწყვეტილი სხდომა. კითხვა დასმული იყო იმის შესახებ, რომ პირველათ განვიხილოთ ძირითადი პირობები ზავის ჩამოგდებისა. აქ მამია ორახელაშვილმა გამოსთქვა ის აზრი, რომ თუ ძირითად პირობებზე შევთანხმდით, მაშინ, რასაკვირველია, საჭირო იქნება უფრო წვრილმან დეტალურ კითხვებზე გადავიდეთ. რასაკვირველია, ყველაფერი ამ კითხვის გადაწყვეტას უნდა დაემორჩილოს. თუ ამის თანახმა იქნება მეორე მხარე, მაშინ შეიძლება ძირითადი პირობების გამოკვლევაზე გადავიდეთ, ან თუ გინდათ კიდევ სხვა კითხვების აღნუსხვა.

გ.ლორთქიფანიძე: მე ვფიქრობ, რომ შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს- შევუდგეთ არა რამდენიმე ძირითადი და წინასწარი პირობების გამოკვლევას, არამედ სრულიად კონკრეტული საშური კითხვების გამოკვლევას- არის თუ არა ჩვენს შორის რაიმე ისეთი ზღვარი, რომელიც არ გვაძლევს არავითარ საშუალებას, რომ შევთანხმდეთ ზოგიერთ კითხვებზე. მე ვგულისხმობ ბათუმის საქმეს; წინათაც,როდესაც ამაზე ლაპარაკი იყო,მე არ ვიყავი წინააღმდეგი, რომ ზოგიერთი საკითხი ყოფილიყო დასმული, მხოლოდ მე ეჭვი მეპარება ამის მიზანშეწონილობისა და ახლა, ახალი ინფორმაცია მაქვს ბათუმის შესახებ, ეს უფრო მაბეჯითებს, რომ საჩქაროთ გამოვარკვიოთ ზოგიერთი კითხვები. შემდეგ შეიძლება დიდ ზოგად კითხვებზე გადავიდეთ, რომლებსაც მ.ორახელაშვილი გულისხმობს. მე მოგახსენებთ ბათუმის შესახებ, მდგომარეობა იქ ისეთი ყოფილა, რომ პოლკი რუსის ჯარისა, რომელიც გადავიდა დღეს ხიდზე ჩემის ნებართვით, ჯერ არ მიდის წინ, ვინაიდან ხიდი დღეს ჩვენს ხელში არის. მთავარსარდალს უნდა ჰქონდეს ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს და გვეკითხება შევატყ-

ობინოთ შედეგი ამ თათბირისა. ამაზე იქნება დამოკიდებული –წავა თუ არა წინ ჯარი. მეორე გარემოება, რომელიც საშური გახლავთ, შემდეგია: ჩვენ საომარი მოქმედება ჯერ არ დაგვიწყოა ქემალის წინააღმდეგ. ის მეტისმეტად თავხედათ მოდის ბათუმის ოლქში და ჩვენთვის ძნელია შექმნილ პირობებში ვაწარმოოთ ომი საჯავახოში, სუფსის ფრონტზე და მეორეს მხრით ბათუმის ფრონტზე (ამავე დროს მორალურ- პოლიტიკურადაც მისაღები და სასურველი არ არის ვაწარმოვოთ ბრძოლა თქვენს ფრონტზე). ოსმალეთი იმ გარემოებით სარგებლობს, რომ ჩვენი უმთავრესი ყურადღება აქეთ იყო მიპყრობილი და იქედან საფრთხეს არ მოველოდით. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი უნდა შეეჩერებინა აქ აღნიშნულ ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთთან, ის მოდის და, როგორც დღევანდელი ინფორმაციიდან გავიგე, ერთი შორეული მთა ბათუმისა დაუჭერია ახლად მოსულ პოლკს. როგორც ეტყობა, მე ჯერ არ მაქვს საკმაო ინფორმაცია, რომ გადაჭრით და კატეგორიულად განვაცხადო ეს, აქ- ჯერ არ აუტეხია ჩვენ ჯართან ბრძოლა, ალბათ იმის მოლოდინში, რომ გამოირკვეს მდგომარეობა. ჩვენი სურვილი გახლავთ, არავითარი ფრონტი აღარ დარჩეს თქვენსა და ჩვენ ჯარებს შორის,ჩვენთვის პრინციპიალურად განსაზღვრულ პირობებში მისაღები იქნება არა მარტო ის, რომ თქვენი ჯარები შევიდნენ ოლქში, რომ ჩვენმა ჯარმა თქვენ ჯართან ერთად დაიწყოს სამხედრო მოქმედება, თუ ქემალი იერიშებს მოიტანს, შეიძლება ნაჩქარებია ის, რასაც ვგულისხმობთ, მაგრამ მაინც ჩვენ ვდგევართ პრინციპიალურად იმ ნიადაგზე,რომ, როგორც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ საბჭოთა რესპუბლიკა, როგორიც არ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ფორმა, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი, ეროვნული და ყოველგვარი, რომ ვეცადოთ ეს ოლქი დარჩეს ყოველ შემთხვევაში საქართველოს. ვიმეორებ, როგორც არ უნდა იყოს ის. ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო გეზი. მაგრამ მდგომარეობა რომელიც ეხლა შეიქმნა, მეტად გართულებულია. გაართულა ის ოსმალების შემოტევამ. აი, ამიტომ ვითხოვ, რომ ეხლავე შეიძლებოდეს ამ კითხვების ირგვლივ გამოვთქვათ ჩვენი აზრი, მოვახდინოთ შეთანხმება, რათა ქართულმა ჯარმა სასწრაფოდ მიიღოს ზომები ნამდვილი ბრძოლა გააჩაღოს ფრონტზე და იმავე დროს თქვენი ჯარი საჯავახოდან შევიდეს ბათუმის ოლქში და შეერთებული ძალით გამოვიმუშაოთ ის საშუალებები, რომლებიც შეძლებას მოგვცემს ავიცილოთ ის საფრთხე, რომელიც მოელის საქართველოს, მის მთ-

ლიანობას. მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ ის ზოგადი პრინციპიალური საკითხები რომელიც წამოაყენა მ.ორახელაშვილმა, გამორკვეული იყოს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არ არის ეს დაკავშირებული ერთი მეორესთან. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს კითხვები ეხლავე უნდა იყოს დასმული და შეიძლება რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ კიდეც მივცეთ გარკვეული პასუხი.

მ.ორახელაშვილი. მე ვერ გამიგია, გუშინ მაგალითად ეს თქვენი პირადი განკარგულება იყო, რომ წითელი ჯარი გაეშვათ წინ, თუ ეს იყო მთავრობის დასტურით, რომ პოლკი გადასულიყო ხიდზე. განკარგულება იმის შესახებ, რომ ვაგონები გასულიყვნენ წითელი ჯარის გადასაყვანად– ეს იყო თქვენი პირადი განკარგულება. თუ მთავრობა ადასტურებდა ამას და ეს საერთო მთავრობის დასტურით იყო, რატომ ეს ჯარი არ მიდის, არ უშვებენ წინ და ჩვენ რომ თათბირი დავტოვოთ, ვთქვათ გენერალური დებატები არ გავმართოთ ჩემს მიერ წამოყენებულ საკითხზე, რა საბუთები, რა საკითხები უნდა გამოვარკვიოთ, რომ ეს თქვენი გუშინდელი გადაწყვეტილება სისრულეში იყოს მოყვანილი. რა საკითხი უნდა გულისხმობდეს პასუხს, რომ წითელ ჯარს მიეცეს საშუალება გასწიოს ბათუმისკენ. უშიშრათ, მე მგონია თქვენი პოზიცია გულისხმობს, რომ თქვენი საკუთარი ძალით დაიცავთ ბათუმს. თქვენ გინდათ რომ წითელმა ჯარმა შეაჩეროს თავისი წინსვლა. გინდათ რომ ერთგვარი დემარკაციული ხაზი გავლებული იყოს და თქვენი საკუთარი ძალით შეებრძოლოთ ქემალს; თუ ასე გინდათ, საკითხის დასმა, ეს მე მესმის; მაგრამ თუ თქვენ ამბობთ, რომ წითელ ჯარს შეუძლიან წინსვლა- რა წინასწარი საკითხია გამოსარკვევი, რომ ჩვენ მივიღოთ; რაზე, რა კითხვებზე უნდა გავცეთ პასუხი, რომ თქვენ, მაგალითად, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, გულისხმობთ, აცხადებთ: „ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ წითელი ჯარის ერთ- ერთი პოლკი ან მსხვილი ნაწილი უნდა გაეშუროს ბათუმისკენ კონკრეტულად, რა საკითხი უნდა იყოს, რა საკითხის ირგვლივ გულისხმობთ თქვენ, უნდა მოხდეს კამათი.“

გ.ლორთქიფანიძე: მე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას, ამის ისტორიას. გუშინ მეთერთმეტე არმიის მთავარ სარდალთან ჰქონდა ლაპარაკი ჩვენ სარდალს და ამის შემდეგ მან გააკეთა შემდეგი განკარგულება, თუ წინადადება: რომ თქვენმა სამხედრო ჯგუფმა, რომელიც მიდის ახალციხიდან, რაც შეიძლება სასწრაფოდ იაროს და შეეთანხმოს ჩვენს ჯარს, როდესაც დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ისე რომ აქ კატეგორიული განკარგულება იყო სწრაფი სვლისა თქვენი ჯარებისა ხულოს მიმართულებით. რაც შეეხება

მეორე მიმართულებას- თქვენ სარდლობას დამზადებული ყავდა სამტრედიის ჯგუფი, რომლისთვისაც უნდა გამოეგზავნათ ბათუმიდან პირველი შესაძლებლობისთანავე ცარიელი ვაგონები. ამ ჯგუფის ბათუმისკენ გამგზავრება მოყვებოდა ჩვენს შეთანხმებას. გაცემული იყო განკარგულება, რომ გაგზავნილი ყოფილიყვნენ ცარიელი ვაგონები. ეს ვაგონები მოსულა. შალვა ელიავამ სთქვა- არ მოსულაო. მაგრამ გამოირკვა, რომ გამოგზავნიალია და კიდეც მოსულა. ყოველ შემთხვევაში, დღეს გავეცი განკარგულება: ვინაიდან ხიდზე გასვლა ძნელია, ეხლავე მიეცეს საშუალება თქვენს ჯარს გავიდეს ხიდზე. ხიდი გაფუჭებულია, ამიტომ ეს პროცესი დაჩქარებით არ მოხდა და ახლა კი უცდიან ჩვენ პასუხს შეთანხმების შესახებ. როგორც უნდა იყოს ჩვენი შეთანხმება, მთელი კომპლექტი ამ კითხვების, შემდეგ კითხვაშია: ახლა ბათუმისკენ რუსის ჯარი მიდის, ერთი ნაწილი შევიდა სამხრეთიდან, აქედან შევა მეორე ნაწილი, მაგრამ როგორი იქნება ურთიერთ შორის შეთანხმება? თქვენ გნებავთ, რომ ერთად დაიწყონ ბრძოლა, თუ გნებავთ, რომ თქვენმა ჯარმა მარტო იბრძოლოს და ჩვენ საშუალება მოგვეცეს ჩვენი ჯარები გამოვიყვანოთ, ასპარეზი დავტოვოთ- ეს თქვენზედ არის დამოკიდებული. შემდეგ: თუ რუსის ჯარი ჯერჯერობით მცირე იქნება ჩვენ ჯარებთან შედარებით, ვის უნდა ქონდეს ხელისუფლება დროებით. მეორე, თუ გადავწყვეტთ, რომ ხელისუფლება თქვენი უნდა იყოს და გადმოგცემთ ბათუმის ოლქს, არის მთელი რიგი კითხვებისა, რომლებიც ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, როგორც მოგეხსენებათ ბათუმის შესახებ. შეიძლება ახლავე აღვნუსხოთ ის პირობები, რომლებიც აუცილებლად გამორკვეული უნდა იყვნენ თავიდანვე.

თავმჯდომარე. მაშ, რამდენადაც მე მესმის პირველად გამოსარკვევი არის, რომ ამ ჯარს, წითელ არმიას საშუალება მიეცეს ბათუმისკენ იმგზავროს, უნდა გამოირკვეს ის კითხვა- თუ რანაირი ხელმძღვანელობა ექნება ამ ჯარს, ვის ექნება უმთავრესი განკარგულება, საერთო იქნება ბრძოლა, თუ განცალკევებული ოსმალეთის წინააღმდეგ, ე.ი. იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებმაც უნდა დაეცნენ ბათუმს. თქვენ გაქვთ წინადადება ამის შესახებ, ამ კითხვების გადაწყვეტის შესახებ, თქვენ გაქვთ გამორკვეული წინადადება თუ არა.

გ.ლორთქიფანიძე. ყველა ამ კითხვების შესახებ?

თავმჯდომარე. დიახ, ე.ი. შეგიძლიათ აღნუსხოთ ის პირობები, რომლებიც საჭირო არის თქვენთვის, რომ ნება მისცეთ წითელ არმიას ბათუმისკენ სიარულისა?

მ.ორახელაშვილი. ჩვენ ჯერ უნდა გადავწყვიტოთ შემდეგი: ვსთვლით ჩვენც ამ საკითხს პირველ რიგში თუ არა? საქმე იმაშია: ჩვენ თათბირს რა დავარქვათ– საზავო პირობებისის გამომმუშავებელი თუ შერეული კომისია? ის,რასაც ამბობს მოქ. ლორთქიფანიძე ჯერჯერობით ბათუმის საკითხს მოვუაროთ და მთავარ საკითხს ნუ შევეხებით, მე მგონი მიუღებელია ჩვენთვის. ჩვენ გამოგზავნილი ვართ გარკვეული მანდატით, რომ ვაწარმოვოთ მოლაპარაკება საზოგადოთ ომის ლიკვიდაციის შესახებ და იმ ზომების გამოსამუშავებლად, რომლებიც მოახდენენ ამ ლიკვიდაციას. რომ საზოგადოთ ბოლო მოეღოს ომიანობის მდგომარეობას, ისე გამოვარკვიოთ საკითხი მთავრობის შესახებ, რამდენადაც ტერიტორიაზე არ შეიძლება ორი მთავრობის არსებობა. ერთი მთავრობა უნდა იყოს უზენაეს მთავრობად ცნობილი. თუ ეს არ იქნება, მაშინ ეს იქნება თათბირი კერძო სამხედრო საკითხზე, ბათუმზე. ბათუმს საფრთხე მოელის და როგორი ზომები უნდა მივიღოთ წმინდა სტრატეგიული ხასიათისა, რომ ბათუმი დავიხსნათ ასეთი მდგომარეობისგან. მე მგონია, ეს შედის ჩვენს კომპენტენციაში, მაგრამ წინასწარ უნდა გვქონდეს გამომუშავებული ერთგვარი შეთანხმება მთავარი საკითხების შესახებ. როდესაც ისმება საკითხი, ვის ექვემდებარება დემოკრატიული ჯარი ან წითელი ჯარი, ვის უფლებას სცნობს იგი, ამაში ერთგვარი ჩანასახია ახალი მთავრობის შესახებ. ამიტომ, მე წინადადებას ვიძლევი– ასეთი საკითხი მისაღებია; მხოლოდ ეს საკითხი უნდა დაექვემდებაროს უმთავრეს საკითხს, ე.ი. წინასწარ პირობებს ზავის შემოღებისა, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, ახლავე წარვუდგენთ კრებას. ისე რომ ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ბათუმის საკითხი საშუროთ იქნეს ცნობილი, უსათუოდ დღეს გამოინახოს ის გზა, რომელიც მიგვიყვანს ბათუმის საქართველოს ფარგლებში დატოვებამდი. მაგრამ ამას მეორე ხარისხის მნიშვნელობა აქვს არა იმიტომ, რომ ეს საშური არ არის, არა იმიტომ, რომ მნიშვნელობა არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა, თუ არ არის გადაჭრილი წინასწარი შეთანხმება ჩვენს შორის.

გრ.ლორთქიფანიძე. მე ნება მივეცი ჩემ თავს მომეხსენებია კრებისათვის ჩემი წინადადება იმ იმედით, რომ არც ისეთი დიდი ხანგრძლივი გამოსარკვევი იქნებოდა ის. მაგრამ, ვინაიდან ეს დავას იწვევს, მე ვხსნი ჩემს წინადადებას და თანახმა ვარ გადავიდეთ მ.ორახელაშვილის მიერ წამოყენებულ კითხვებზე.

მ.ორახელაშვილი. ჩვენ შორის დიპლომატია არ არის საჭირო.

მოკლეთ დავსვათ საკითხი. უსათუოდ ბათუმის საკითხი იქნება აღიარებული საშურ საკითხად, მაგრამ წინასწარ გამორკვევა ამ საკითხისა ხელს შეუშლის, რომ ეს დიდი მნიშვნელოვანი საკითხი გამორკვეული იყოს.

თავმჯდომარე. მე პირადათ იმ აზრისა ვიყავი, რომ უმთავრესი კითხვა უნდა იყოს გამორკვეული. მე მჯერა პატივცემულ ლორთქიფანიძის ინფორმაცია და იმის შიში, რომ ბათუმს საფრთხე მოელის, ამას სახეში ვღებულობთ და რასაკვირველია ვეცდებით დავაჩქაროთ უმთავრესი საკითხის გადაჭრა და შევუდგეთ იმ საფრთხის საკითხის [განხილვას შ.ვ.], რომელიც ბათუმის ირგვლივ არის. ამიტომ, რაკი თქვენ თანხმობა გამოაცხადეთ, ნება მიბოძეთ გადავიდეთ უმთავრეს კითხვაზე, ე.ი. წამოვაყენოთ ის ძირითადი კითხვა, რომლის მიღება საჭირო და აუცილებელია, რომ ჩვენ შორის ზავი ჩამოვარდეს. ეს უმთავრესი კითხვაა. თუ ჩვენ შორის ზავი ჩამოვარდა, უფრო მოგვეცემა შესაძლებლობა ერთად შევუდგეთ საჩქაროთ გადაწყვეტას იმ საკითხისა, რომელიც წამოყენებულია ჩვენს წინაშე.

სვანიძე: მე ერთი შეკითხვა მინდა მოგცეთ. იქნება ან ერთს ან მეორე მხარეს აქვს ის დეკლარაციული ხასიათის განცხადება, რომლის მიუღებლობით ის არ სცნობს საჭიროთ კამათის გაგრძელებას. იქნება ან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებს აქვთ ისეთი პირობები, რომლებიც, თუ მეორე მხარემ არ მიიღო, მაშინ დანარჩენ კითხვებზე საჭირო არ იქნება კამათი. იქნება რევოლუციონურ კომიტეტს აქვს ისეთი პირობები, ისინი არ ჩასთვლიან შესაძლებლად ლაპარაკს. მე მგონია, თუ ასეთი პირობები ერთს ან მეორეს აქვს გამომუშავებული, მაშინ წამოაყენონ ან ერთმა, ან მეორე მხარემ. რასაკვირველია ეს პირობები უნდა იქნენ ძირითადი და მაშინ მათი მიღება სრულიად გაუხსნის ხელს ერთსაც და მეორე მხარესაც.

თავმჯდომარე: მე მგონია ეს უკვე აღნიშნა მ.ორახელაშვილმა. მე მგონია აქ ორივე მხარე წამოაყენებს ასეთ პირობებს, მე მგონი ორივე მხარეს ექნება ესა თუ ის პირობები, გარკვეული პირობები ამის შესახებ.

მ.ორახელაშვილი: მე კიდევ ვიმეორებ ამას: ჩვენ არ შევხვედრივართ იმისთვის,რომ გავაჩაღოთ რაიმე დიპლომატიური ხრიკები. ჩვენთვის ნათლად სდგას საკითხი. ჩვენი აზრი ასეთია: დაუშვებელია ერთ ტერიტორიაზე არსებობდეს ორი მთავრობა. ჩვენ გამოვდივართ იქედან, რომ გადატრიალება საქართველოში უკვე ფაქტია. საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას უჭირავს მხ-

ურად ჩავაბაროთ იმ ხელისუფლებას, რომელიც დღეს არის თბილისში, რასაკვირველია, ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო გეზი. თვით ცნობის და რწმუნების ქაღალდი მ.ორახელაშვილისა არ გულისხმობს რომ უნდა იყოს ცნობილი იურიდიულათ ერთი მთავრობა და მეორე ხელისუფლება სრულიად უნდა იყოს გაუქმებული. მე მგონია ის ამას არ ფიქრობს, იმიტომ რომ არ იქნებოდა ბუნებრივი ასეთნაირი მოთხოვნილების წამოყენება, არც იურიდიულათ, არც რევოლუციონური შინაარსით. რასაკვირველია, დემოკრატიული მთავრობა ვერ იცნობს ამ მთავრობას იურიდიულათ ის მხოლოდ ცნობს ფაქტს და ამ ფაქტს უწევს ანგარიშს. თუ იურიდიულად და ფორმალურად აყენებს კითხვას მ.ორახელაშვილი, ეს არ არის სწორი. ჩემს მთავრობას არ შეუძლია თავის ხელისუფლება გადასცეს სხვა ვინმეს. თვითონ ის არ არის წყარო უფლებისა. უფლების წყარო არის დამფუძნებელი კრება და სხვა არავინ. ამ მთავრობას მხოლოდ შეუძლიან, იმ დამფუძნებელ კრებას, რომელმაც მას მისცა ეს ხელისუფლება, უკან ჩააბაროს ის და დამფუძნებელი კრება იტყვის– სცნობს თუ არა იგი ახალ მთავრობას. თვით მთავრობა დღეს გასულია თავის ტერიტორიის ერთ ნაწილზე და შეიძლება ხვალ დატოვოს ის კუთხე, რომელიც მას უკავია. მაგრამ, რასაკვირველია, ამ ფაქტს თვითონ მთავრობისათვის იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. მას შეუძლია გადადგეს და თუ გადადგება, თავის მანდატს ჩააბარებს თავისუფლების წყაროს. ასეთი უნდა იყოს თქვენ მიერ დასმული კითხვის ნორმალური დაყენება. დასმულ საკითხში უნდა დაკმაყოფილდეთ ჩვენი განცხადებით, რომ ჩვენ ვცნობთ ამ ფაქტს და ანგარიშს ვუწევთ მას, მაგრამ იურიდიულ სანქციას ვერ მივცემთ მას და არც შეგვიძლიან მივცეთ.

მ.ორახელაშვილი: მე ისე გავიგე, რომ არსებული მთავრობა ანგარიშს უწევს ფაქტს, არ შედის ამ ფაქტის იურიდიულ და რევოლუციურ დაფასებაში, მხოლოდ აცხადებს, რომ მისი სურვილია, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი, რომელსაც მოელის სასიკვდილო საფრთხე, გადასცეს საბჭოთა საქართველოს, მგონი ასეთი იყო თქვენი წინადადება.

გ.ლორთქიფანიძე: დიახ.

მ.ორახელაშვილი: ე.ი. უარყოფს, რომ ასეთი დეკლარაციული ხასიათის განცხადებას არა აქვს მნიშვნელობა არც პოლიტიკური, არც ზნეობრივი, არც იურიდიული, მხოლოდ მას აქვს უფლება უზენაეს დამფუძნებელ კრებას მიმართოს და გამოაცხადოს თავისი თავი გაშვებულად. გ.ლორთქიფანიძემ განაცხადა მხოლოდ, რომ

მას შეუძლია შესაფერისი განცხადება შეიტანოს დამფუძნებელ კრებაში. მას არ შეუძლია იცნოს კანონიერათ შექმნილი მდგომარეობა, მას შეუძლია მხოლოდ ანგარიში გაუწიოს ფაქტს, როგორც ასეთს და გამოდის რა ამ ფაქტის დაფასებიდან, გადასცემს ბათუმის ოლქს უკანასკნელ თავის ტერიტორიას საბჭოთა საქართველოს. თუ მე სწორათ ვიმეორებ მოქ. ლორთქიფანიძის სიტყვებს, მე მგონია საკითხის ასეთ დაყენებას ჩვენ დავეთანხმებით, არ ჩავეჭიდებით იმას, რომ უსათუოდ არჩეულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით სთქვას, რომ ჩვენ ვცნობთ, ამას არ ჩავეჭიდებით და თქვენ განცხადებას ვიღებთ ცნობათ. რომ ვინაიდან ბათუმის ოლქს მოელის საფრთხე, მომხრენი ვართ, რომ ანგარიში გავუწიოთ შექმნილ მდგომარეობას და მივიღოთ ზომები, რომ ეს ოლქი განუყრელი ნაწილი საქართველოსი გადაეცეს საბჭოთა საქართველოს. ჩვენ ვიმეორებთ, არ ჩავეჭიდებით ამას, აქ ერთგვარი დაუშვებელი უხერხულობაა, საბჭოთა საქართველოს ჰყავს ერთგვარი მატარებელი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო– ეს არის რევოლუციური კომიტეტი. შეიძლება ეს საბჭოთა მთავრობა გამოსცვალოს არჩევნებმა, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამ უხერხულობას არ ვაქცევთ ყურადღებას, რადგანაც თქვენ არ გრძნობთ, რომ ეს უხერხულობა არის, იქნება გრძნობდეთ, მაგრამ არ გინდათ ხაზი გაუსვათ, რომ საბჭოთა საქართველო ეს ისეთი მცნებაა, რომელსაც აკლია უმთავრესი სუვერენობის მატარებელი ორგანო ე.ი. მთავრობას და თქვენ გინდათ ამას გვერდი აუხვიოთ და მიგაჩნიათ საჭიროთ ერთგვარი ფიქსაცია არ მოახდინოთ. მე ჩვენის მხრივ უნდა განვაცხადო, რომ ამას ჩვენ ასეთ მნიშვნელობას არ ვაძლევთ და თანახმანი ვიქნებით. თუ მე სწორათ გავიგე შეიძლება შესწორება რამე შეიტანოთ.

გ.ლორთქიფანიძე: შესწორება არაფერი მაქვს. მხოლოდ დავუმატებ, რომ გაურკვეველი არაფერი დარჩეს. კანონიერ მთავრობაზე როდესაც ვლაპარაკობდი, მე ვგულისხმობდი წარმოშვებას, როგორც რევოლუციურს ისე კანონიერს, შინაგან ძალთა განწყობილებით შექმნილს. რასაკვირველია, მთავრობათ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია მხოლოდ თავისი თავი და სხვას ის არ სცნობს და ვერც იცნობს. მაგრამ ის ხედავს ფაქტს და აი ამ ფაქტს უწევს ანგარიშს, რომ საქართველოს ნაწილი არის რევოლუციური კომიტეტის ხელისუფლებაში და როდესაც ვამბობ, რომ გადაეცემა ტერიტორია საბჭოთა საქართველოს განსაზღვრული შეთანხმების პირობებითო, ეს ისე კი არ უნდა გაიგოს ვინმემ, თითქოს თვითონ მთავრობას აზრათ ჰქონდეს დამ-

ფუძნებელი კრების წინაშე წინადადება შეიტანოს თავის გაუქმების და ახალი მთავრობის ცნობის შესახებ. არა, ჩვენ ასე ვფიქრობთ: დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც არის ბათუმში სრულიად რომ არ დარჩეს არცერთი ადგილი ტერიტორიისა, მას მაინც აქვს მინიჭებული და მიკუთვნილი უფლებრივი სუვერენობა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა. მე მინდა ცოტაოდენად შევასწორო მოქ. ორახელაშვილის სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უჭირავს ხელში არა მარტო ბათუმი და ბათუმის ოლქი, არამედ მას ხელში უჭირავს ოზურგეთის მაზრა, სენაკისა და ქუთაისის მაზრების მცირე ნაწილები.

თავმჯდომარე: მე ჩემის მხრით სიამოვნებით მოვისმინე ორივე მხრით გარკვეული საკითხის დაყენება, რაკი თავიდანვე ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხში ნაკლები ადგილი მიეცემა დიპლომატიას და დიპლომატიურ ხრიკებს, იმიტომ მოგვეცა საშუალება, რომ უფრო ადრე გადავიდეთ იმ კითხვაზე, რომელიც მიგვიყვანს შეთანხმებამდე, მეც, რასაკვირველია, უნდა ვაღიარო ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან სხვანაირათ დავაფასოთ ესა თუ ის მოვლენა, სხვანაირად ვიცნოთ ამა თუ იმ მთავრობის და ძალების წარმოშობა და, რასაკვირველია, ის რაც განაცხადა პატივცემულმა გრ.ლორთქიფანიძემ იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლებელია მათთვის იურიდიულად და ფორმალურად დღევანდელი მდგომარეობის ცნობა– ეს არის რწმენის შედეგი, რწმენის რეზულტატი და იქ სადაც რწმენაა, იქ ვერაფერი ძალით ვერ შეაჩერებს ადამიანს. ის იტყვის იმას რაც მას სწამს. დანარჩენი რაც მოვისმინეთ ჩვენ იმის შესახებ, რომ მდგომარეობა ძალას ატანს ამა თუ იმ მხარეს იცნოს ის რაც უკვე არსებობს მიუხედავად იმისა, რანაირათ შეიქმნა და წარმოიშვა ეს მდგომარეობა და იმის ცნობა რაც არსებობს ნათლად იქნება მიღებული,– მე მგონია ეს მეორე მხარეს უნდა აკმაყოფილებდეს, ვინაიდან ფაქტიურათ ნამდვილად აქედან გამომდინარეობს საშუალება დანარჩენ საკითხებში შეთანხმებისათვის და ეს მე მგონია თავიდან აგვაშორებს ისეთ საფრთხეს, რომელსაც ჩემდა სასიხარულოდ ერთნაირად აფასებს ორივე მხარე. ამიტომ მე მგონია, რომ ამ ძირითადი პირობების ამნაირათ მიღების შემდეგ, როგორც აქ ნათლად და გარკვევით იყო დაყენებული და რომელსაც არ ედავება მეორე მხარე,– შეგვიძლია ეს აღვნიშნოთ და ამის მიღების შემდეგ გადავიდეთ იმ საშურ წვრილმან კითხვებზე, რომელიც დაკავშირებულია მასთან, თუ შესწორება არა გაქვთ შეიძლება გადავიდეთ ამ საკითხებზე.

მ.ორახელაშვილი: მე შესწორება არა მაქვს, მაგრამ მხოლოდ მე

მგონია ამ მთავარ საკითხიდან გამომდინარეობენ მეორე ხარისხის საკითხები, რომელიც საფუძველს აძლევენ ამ მთავარ პრინციპულ საკითხს. მე გამოვაცხადე,რომ მნიშვნელობას არ ვაძლევ იმ გარემოებას, რომ მოწინააღმდეგე მხარე უარყოფს მთავრობის ცნობას, არ ცნობს იმას დეკლარაციის სახით, დეკლარატიული ხასიათის განცხადებით, ის მხოლოდ ანგარიშს უწევს შექმნილ ფაქტს და ამ ფაქტიდან გამოყავს ის დასკვნა, რომ ბათუმის ოლქი, რომელსაც მოელის საფრთხე, უნდა გადაეცეს საბჭოთა ახალ მთავრობას რევოლუციონური კომიტეტის სახით. თუ ასეა საკითხი დაყენებული მე სრულიად ვეთანხმები. ეს გაგვიადვილებს საბოლოო შეთანხმებას.

თავმჯდომარე: მე შესწორება შემომაქვს, თქვენ ლაპარაკობთ მარტო ბათუმის ოლქზე, როგორც თქვენ მოისმინეთ ოზურგეთის, სენაკის და ქუთაისის ზოგიერთი პატარა ნაწილები...

გ.ლორთქიფანიძე: ის ტერიტორია, რომელიც ამჟამად ჩვენ გვიჭირავს.

თავმჯდომარე: ამიტომ, უფრო ნათელი რომ იყოს, ხაზს ნუ გაუსვამთ ბათუმის ოლქს.

გრ.ლორთქიფანიძე: ეს საკითხი ასე დაყენებული ფორმალურად სადაო არ არის; ეს შესწორება კი არ არის არამედ დამატებაა, ყოველ შემთხვევაში მოქ. ორახელაშვილის განცხადებაში შეიძლება იყოს რამოდენიმე სხვა ნიუანსი, რომელმაც შეიძლება სხვა აზრის გამოსახულება მიიღოს. ორიოდე სიტყვით კიდევ ერთხელ გავიმეორებ: საქართველოს დემოკრატიული მთავრობა არა მარტო თავს იკავებს რევოლუციური კომიტეტის დეკლარატიული აღიარებისგან, არამედ ის ამბობს, რომ მთავრობა, კანონიერი მთავრობა არის და რჩება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობად, ყოველგვარ პირობებში, სანამ ხალხის უზენაესი ნება ამა თუ იმ ფორმით არ იტყვის წინააღმდეგს. ის ამგვარად სცნობს თავს ყოველ შემთხვევაში იმ მომენტამდი, სანამ ხალხის ნება არ იტყვის, რომ ეს მთავრობა არ უნდა იყოსო. ეს არის, რასაკვირველია, განცხადება ფორმალური და ამ კითხვაში მას არ აქვს გადამჭრელი პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ ყოველგვარ გაუგებრობის და ორჭოფობის გასაცილებლად ეს ახლავე უნდა ითქვას.

მ.ორახელაშვილი: მე მგონია ეს ნიუანსი მთელ ჩვენს ფორმულას ყირამალა ატრიალებს, როდესაც მთავრობა აცხადებს– მე არამც თუ არ გცნობთ, არამედ ვცნობთ კანონიერ მთავრობათ საქართველოში ჩვენ თავს. მე არ ვიცი რა ვართ ჩვენ მაშინ. ჩვენ

ვართ მეამბოხენი კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, მე არ ვიცი რა ფასი ექნება ან ფორმალური ან იურიდიული და ან პოლიტიკური შეთანხმებას, რომელიც ჩვენ უნდა მოვახდინოთ. მე არც კი წარმომიდგენია ის ტერიტორია, რომელიც დღეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ხელშია და რომელსაც მოელის საფრთხე. როდასაც აცხადებს მთავრობა ამ ტერიტორიის ძალადაუტანებლივ გადმოცემის მომხრე ვართო და ეს მთავრობა დასასრულში არ სპობს თავის თავს და არ სთვლის თავის თავს უკვე გათავებულად ამ ახლო მომავალში მაინც,– შეიძლება იურიდიულად ეს დაუშვებელი იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შექმნილი ფაქტი უკარნახებს მას, რომ გადადგეს და დაუთმოს ადგილი მეორე მთავრობას, შეიძლება მეამბოხეს, შეიძლება მოძალადეს, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ტერიტორიას წმინდავდეს და აცხადებდეს– ჩვენ ვიყავით და ვრჩებით კანონიერ მთავრობათ, ამიტომ მე სრულიად მიუღებლად მიმაჩნია იმ ფორმულიროვკაში, რომელზედაც ჩვენ ვთანხმდებით შევიტანოთ ის დამატება, რომელსაც თქვენ უწოდეთ ნიუანსი, ჩვენ ვიყავით და ვრჩებით კანონიერ მთავრობათ. ეს ჩვენთვის მიუღებელია, ჩვენ გვაინტერესებს საერთო ენა გამოვნახოთ. საერთო ნიადაგი მოვძებნოთ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ ასეთ დამატებას. აქ გულახდილად ვიტყვი, რომ ერთგვარი, რუსეთში რომ იტყვიან, „ხაზეიკა დაიტოვესო.“ მე არ ვცნობ თქვენ მთავრობას, მე ჩემი მთავრობა კანონიერ მთავრობად მიმაჩნია და თუ სიტუაცია შეიცვალა... ერთგვარ იურიდიულ გასასამართლებლად ერთგვარი პლიუსი გაქვთ. თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, ჩვენ დავემორჩილეთ ერთგვარ უხეშ ძალას, მაგრამ დავინარჩუნეთ მთელი იურიდიული უფლებანი. თქვენ ამის თქმა არ გესაჭიროებათ, რადგანაც როცა მოხდება გადატრიალება იმ სახით, რომლითაც ის მოხდა, ან იქნება იმ სახით, რომელიც ცნობილია ისტორიაში ან შეიძლება სხვა ახალი ფორმით, რომელიც მოსალოდნელია ახლო მომავალში, ყოველ შემთხვევაში ამას ჩვენ ანგარიშს არ ვუწევთ. შეიძლება თქვენ არ სთქვათ რევოლუციონურ კომითეტს სცნობთ, მაგრამ როცა თქვენ აცხადებთ ჩვენ ვიყავით და ვრჩებით, ეს არის ჩანასახი იმისა, რომ ბრძოლა არა თუ არ ჩერდება, არამედ გრძელდება, იმიტომ რომ არ შეიძლება ერთ ტერიტორიაზე ორი უზენაესი მთავრობის არსებობა. მე ვერ წარმომიდგენია ამ განცხადების შემდეგ, როგორი უნდა იყოს მოდუსი ამ ორ მთავრობას შორის და კომკრეტულად როგორ უნდა გადაწყდეს ტერიტორიის გადაცემის საკითხი, რომელიც არის საგანი ჩვენი სჯა- ბაასისა. თუ ამ დამატებას შემთხვევითი ხასიათი

აქვს, შეიძლება სიტყვები „ჩვენ ვიყავით და ვრჩებით კანონიერ მთავრობათ“ ამოიშალოს. ეს მოითხოვდა განმარტებას და ვიმეორებთ, ყოვლად შეუძლებელია ასეთი ფორმის მიღება.

თავმჯდომარე: მეც სამწუხაროდ უნდა ვსთქვა, რომ უკანასკნელმა განცხადებამ ცოტა არ იყოს გამაკვირვა პირველი განცხადების შემდეგ; მე, რასაკვირველია მესმის პირველი განცხადების შინაარსი, რომ რამდენადაც მთავრობას და დამფუძნებელ კრებას თავის თავი კანონიერად მიაჩნია, ხალხის წარმომადგენლებათ მიაჩნიათ, სხვა ვერაფერს ვერ გავიგონებთ, რადგანაც მათი ღირსება მოითხოვს, რომ ეს განაცხადონ, მაგრამ რაც შეეხება უკანასკნელ განცხადებას, მე პირადად დარწმუნებული ვიყავი, რამდენადაც ვიცნობ საქართველოს დამფუძნებელი კრების შემადგენლობას, სადაც დიდი უმრავლესობა ეკუთვნის სოციალ- დემოკრატიის პარტიის წარმომადგენლებს, მე არ მეგონა და არ დავუშვებდი იმას, რომ ისინი მიბაძავდნენ ყოფილი ესერების რუსეთის დამფუძნებელი კრების ერთ ნაწილს, რომელიც დღესაც გაიძახის, რომ ის არის კანონიერი მთავრობა რუსეთისა. რასაკვირველია, პატივც. გრ.ლორთქიფანიძე გვიპასუხებს რომ სხვა იყო იქ და სხვა არის აქ, რადგანაც რუსეთში მოხდა ძირიდან შექმნილი რევოლუცია და აქ კი გარეშე ძალების მხრივ, ეს მდგომარეობა ფაქტიური მდგომარეობაა და ძალთა განწყობილების საკითხს არა სცვლის. აქ ერთი ძალაუფლება, ძალთა განწყობილება გადავიდა სხვის ხელში და სწორედ ნამდვილიც რომ იყოს ისტორიულად და ფაქტიურად ის პირველი განცხადება, რომელიც აქ ჩვენ მოვისმინეთ, რომელიც განაცხადა საქართველოს მთავრობამ და მის დამფუძნებელმა კრებამ, რომ მის შემდეგაც, როდესაც მთელი საქართველოს ტერიტორიას ის ნახავს სხვის ხელში, აცხადებს, რომ იგი არ არის კანონიერი და სრულუფლებიანი მთავრობა, მე მგონია, ეს არ შეეხება არც ფაქტიურ მხარეს და უხერხულიც იქნება. ეს იქნება წაბაძვა უკვე იმ ისტორიულ მოვლენისა, რომელიც დაგმობილი არის, რამდენადაც მე ვიცი, სოციალ- დემოკრატიული მხარიდანაც. ამიტომ მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ შემდეგში მოვისმინო განცხადება იმის შესახებ, რომ ამას დროებითი მნიშვნელობა აქვს და ეს ფორმულა შეცვლილი იქნება.

სვანიძე: თქვენ უკვე გამოსთქვით ის რაც მე მინდოდა, მაგრამ მაინც ჩემ თავს ნებას ვაძლევ ვილაპარაკო არა მარტო ფორმალურად, არამედ გულახდილად. გულახდილად ვიტყვი, რომ ჩემთვის თავიდანვე ყველა ის, რაც გრ.ლორთქიფანიძემ თქვა მისი აზრთა მსვლელობა, სრულიად მარტივი იყო. ის გადატრიალებას არ

უწოდებს იმას რაც მოხდა საქართველოში, რადგანაც ყველა გადატრიალება გამოწვეულია შინაგან ძალებით და არა გარეშე ძალით. ის კი დარწმუნებულია, რომ გარეშე ძალებით მოხდა ეს და, რადგანაც ნამდვილი უმრავლესობა არ იღებდა მონაწილეობას- ის ამბობს- იურიდიულათ ცნობა იმისა რაც მოხდა- შეუძლებელი არისო. ამიტომ ლოგიკური დასკვნა სრულიად მარტივი იყო, რომ ისინი თავის თავს სცნობენ იურიდიულ და კანონიერ მთავრობათ. აქედან ჩვენი მოწინააღმდეგე მხარისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო რა დასკვნა გამოდის, ე.ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იტოვებს მუდამ უფლებას და როდესაც შესაფერ შემთხვევას იპოვნის თავს გამოაცხადებს მთავრობათ. მე მგონია ამ ნიუანსს, რომელიც საჭიროთ სცნო გრ.ლორთქიფანიძემ არაფერი ახალი არ შეუტანია, ამიტომ მე მაკვირვებს, რომ ჩემმა მეგობარმა სწორეთ ამ ნიუანსს მიაქცია ყურადღება და ამბობს, რომ ამ ნიუანსისაგან მიუღებელი ხდება ეს ფორმულაო. ეს ფაქტიურად არაფერს არ ცვლის. იურიდიულად აღიარებენ თუ არ აღიარებენ თავის თავს. იმიტომ რომ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ რომ აღიაროს თავის თავი მკვდარათაც, ეს მას ხელს არ შეუშლის თუკი საშუალება ექნება ერთ დღეს თავის თავი კანონიერათ გამოაცხადოს. ასე ამ ნიუანსს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და შევუდგეთ ისევ იმ შეთანხმების გზას, რომელიც გადაშლის ორივე მხარისათვის საშური საკითხებს.

გრ.ლორთქიფანიძე: რასაც მოქ. აბელი ბრძანებს სრული სიმართლე გახლავს. როდესაც ვიხმარე სიტყვა, ეს იმ აზრით კი არა, რომ ჩემი უკანასკნელი სიტყვა ანსხვავებს ჩემ მიერ ნათქვამს, არამედ იმ რედაქციას ასწორებს, რომელიც მ.ორახელაშვილმა გაუკეთა ჩემ წინანდელ ნათქვამს. მე არ მინდა გავიმეორო ჩემი დებულებანი, იმიტომ რომ ახალი არაფერი არ შემოუტანია ჩემ უკანასკნელ სიტყვას. არსებითად ა.სვანიძის დასკვნა მიმაჩნია სავსებით სწორად. ეს სრულიად ხელს არ გვიშლის, რომ ჩვენ ამ წუთს განვაგრძოთ მოლაპარაკება. ამიტომ ჩემი წინადადება გახლავთ რომ განვაგრძოთ მსჯელობა იმ უკანასკნელ კითხვებზე, რომელზედაც მე მოგახსენეთ. აქ არ არის ისეთნაირი დაბრკოლება იმ პრაქტიკულ შეთანხმების სესახებ, რომელიც ჩვენ მიზნათ გვაქვს.

მ.ორახელაშვილი: მე მინდა ეს საკითხი გავანაწილო ორად. რევკომი როგორც მოწინააღმდეგე მხარე, სრულიად მივიწყებულია აქ. მაგრამ ის უმთავრესი საკითხი საბჭოთა საქართველოს წყო-

ბილების აღიარება ესეც სადაა თუ არა თქვენთვის. თქვენ სცნობთ თუ არა, რომ საქართველოში მოხდა ვთქვათ არა იმ აზ-რით, როგორც ჩვენ ეს გვესმის, არამედ ის, რომ საქართველომ უნდა შეინარჩუნოს, უნდა განავითაროს ეს წყობილება, პოლიტიკური, სოციალისტური სისტემა საბჭოთა წყობილებისა, ამიტომ მე ვამბობ, რამდენადაც თქვენ ახასიათებთ ბუნებას რევკომისას, როგორც მთავრობისას, რომელმაც მიიღო ძალაუფლება, არა ორგანული ძალთა განვითარების შედეგად, არამედ უცხო ძალების შემოსევის შედეგად. ვთქვათ, ეს ასე იყო. ამას თავი დავა-ნებოთ, რადგან ამას რასაკვირველია განსჯის ისტორია იმიტომ, რომ საკითხი ძალთა განწყობილლებისა შეიძლება შეიცვალოს ერთი ან მეორე მხარის სასარგებლოდ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მიუღებელია, რომ მეორე მხარემ არ აღიაროს, რომ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკა არსებობს დღეს, რომ ეს სისტემა თქვენთვის სავალდებულოა. თქვენ სცნობთ ამ სისტემას, შეიძლება ბევრი კორექტივი იყოს შეტანილი, შეიძლება მერე დავამხოთ ეს სისტემა, ხოლო დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან განვაგრძოთ ბაასი, ჩვენ არ შეგვიძლიან შეთანხმებაზე ლაპარაკი თუ არ გვეტყვით, არ სცნობთ, რომ დღეს საბჭოთა საქართველო ფაქტია, მას ანგა-რიშს უწევთ და მას სცნობთ, ე.ი. ეს იქნება ერთგვარი ლეგალი-ზაცია იმ სისტემისა, რომელიც არის საქართველოში. ეს რასა-კვირველია არ გულისხმობს იმას, რომ არ შეებრძოლებით შემდე-გში, იდეურათ, შეიძლება ფაქტიურად ამ სისტემის დასაცემად. შეიძლება ძალაც მიიღოთ მომავალში, ეს ყოველ შემთხვევაში მომავლის საკითხია. ეს თქვენი პოლიტიკური შემეცნების საკითხია ახლაც და შემდეგშიაც, მაგრამ დღეს კი მე ვამბობ, რომ რევკომის ვინაობა, მისი წარმოშობა, მისი შინაგანი ბუნების დახასიათება– ეს ჩვენთვის მნიშვნელობას მოკლებულია. გეთანხმებით, თქვენ არ შეგიძლიათ სხვანაირად დააფასოთ, სხვანაირად მიუდგეთ საკითხს, მხოლოდ ვიმეორებ ეს სისტემა, რომელსაც გამოხატავს დღეს რევკომი, ე.ი. საბჭოთა წყობილება საქართველოში უსათუოდ (ცნობილი შ.ვ.) უნდა იყოს. უამისოდ მე მგონი ჩვენს შორის შეთანხმება შეუძლებელია.

გრ.ლორთქიფანიძე: ნუ შეჩერდებით ძირითად საკითხზე და ვიბაასოთ ისე, როგორც შეეფერება ორ მოწინააღმდეგე ჯგუფს, ორ მოწინააღმდეგე მაგრამ მოსურნეს, რომ საქართველოს მტლიანობა დაცული იყოს ახლავე და შორეულ მომავალში. გამოვნახოთ ერთნაირი ნიადაგი, რომელზედაც შეგვიძლიან შეთანხმება, საქართველოს საღვრების, საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად.

თავმჯდომარე: მე ორიოდე სიტყვას ვიტყვი, როდესაც პირველათ პატივცემულმა გრიგოლიმ განაცხადა ტერიტორიის გადაცემის შესახებ ნახმარი იყო, რომ საბჭოთა საქართველოს უნდა გადაეცეს, ეს მე მგონი ეს ფორმულა, რომელიც აღნიშნული იქნება უფრო სრულიად შეიცავს ამ შემეცნებას და თუ ცალკე საჭიროთ მიგაჩნიათ ამ კითხვის დასმა, ეს თქვენი ნება იქნება.

გრ.ლორთქიფანიძე: მე ახლა ვერ გავიგე, აქვს თუ არა პრაქტიკული მნიშვნელობა იმ კითხვას, რომელიც მ.ორახელაშვილმა დააყენა, მე მგონია არა. მაგრამ, რადგანაც ასეთი კითხვა იყო დაყენებული, მე საჭიროთ მიმაჩნია გავცე პასუხი, საერთოდ გავცე პასუხი იმ რამდენიმე კითხვებს, რომლებიც იყო აქ დასმული. პირველი– თითქო ჩვენ უნდა ვიცნოთ აუცილებლათ საბჭოთა სისტემა; მე მეშინია, რომ ხდება აქ ჩვენ შორის ერთგვარი აბერაცია. მე მესმის, თქვენ ეს საკითხი დაუყენოთ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს და მათ მოელაპარაკოთ, კითხოთ, სცნობენ თუ არა საბჭოთა სისტემას,– ვკითხოთ რა პოლიტიკის გატარებას აპირებენ ისინი. მე ამჟამათ, რასაკვირველია, გახლავარ ყოფილი მმართველი პარტიის წევრი, მაგრამ მანდატი პარტიისა მე არა მაქვს. მე მისი სახელით ვერ ვილაპარაკებ. ხოლო თუ ეს არის მთავრობის მიმართ,მას,მთავრობას არ შეუძლია ამ კითხვაზე გიპასუხოს. კითხვის ასე დაყენება შეიძლება რუსეთში, სადაც კომუნისტურ პარტიას აქვს ფაქტიურათ ძალა. იქ შეიძლება პარტია და მთავრობა იდენტური იყვნენ. იქ შეიძლება ასეთი კითხვის დაყენება მთავრობისთვის სამართლიანი და სწორი იყოს. მაგრამ აქ მთავრობა ვერ გასცემს იმაზე პასუხს, რაც ეხება პარტიას, პარტიულ- პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამიტომ მე ამ კითხვას უნდა გავურბოდე, რადგანაც მე უფლება არა მაქვს პარტიების სახელით ვილაპარაკო. ჯერ ფაქტი არ არის საბჭოთა საქართველო. ჯერ ხალხს მონაწილეობა არ მიუღია მის დამყარებაში და არც არჩევნები ყოფილა. ჯერ არსებობს რევკომთა ხელისუფლება, საბჭოები ჯერ მხოლოდ პროექტია. პარტია რომელსაც მე ვეკუთვნი, მიიღებს, ალბათ მონაწილეობას საბჭოთა არჩევნებში. იქნება ჩვენ თქვენთან ერთად ვიცნოთ საბჭოთა საქართველო. ესა თუ ის დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიისა ამ სისტემასთან, რასაკვირველია, გამოირკვევა. მაგრამ ამჟამათ, როგორც ფაქტს, ჩვენ ვცნობთ რომ ფაქტიურათ საქართველოს განაგებს რევკომი. მე სრულიად მწამს რომ რევკომი საქართველოში შემოიღებს საბჭოთა სისტემას, ამას ჩვენ გავიგებთ და ყველა პოლიტიკური პარტიები და მათ შორის სოციალ- დემოკრატიული, დაიჭერენ თავის დამოკ-

იდებულებას ამის მიმართ. მე არ ვიცი როგორს. ამის შესახებ მე არც მთავრობის სახელით, არც პარტიის სახელით ვერას ვილაპარაკებ. მე ვაცხადებ, ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მხოლოდ იმ კითხვის შესახებ, რაც მე მომანდო დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ.

მ.ორახელაშვილი: მე განვაცხადე თავიდანვე დავიწყე და ეხლაც ვიმეორებ,რომ დიპლომატიას ჩვენს შორის არ უნდა ქონდეს ადგილი. ლორთქიფანიძემ განაცხადა,რომ იგი არის მთავრობის წარმომადგენელი, მისგან გამოგზავნილი დელეგატი და არა პარტიის წარმომადგენელი. მე მგონია ამას სწორედ აზის ნიშანი ერთგვარი დიპლომატიის არა იმიტომ,რომ ერთგვარი ფარული რაიმე აზრი ჰქონდეს (არ ისმის) ჩვენ უმთავრესად ველაპარაკებით არა სოციალ- დემოკრატიულ პარტიას, თქვენ ხართ წარმომადგენელნი იმ მთავრობისა და არა დამფუძნებელი კრების. მაგრამ როდესაც თქვენ ამბობთ არ შეუძლია მთავრობას რაიმე სისტემა იცნოს თუ პარტია არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, ეს მე მგონია არ ასწევს ჩვენ მოლაპარაკებას. მაგრამ ვინაიდან წინ არის ისეთი საკითხები რომლის გამორკვევის დროს პასუხი ამ ძირითად საკითხზე აუცილებლად საჭირო იქნება, მე ამიტომ ვხსნი და ამჟამად არ ვჩერდები ამ საკითხზე. მაგრამ, სანამ არ იქნება გარკვეული ეს საკითხი, ჩვენი წინსვლა არ შეიძლება. ვიმეორებ, ვინაიდან ისეთი კონკრეტული საკითხები, რომლის პასუხი გულისხმობს პასუხს ამ მთავარ ძირითად საკითხზე, მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ წავიდე წინ. გადავიდეთ სხვა საკითხებზე, დეტალებზე. მე იმედი მაქვს რომ მოწინააღმდეგე მხარე გასცემს კონკრეტულ პასუხს ამ მთავარ საკითხზე.

თავმჯდომარე: ახლანდელი ეს ფორმულა არ სცვლის ამ კითხვებს?

ორახელაშვილი: არა.

თავმჯდომარე: გადავიდეთ სხვა კითხვაზე. პირველი კითხვის შესახებ მე მგონია არ არის არც განცხადება არც დამატება ეხლა გამორკვეულ აზრზე. თქვენ ფორმულას ხსნით ჯერ...

ორახელაშვილი: ვხსნი.

თავმჯდომარე: მაშასადამე, შემდეგ გადავალთ იმ კითხვაზე, რამდენათ აუცილებელი და საჭირო არის ძირითადი კითხვის გამორკვევა.

ორახელაშვილი: მეორე საკითხი გამომდინარეობს, არის განვითარება ძირითადი საკითხისა. მაგალითად ბათუმის ოლქის საზოგადოთ იმ ტერიტორიის, რომელიც დღეს უჭირავს სოციალ- დე-

მოკრატიულ მთავრობას, ამ ოლქის გადაცემას საბჭოთა სა-ქართველოს მთავრობისათვის, როგორც ისახავს მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი. ამ გადაცემას, რომელი ორგანო ახდენს და რომელი ორგანო მოწინააღმდეგე ბანაკისა ღებულობს ამას თავის ხელისუფლების ქვეშ.

გ.ლორთქიფანიძე: ბათუმის კითხვა სდგას ასე. ეს განზრახვა, რომელიც აქვს დემოკრატიულ მთავრობას, არის იძულებითი. იძულებითი იმ გარემოებით, რომ ამ ოლქს მოელის საფრთხე და შესაძლებელი არის საქართველოს ის მოგლიჯონ ხანგრძლივად. ჩვენთვის ეს ყოვლათ მიუღებელია. აი ის გარემოება, რომელიც ჩვენ გვაიძულებს, რომ იქ სადაც დღემდი თქვენ წინააღმდეგ, რევოლუციური საქართველოს რევკომის წინააღმდეგ ფრონტი გვქონდა, ჩვენი ხმალი ქარქაშში ჩავაგეთ და თუ საჭირო იქნება, ეს ხმალი ვიხმაროთ მეორე ადგილას, მეორე მტრის წინააღმდეგ. შემდეგ უნდა გითხრათ და ჩვენ ამის არ გვრცხვენია, რომ ამ ბრძოლაში დამარცხებული ვიქნებით, თუ ჩვენ ორივე ძალას შეებრძოლეთ და რადგანაც ჩვენ გვინდა ბათუმი, ბათუმის ოლქი შე-ინარჩუნოს საქართველომ, ამჟამათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გადასწყვიტა საქართველოს ტერიტორიის შესანარჩუნებლად ლიკვიდაცია მოახდინოს ამ ომისა, რომელსაც ის აწარმოებდადა და ახლა აწარმოებს. ხელი შეუწყოს და ყოველგვარი საშუალება იხმაროს, რომ ოლქი დარჩეს სა-ქართველოს საზღვრებში და ეს ტერიტორია გადაეცეს იმ ხელი-სუფლებას, რომელიც აქ არის დღეს წარმოდგენილი. ეს არის რე-ვკომი. ეს მე მგონია სავსებით გიპასუხეთ თქვენ საკითხზე.

მ.ორახელაშვილი: არსებული მთავრობა საქართველოს დემოკრატიული მთავრობაა...

გ.ლორთქიფანიძე: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახდენს ომის ლიკვიდაციას და ამ ოლქს ჩააბარებს რევკომს.

მ.ორახელაშვილი: ეს ხდება დაუყობნებლივ.

გრ.ლორთქიფანიძე: როგორც თავიდანვე მოგახსენეთ ეს ეხლავე ხდება და ეს გაადვილებული იქნება, როცა ჩვენ გამოვიმუშავებთ მთელ რიგ შედარებით წვრილმან პირობებს, რომლებსაც არა თუ ჩვენ წამოვაყენებთ, არამედ რომელთა შემუშავებაში თქვენც მოგვეხმარებით, მაგრამ დავუმატებ შემდეგს: სანამ თვით ეს ჩაბარება თავის თავად მოხდებოდეს, წარმოებს ბრძოლა, როგორც მოგახსენეთ, ოსმალებთან, თქვენი ჯარი ჩვენ უკვე მოვიწვიეთ და ყოველნაირად ხელს ვუწყობთ, რომ თქვენი ჯარი სწრაფად მივიდეს

ბათუმში ვინაიდან ამ წამს არის საკითხი ამ ოლქის დაცვისა. ხვალ შეიძლება კითხვა დადგეს კონკრეტულად ჩაბარება- გადაცემის შესახებ. ასე რომ პირველი საკითხი არის დაცვა ბათუმის ოლქისა, რის შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან ჩაგაბაროთ; შეიძლება ჩვენ მოგვიხდეს თქვენთან ერთად ოსმალებისგან წართმევა და მეორეთ ჩაბარება. ეს ერთი. მეორე, მხოლოდ დამატება ასე ვთქვათ; არის ამასთან დაკავშირებული კითხვები. ეს არის თავისთავად ომის ლიკვიდაცია. აქ არის არა მარტო ბათუმის კითხვა, ბათუმის ჩაბარება, არამედ საკითხი ისმის იმის შესახებ, თუ როგორ ვახდენთ შეერთებული ჯარით ბრძოლის ლიკვიდაციას.

თავმჯდომარე: შემდეგ რა გინდათ წამოაყენოთ?

მ.ორახელაშვილი: შემდეგი კითხვა ის არის რომ ბუნებრივია, რასაკვირველია ვიკითხოთ, მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით ბათუმს და ოლქის დარჩენილ ტერიტორიას აბარებს რევკომს? ეს იქნება უზურპაცია დამფუძნებელ კრების უფლებისა თუ არა? თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს და შემდეგ როგორ წარმოუდგენია მთავრობას, დამფუძნებელ კრებას? რას უშვრება თავის თავს დამფუძნებელი კრება? თქვენ მთავრობას როგორ წარმოგიდგენიათ მთელი საქართველოს ტერიტორია საქართველოს რევკომის ხელში? თავის თავს გაშვებულათ აცხადებს, დაიშლება დამფუძნებელი კრება? ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ როგორ მოხდება ეს– რევოლუციის პროცესით, თუ ეს მოხდება როგორც პროცესი ბუნებრივი. არ იცით თქვენ, როგორც მთავრობის წარმომადგენელმა?

გ.ლორთქიფანიძე: მე მგონია, ეს კითხვა, რომლის დაყენებაც თქვენ ახლა ინებეთ პირდაპირი საგანი არ არის ჩვენი კონფერენციისა. შეიძლება ის საინტერესო იყოს, შეიძლება ამაზე ვიბაასოთ შემდეგ, როდესაც მუშაობას ვწყვეტთ და დავიშლებით, მაგრამ პირდაპირ ამ საკითხის ხაზი– თუ როგორი განზრახვა აქვს, როგორ მოიმოქმედებს დამფუძნებელი კრება, რას იზამს მთავრობა, არავითარი პრაქტიკული კავშირი არა აქვს იმ კითხვასთან რომელიც არის საგანი დღევანდელი ჩვენი კონფერენციისა.

მ.ორახელაშვილი: მე მგონი განყენებული მნიშვნელობა არა აქვს ამ კითხვას– ვინ აძლევს ბათუმს და ამ ოლქს დანარჩენ ტერიტორიას რევკომს, მთავრობას.

გ.ლორთქიფანიძე: რასაკვირველია.

ორახელაშვილი: აქვს ამის უფლება?

ლორთქიფანიძე: რომ მან ომი შეწყვიტოს?

ორახელაშვილი: რომ ომი შეწყვიტოს და ჩააბაროს ბათუმი რე-

ვკომს. თუ მთავრობას უფლება არა აქვს ეს კითხვა საბოლოოდ გადაწყვიტოს, ალბათ ეს შეადგენს უფლებას უზენაესი ორგანო-სი- დამფუძნებელი კრებისა და თუ ეს ასეა, დამფუძნებელი კრება როგორ ახდენს ამ ტერიტორიის დატოვებას,ომის ლიკვიდაციას და ტერიტორიის გადაცემას უკანასკნელი დამცველებისადმი. ამ ტერიტორიის გადაცემას მოწინააღმდეგე მთავრობის ხელში, მე ვამბობ ყველა თქვენი ნათქვამიდან რაც ბრძანეთ: თქვენი ნათქვა-მიდან არ გამომდინარეობს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ან მის-გან გამოსულმა მთავრობამ რაიმე კანონიერი ფაქტით– დეკლარაცი-ით ან დეკრეტით გამოაქვეყნოს ამის შესახებ. რამდენადაც მე გავიგე, ამას ადგილი არ ექნება. მაშინ როგორ მოხდება ამ ტერ-იტორიის გადმოცემა, ვინ მოახდენს ამ ტერიტორიის გადმოცემას. ვიმეორებ, შეიძლება პერსპექტივა დამეკარგა, მაგრამ ამას მჭიდრო კავშირი აქვს ძირითად კითხვებთან, სცნობს თუ არა საქართვე-ლოს მთავრობას.

თავმჯდომარე: მე მგონია რომ ნათქვამი იყო მთავრობის წარმო-მადგენლის მხრივ, რომ იმის გამო რომ შეიქმნა ასეთი მდგომარე-ობა საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული მთავრობა იძულებული ხდება რაკი იმას დღეს უხდება ორივე მხარეზე ბრ-ძოლა, ის არჩევს ერთ მხარეს და იმ ტერიტორიას, რომელიც იმის ხელისუფლების ქვეშ იმყოფება და დღეს გადასცემს რევოლუ-ციონურ კომიტეტს. ამას სჩადის მთავრობა და... ანგარიშს მის-ცემს დამფუძნებელ კრებას, რომ იგი იძულებული შეიქნა ასეთი გადაცემა მოეხდინა, რადგანაც შეუძლებელი იყო ბრძოლის გაგრ-ძელება... რაც შეეხება იმას, თუ რამდენად კონსტიტუციური იქნე-ბა ამ მთავრობის მოქმედება, მე, რამდენადაც ვიცი, შეიძლება ვცდე-ბოდე, რომელიმე ტერიტორიის გადაცემა, ომის დაწყება, ომის გათ-ავება, ეს არის დამფუძნებელი კრების პრეროგატივა. რამდენადაც მე მესმის, მთავრობა ყოველთვის უნდა შეეკითხოს მას. ჩვენ როდე-საც მთავრობას ველაპარაკებით, ჩვენ არ შეგვიძლია მისი ძალაუ-ფლება შევამციროთ და ვუთხრათ, რომ მთავრობას არა აქვს უფ-ლება ესა თუ ის აქტი მოახდინოს. ამიტომ მთავრობა არის პასუ-ხისმგებელი დამფუძნებელი კრების წინაშე, ეს იმის საქმე იქნება თუ რამდენათ აგებს ის პასუხს. ჩვენ დღეს ველაპარაკებით მთავრობას. თუ მთავრობა მის განცხადებაში რამენაირათ მოტი-ვებით არ დაასაბუთებს თავის განცხადებას, რომ გადასცემს თავის ტერიტორიას რევოლუციურ კომიტეტს, ჩვენის მხრით ეს დასაკ-მაყოფილებლად მიგვაჩნია. მგონია,პატივცემულ ლორთქიფანიძ-ის განცხადებაში გამოსჭვივოდა ესა. თუ ეს ასეა, მე პირადად

საკმარისად მიმაჩნია, რომ მთავრობა თავის განცხადებაში იძულებულად გრძნობს თავის თავს, ემორჩილება ძალას და ამბობს: „რაკი ამას მოითხოვს საერთო ინტერესები საქართველოს მთლიანობისა“ ახლა...

მ.ორახელაშვილი: მე ვცვლი ჩემ საკითხს. აქ არ ყოფილა ნათქვამი, რომ მთავრობა აცხადებს, თუ რა ფორმით ხდება დარჩენილი ტერიტორიის გადაცემა, რა ფორმით ხდება ვიცი და რა უფლება აქვს, ვიცი რა მოსაზრება აქვს, ვიცი შეუძლია სთქვას ამ საკითხის შესახებ, მხოლოდ როგორ ხდება ამ ომის ლიკვიდაცია, რა ფორმით ამის პასუხი გვინდა გვქონდეს.

გრ.ლორთქიფანიძე: საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს, რომელიც მიმართულია საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის იმ ტერიტორიას, რომელიც მას უჭირავს. იცავს მას მეორე მხრიდან, ხელს უწყობს საბჭოთა ჯარებს და უადვილებს მათ, რომ ეს ტერიტორია დაიჭირონ. შეიძლება დღესვე მოხსნას ეს ფრონტი და იმავე დროს დაიცავს ამ ტერიტორიას, (სანამ ეს საჭირო იქნება მესამე ძალისთვის). აი ასეთია პრაქტიკული გზები და საშუალებები ომის ლიკვიდაციის მოხდენისა.

თავმჯდომარე: აქ კითხვა ისმის, როგორც მე მესმის, რა გამოთქმას მიიღებს ეს, იქნება იგი დაწერილი თუ ნათქვამი.

გ.ლორთქიფანიძე: მე ვფიქრობ რომ, სუყველა კითხვები, ყველა ამ შეთანხმების შესახებ, რასაკვირველია დაიწერება და სწორეთ მაშინ შეგვიზლია ვილაპარაკოთ ამის რედაქციაზე.

მ.ორახელაშვილი: მე დაკმაყოფილებული ვარ.

თავმჯდომარე: მაშ გნებავთ განვაგრძოთ თუ კიდევ არის რამე ასეთი კითხვა, მე მგონი საკითხი არსებითად გამორკვეული არის.

მ.ორახელაშვილი: უკანასკნელი განცხადება შეიცავს მთავარ მომენტს, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა სცლის ამ ტერიტორიას, უთმობს მას რევოლუციურ კომიტეტს და ხელს უწყობს ამ მთლიანობის დაცვაში სამხრეთი ფრონტის მიმართულებით. სთვლის თუ არა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელი შესაძლებლად, რომ ფრონტი მოიხსნას სწორეთ სამხრეთიდან, ვინაიდან ამას მნიშვნელობა ექნება მხოლოდ იმ საფრთხის ასაცილებლდ, რომელიც მოელის დღეს ბათუმის ოლქს, ვინაიდან ანგორის მთავრობის ჯარის უფროსი, თუ გინდ კარაბექირი ანგარიშს გაუწევს იმას, რომ მის წინააღმდეგ სამხრეთის ხაზზე იქნება წითელი ჯარი. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ასეთი კითხვის დასმა, რომ დღეს მაგალითად იმ ხაზზე, რომელიც

სამხრეთით არსებობს, ქემალის წიააღმდეგ, იქნება წითელი ჯარი შეჩერებული?

გრ.ლორთქიფანიძე: მე ეს მიმაჩნია სავსებით შესაძლებლად და მიზანშეწონილად. ხოლო მე თუ მოგახსენეთ რომ ამ ფრონტს ვიცავთ, ეს იყო ტექნიკური საკითხი, ვინაიდან თქვენი ჯარები უნდა შევიდნენ იქ სუფსიდან. არა იმიტომ, რომ ბათუმში დარჩნენ, არამედ სამხრეთით გადავიდნენ. თუ მოგახსენებთ, რომ „დროებით იცავს", ეს იმიტომ რომ მდგომარეობა მოითხოვს ამას, საჭირო არის რომ წავიდეს წითელი ჯარი და იდგეს სამხრეთისაკენ.

თავმჯდომარე: მე ასე გავიგე და როდესაც გრ.ლორთქიფანიძე ბრძანებს, რომ ჩვენი მთავრობა ამ ტერიტორიის გადაცემაში ხელს შეუწყობს ამ საფრთხის ასაცდენად, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მხრით ძალას მოუწოდებს, რომელიც უზრუნველყოფს ბათუმის ოლქს.

ორახელაშვილი: მე სულ სხვა აზრი ვსთქვი, შეიძლება ის ჯარი, რომელიც სუფსიდან მიდის, შეიძლება ეს ჯარი თანდათან წინ წავიდეს და მოედოს ამ ოლქს. მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ იმას, რომ ეს ჯარი პირველ რიგში დადგეს ქემალის წინააღმდეგ, არა იმიტომ, რომ ბრძოლა გააჩაღოს, არამედ იმიტომ რომ ის უფრო შეაჩერებს ქემალის ძალებს, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკის ჯარები.

თავმჯდომარე: მე დარწმუნებული ვარ, რომ პატივ. მოწინააღმდეგენი აფასებენ იმას, რომ ქემალისტებმა წამოიწია საქართველოს წინააღმდეგ იმიტომ კი არა, რომ საქართველოს ჯარებს არ სთვლიდა მაგარ დამცველად, არამედ ფორმალურად უფრო ხელგაშლილი იქნება ქემალი. ჩვენ ვიცით იმის განცხადება, რომ ის აშკარად წავა, აშკარად ომს გამოუცხადებს საქართველოს. რაც შეეხება წითელ არმიას, შეიძლება ამაში შეყოყმანდეს ქემალი. ამის მაგალითი გვქონდა ჩვენ ახალციხეში და არდაგანში და ის ხელშეკრულება, რომელიც უკვე არსებობს და რომელიც ფაქტიურად ქემალს შეტყობილი აქვს, მე მგონი ხელს შეუშლის. ამიტომ მე სიხარულს ვაცხადებ იმის შესახებ, რომ ფაქტიურად საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლებს ეს კითხვა აშკარად მიაჩნიათ.

მ.ორახელაშვილი: ერთი საკითხი კიდევ. თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ მაგალითად უმტკივნეულოდ ჩაიაროს საქართველოში არსებული ჯარის განიარაღებამ, რასაკვირველია, არა დამამცირებელი ფორმით, როგორც ეს ხდება არამედ როცა ჩვენ წითელი ჯარის შექმნას ვაღიარებთ და არსებული ჯარის დაშლას,

ე.ი. ჩამოართმევენ იარაღს არსებულ ჯარს და შექმნიან ახალ ჯარს სულ სხვა ნიადაგზე. თქვენ შეგიძლიათ დაგვპირდეთ, რომ უმტკივნეულოდ ჩაივლის ეს განიარაღება თუ ჩვენ ჯარს აქედან მოვხსნით, წამოვიყვანთ და ჩამოვართმევთ იარაღს და დაუყოვნებლივ შევუდგებით საქართველოს წითელი ჯარის შექმნას, ვინაიდან უკვე გვეცოდინება, რომ ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ დემობილიზაცია არმიისა და გვარდიის და შევუდექით ნაწილობრივ მაინც საქართველოს წითელი ჯარის შექმნას. სანამ ეს მთავარი საკითხი ბათუმის დაცვის და მისი შერჩენის შესახებ გადაჭრილ იქნება, შესაძლებელია, რომ ამ ჯარმა უმტკივნეულოდ დაიწყოს ჩვენი ბრძანების თანახმად [გადაადგილება შ.ვ.] იმ პუნქტებზე, რომელსაც ჩვენ მივუთითებთ და იქ ჩაგვაბაროს იარაღი. თუმცა ეს საკითხი არ შეადგენს ჩვენი მოლაპარაკების ძირითად პუნქტს. მაგრამ სასურველი არის გავიგოთ მთავრობის აზრი დაახლოებით მაინც. შესაძლებლად სთვლით, რომ იოლათ და ადვილათ ჩაიაროს ამ განიარაღებამ?

გ.ლორთქიფანიძე: უნდა მოგახსენოთ რომ ეს კითხვა, მე შესწავლილი არა მაქვს და ვერც გეტყვით დანამდვილებით. მთავრობის სურვილი, ცდა და იმედი ისეთია, რომ ეს უმტკივნეულოდ მოხდეს.

ორახელაშვილი: აქ დემობილიზაცია არ არის, აქ არის ძველი ჯარის დაშლა.

ლორთქიფანიძე: ჩვენ მას დაუძახეთ დემობილიზაცია, თქვენ დაშლას ეძახით. მე მგონი ეს ადვილად ჩაივლის. აქ ჩვენი სპეციალისტი გახლავთ. ამის შესახებ მე იმას მოველაპარაკები და მოგცემთ პასუხს.

ორახელაშვილი: ჯარის დაშლა, მისი კუთვნილი სამხედრო იარაღის, სამხედრო ქონების ჩაბარება შესაძლებელია უმტკივნეულოდ იქნეს? შეუძლია მთავრობის წარმომადგენლებს გაითვალისწინონ ის პირობები, რომელშიაც მოხდება განიარაღება? ამ მხრივ თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ხელის შემშლელი არ იქნება, პირიქით ეს მოხდება მთავრობის დახმარებით?

გ.ლორთქიფანიძე: როდესაც თქვენ ბრძანებთ ეს გულისხმობს ერთ გარკვეულ ფორმას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს ჯარი, ვიდრე თქვენ ფრონტზე მოვიდეს, ჩვენ დავშალოთ.

მ.ორახელაშვილი: თუკი შევთანხმდით, რომ თქვენთან ერთად ვიცავთ ბათუმს?

გ.ლორთქიფანიძე: საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ ერთად მივდივართ თუ თავის თვისად, თუ თქვენ მიდიხართ მარტო, თუ თქვენ

ერთ ნაწილს იცავთ და ჩვენ ვიცავთ მეორეს, ეს სულ სხვა მდგომარეობას ქმნის; წინასწარ უნდა უძღოდეს მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა და ჩვენ სავსებით იმედი გვაქვს, რომ ამ მხრივ ეს იქნება სრულიად უმტკივნეულოდ. და თუ თქვენ გულისხმობთ, რომ თქვენ ჯარს გადმოგცემთ არა მოსახმარებლად, არამედ კაპიტულაციისთვის, ამას ჩვენი მთავრობა უარჰყოფს, თუ თქვენ გინდათ, რომ ჩაგაბაროთ ჯარი, მხოლოდ იმიტომ რომ იარაღი აჰყაროთ.

მ.ორახელაშვილი: არა, სახლში გავუშვებთ.

გ.ლორთქიფანიძე: თუ ჩვენ ერთად ვიბრძვით, რა ფორმით? ეს წინასწარ უნდა იყვეს ნათქვამი. როგორ იქნება ეს პრაქტიკულად, იქნება ეს დაშლა თუ დემობილიზაცია, ეს არის ტექნიკური კითხვა.

მ.ორახელაშვილი: აქ არის დართული მეორე საკითხი სახელმწიფო ქონების შესახებ. მთავრობა ამ სფეროში პასუხისმგებელია იმ ქონების, იმ სამხედრო სამკაულების, იმ სამხედრო ქონების, რომელიც დღეს დაფანტულია ბათუმის ოლქში და სხვა იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. ამის პასუხისმგებელია მთავრობა, არა ფორმალურად, რასაკვირველია მე ამ კითხვას ვიძლევი; მოხდება თუ არა უმტკივნეულოდ იმ პროცესის ჩატარება, რომელიც დაკავშირებულია ჯარის დაშლასთან, ის ქონება რომელიც აქვს ჯარს. საქმე იმაშია, რომ შეიძლება სამხედრო ქონება ჯარს არ ჰქონდეს თან, შეიძლება ეს იყოს სხვა საწყობებში და აი ამ მხრივ თუკი ჩვენ შევთანხმდებით, იმ საკითხებში, რომ მთავრობა იღებს ხელს, რომ ბათუმის ოლქში ჩვენ მიერ დაკავებული იქნეს ეს ქონება, თუ აქ არავითარი ხელშეშლა არ იქნება, სულ ადვილია პასუხი მეორე საკითხზე, რომ რასაკვირველია, მთელი ის სამხედრო ქონება, რომელიც აქვს ჯარს ხელთ და სხვა ქონება, რომელიც არის საწყობებში გადაეცემა ამ ორგანოს, რომელიც შეუდგება წითელი ჯარის მოწყობას. მე მგონია თქვენ ამაზე პასუხი უნდა მომცეთ.

გ.ლორთქიფანიძე: თუ ჯარი რჩება, როგორც ჯარი და თქვენ განკარგულებაში გადადის, თავის თავად იგულისხმება, რომ იმ ჯარსაც დაგილოცავთ მთავრობა და მის კუთვნილ იარაღსაც, არა მარტო კუთვნილ, სხვასაც, მაგრამ უნდა მოახსენოთ რამდენად შეიძლება აუცილებელი იყოს ის არასასურველი და მიზანშეუწონელი ფორმა, რომელსაც საზოგადოთ ღებულობს ყოველი განიარაღება.

ორახელაშვილი: მე ამოვწურე ჩემი კითხვები.

გ.ლორთქიფანიძე: მე მგონი შეთანხმება უკვე მოხდა.

მ.ორახელაშვილი: მე მგონია შეთანხმება უკვე მოხდა. შესაძლებელია შევუდგეთ წინასწარ მოლაპარაკებას, ვისაუბროთ, შემდეგ შევიმუშაოთ პირველი მოთხოვნილება და დავუდოთ ეს საფუძვლად.

ალ.დგებუაძე: კითხვა ქონების შესახებ ჩვენ დაწვრილებით არ გვაქვს შესწავლილი და შემდეგ მოგცემთ ჩვენ ერთ მთლიან პასუხს.

გ.ლორთქიფანიძე: ეს მხოლოდ წინ უძღოდეს გადაწყვეტილებას ჯარის დაშლის შესახებ.

ალ.დგებუაძე: თავის თავად ცხადია, არც გვარდია, არც ჯარი არ იარსებებს, მხოლოდ რა ფორმით და რა რიგათ მოხდება ამ ჯარის დაშლა, იარაღის გადაცემა, ამის შესახებ ჩვენი დელეგაციის შეგნით მოვილაპარაკებთ და შემდეგ მოგახსენებთ.

თავმჯდომარე: მე ამის თქმა მინდოდა, მე სრულიად არ მინდა ეს სიტყვა ვიხმარო, რომ დამარცხებულად გამოვაცხადო მეორე მხარე. აქ საკმაოდ იყო ნათქვამი, რომ შეიქმნება ისეთი პირობები, ისეთი კონიუნქტურა, საქართველოს მთავრობა თვითონ აფასებს ამ მდგომარეობას და აქედან გამომდინარეობს რა დარჩენა საქართველოს მთლიანობისა და მთავარი ინტერესისა, განაცხადებს, რომ იძულებული ხდება მოახდინოს ტერიტორიის გადაცემა, ჯარის დამორჩილება. მეც პირადად არა მაქვს ნათლად წარმოდგენილი თუ რანაირად მოხდება ეს. თავისთავად ცხადია, თუ ორივე ჯარმა, წითელმა არმიამ და საქართველოს ჯარმა უნდა დაიცვან ბათუმი და მისი ოლქი, იძულებული ხდება, ეს ტერიტორია გადასცეს ახალ ძალას და აქ რასაკვირველია დროებით დაემორჩილება იმ ლაშქართა უფროსებს, რომლებიც აქ აწარმოებენ ბრძოლას ე.ი. წითელი ჯარის უფროსებს. ჯარი მთელი თავისი ქონებით გადავა მის განკარგულებაში და შემდეგ მოხდება ამ ჯარის დაშლა, ან რა პირობებში, მე მგონია ამის გათვალისწინება გაგვიძნელდება. ასეთი სპეციალური ცოდნა არა მაქვს ამის შესახებ. მე მგონია საკმარისი იქნება დღეს გამოვაცხადოთ, რომ რადგანაც საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ გადასცა თავისი ტერიტორია, თავის სამხედრო ძალებს დაუმორჩილებს იმ ლაშქართა უფროსებს, რომელიც სდგას წითელი არმიის სათავეში, ამის აღიარება მე საკმარისად მიმაჩნია. რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს, რა პირობებში მოხდება საქართველოს ჯარის განიარაღება, რომ სხვა ნიადაგზე დავაყენოთ საქართველოს ჯარების მოწყობა, ეს

სხვა კითხვებია, ამის გამოურკვევლობა არ შეუშლის ხელს ჩვენ შეთანხმებას.

დგებუაძე: ის კითხვა, რომელიც თქვენ წამოაყენეთ, ძალიან რთულია და ასე უცბად ჩვენ პასუხს ვერ მოგცემთ. ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ საქართველოს ინტერესები მოითხოვს, რომ წითელმა ჯარმა და ჯარმა დემოკრატიული რესპუბლიკისამ დაიცვას საქართველოს ტერიტორია, რომ ეს ჯარი გადაეცეს ერთ ხელმძღვანელს, რომელიც არის ამ შემთხვევაში წითელი არმიისა. მაგრამ რეფორმაში, რა პირობებში, ეს ჩვენთვის სადაო კითხვაა ვის გადაეცემა ეს ჯარი და სხვა. ყველა ამ საკითხებზე ასე უცბათ პასუხს ვერ გაგცემთ, მაშასადამე კითხვა გადაეცემა თუ არ გადაეცემა ჩვენი ჯარი თქვენ სარდლობას, თუ გადაეცემა რა პირობებში, რა პირობებში მოხდება ჩვენი ჯარის განიარაღება, ჩვენ ეს საკითხები იმდენათ რთულად მიგვაჩნია, რომ ჩვენ ერთმანეთს შორის უნდა მოვახდინოთ მოლაპარაკება და მხოლოდ ამის შემდეგ მოგახსენებთ პასუხს.

თავმჯდომარე: თქვენ საჭიროთ მიგაჩნიათ, რომ ეს საკითხი ეხლავე გამოირკვეს?

მ.ორახელაშვილი: თანახმა ვარ გადაიდოს, რადგანაც გადაწყვეტილია საქართველოს მთავრობის მიერ, რომ მთელი ტერიტორია გადადის რევკომის ხელისუფლებაში, სამხედრო მოქმედება სწარმოებს იმ მიზნით, რომ ბათუმი და მისი ოლქი დარჩეს საქართველოს ფარგლებში და ამ პროცესში დემოკრატიული მთავრობა არა თუ არ ეწინააღმდეგება რევკომს, პირიქით ეხმარება მას და ულოცავს დაკავებულ ტერიტორიას. მე მგონია საკითხის ასეთი გადაწყვეტილება უკვე სწყვეტს ჯარის საკითხს. ჯარი რასაკვირველია გადადის სარდლობის განკარგულებაში, აქ საკითხი გამორკვეულია.

ალ.დგებუაძე: მხოლოდ მე ერთი რამ უნდა განვაცხადო: ტერიტორიის გადაცემა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჯარს უთუოდ თქვენი სარდლობის განკარგულებაში გადავცემთ.

ალ.სვანიძე. მას შემდეგ რაც პრინციპიალურ კითხვებზე ჩვენ შორის შეთანხმება მოხდა, ერთგვარი „პერელომი“ უკვე ფაქტია და ამ „პერელომს“ ამასთან კიდევ თავის მხრივ განსაკუთრებული შედეგი აქვს. ე.ი. ჩვენ მოწინააღმდეგე მხარესთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ისეთ პირებთან, რომელნიც ჩვენთან ერთად დაინტერესებულნი არიან ამა თუ იმ მიზნის განხორციელებაში. სახელდობრ, ბათუმის ოლქის ჩვენთვის შენარჩუნებაში. მაშასადამე, კითხვა თეორიული სფეროდან, პირდაპირ პრაქტიკულ სფ-

ეროში გადადის და ასეთი კითხვა ამისთანა ფართო წრეში არ შეიძლება გადაწყდეს. მე სრულიად ვეთანხმები მოქ. დგებუაძეს, რომ ეს საკითხი გადაეცეს სამხედრო სპეციალისტებს, ისინი შეიმუშავებენ, როგორ მიზანშეწონილად მოახდინონ ამ საკითხის მოწყობა, როგორი „გრუპიროვკა“ მოახდინონ, ერთად დაიცვან თუ არა, ყველა ამ საკითხებს შეიმუშავებენ სპეციალისტები, წარმოუდგენენ ჩვენ კონფერენციას და ჩვენ ან დასტურს დავადებთ, ან შესწორებას შევიტანთ. მე მგონია, ამის გარდა ერთი პრინციპული კითხვა დარჩა. წინათ მე აღვნიშნე, რომ განსხვავება არსებობს იურიდიული და პრაქტიკულ მხარეთა შორის. მაშინ მე არ მეჩვენება მნიშვნელოვან კითხვად ის იურიდიული მხარე, რომელსაც ხაზს უსვამდა მოქ. გრ.ლორთქიფანიძე, რომელმაც შეიძლება ერთგვარი უთანხმოება გამოიწვიოს თუ შესაფერ პასუხს არ მივიღებთ. მაგრამ იმ ქონების შესახებ, თუკი ფაქტიურად თქვენ გადასცემთ სახელმწიფო ქონებას რევკომს, მაშინ ხომ საკითხი ამოწურული იქნება. თქვენ თავს აღარ სცნობთ შემძლებლად, როგორც იურიდიული მატარებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებისა, თუკი რომ თქვენ აიღეთ ის ქონება, რომელიც გატანილი იყო საქართველოს რომელიმე ნაწილში და ჩააბარეთ რევოლუციონურ კომიტეტს.

გრ.ლორთქიფანიძე: იურიდიულათ რასაკვირველია, დემოკრატიული მთავრობა არ სცნობს თავს ვალდებულად, რომ რაიმე ქონება სხვას გადასცეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ფაქტიურად არ მისცემს, არ გადასცემს რაიმე ქონებას, ეს თეორიული საკითხია, ჩვენ კი გვაქვს მთელი რიგი ფაქტებისა, ჩვენ ამ სფეროში სულ ფაქტების სფეროში ვართ.

თავმჯდომარე: დაკმაყოფილებული ვარ.

მ.ორახელაშვილი: მე ხაზს ვუსვამ ჩვენ შეთანხმებაში არავითარ პრინციპს ადგილი არა აქვს,აქ ლაპარაკია სამხედრო ქონებაზე, ამ კითხვაში შეთანხმება უნდა მოხდეს. ჩვენ ვამბობთ არა იმიტომ, რომ იურიდიულად თქვენ თავისუფალი ხართ ან არა ხართ თავისუფალნი, განკარგულება მოახდინოთ ამ ქონების შესახებ, არამედ ფაქტიურად ჩვენი მხარე არის მსურველი, რომ რაკი წითელი ჯარის შედგენას შევუდგებით, მთელი იარაღი და სამხედრო ქონება, რომელიც ახლა ბათუმის ოლქში არის, უნდა დაუბრუნდეს არა რევკომს, როგორც ასეთს, არამედ დარჩეს ამ ტერიტორიაზე შეიძლება დროებით საშვილიშვილოთ არ დაიტოვება, ჩვენ ვდებთ ამ ხელშეკრულებას, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა ის ქონება, რომელიც დღეს თქვენი მთავრობის განკარგულებაშია,

გადავიდეს ჩვენ ხელთ და დარჩეს საქართველოს ტერიტორიაზე. ამაში არავითარი ნორმების,არავითარი პრინციპების აღიარებას ადგილი არ ექნება.

თავმჯდომარე: ეს კითხვა ამოწურულია, თქვენ გნებავთ თუ არა ამის შესახებ ცალკე თათბირი იქონიოთ ამ უკანასკნელი საკითხის შესახებ, თუ მიგაჩნიათ ის რაც უკვე მოხდა, რადგანაც ჩვენ არ ვეკიდებით არც ერთი მხარე, რომ ეს იურიდიულ ფორმებში მოხდა. თუ საჭიროდ მიგაჩნიათ ვითათბიროთ ამ კითხვის შესახებ. თქვენ, რასაკვირველია, სრული ნება გაქვთ ეს მოითხოვოთ, ჩვენ თანახმა ვიქნებით.

გრ.ლორთქიფანიძე: ჩვენი და თქვენი სურვილი არის, რომ ჩვენ შორის მოისპოს ომი. სრულიად ბუნებრივია, რომ მოისპოს შესაძლებლობა რაიმე მეორენაირი ფორმით ამ ომის გაგრძელების. ე.ი. სამოქალაქო ომად გადაქცევისა, რადგანაც თქვენ ბრძანებთ ჯარის გადმოცემაზე და დაშლაზე, ეს თქვენი სქმეა როგორ დაშლით. ყოველ შემთხვევაში ჩვენი საქმე იქნება, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, იქნება ეს პოლიტიკური მოღვაწე... სამხედრო პირი, ან საერთოდ სახელმწიფო მოღვაწე, მოსამსახურე,... ამ პირთ არ ჩაეთვალოს დანაშაულათ წარსულში ის, რაც მოხდა. ისინი თავისუფალნი არიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, რასაკვირველია, არა სისხლის სამართლის, არამედ იმ პასუხისმგებლობისგან, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, სამხედრო ადმინისტრაციულ სამსახურთან, რაიც თავის თავად ჩვენც გვავალებს და ჩვენი მხრითაც გადავდგით სათანადო ნაბიჯები. ჩვენ გვყავს დაპატიმრებული თქვენი მეგობრები. საჭიროა საურთიერთო ამნისტია. ეს ტერმინი თუმცა ამ საკითხს სავსებით არ შეეფერება, მაგრამ ჩვენ ვთხოულობთ, რომ ასეთნაირი მუხლი აუცილებლად იყოს შეტანილი შეთანხმებაში. იქნება ეს საკითხი აინტერესებს მოქალაქე ორახელაშვილს? უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ბათუმში არის ერთი მხრით დაპატიმრებული ნაწილი თქვენი პოლიტიკური მეგობრებისა და ამხანაგებისა, მეორე მხრით არიან გაქცეული ლტოლვილები,რომელთა შესახებ მე მოგახსენეთ რადიო ტელეგრაფით. მათ შესახებ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ისინი სრულიად თავისუფლად უბრუნდებიან თავ- თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და საჭირო იქნება აღინიშნოს ხელშეკრულებაში,რომ ლტოლვილების საკითხი საზოგადოთ ისპობა და ამისი გარანტია, სასურველია გამოაცხადოს რევოლუციურმა კომიტეტმა ხელშეკრულებაში.

თავმჯდომარე: ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, თუ გახსოვთ,

როდესაც ჩემი მონდობილობის ქაღალდი იქნა წაკითხული, იქ საბჭოთა მთავრობამ მე ასეთი დავალება მომცა, აქ ხაზი აქვს გასმული, რომ საქართველოში მოისპოს ამ ორ ძალთა არა თუ ომი, არამედ,... მოქალაქეობრივი ომი, რადგანაც ჩვენ უკვე განვიცადეთ რუსეთში საკმაოდ და ვიცით, რომ ეს მოქალაქეობრივი ომი ათასჯერ უფრო დამღუპველია, ვიდრე გარეშე ძალასთან. ამიტომ ეს კითხვა, რასაკვირველია, უნდა დაისვას ჩვენ შორის და ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ, რომ არამც თუ ეს ეხლანდელი შეტაკება უნდა მოისპოს ჩვენ შორის, არამედ მეტი ძალა და ღონე უნდა გამოვიჩინოთ, რომ ეს მოქალაქეობრივი ომი, რომელიც უფრო დამღუპველი იქნება საქართველოში ვიდრე, სადაც ეს მოქალაქეობრივი ომი ხდებოდა, მოვსპოთ. ამის მონდობილობა მე მქონდა. ერთს მხარეს მე უკვე მოველაპარაკე და უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ შევთანხმდით სუყველა პოლიტიკურ მოღვაწეებს, საქართველოს მთავრობის წევრებს, ყველა მოხელეებს, რასაკვირველია, საშუალება ეძლევათ დარჩნენ საქართველოს ტერიტორიაზე, შეუდგნენ თავის საქმეს, ზოგმა მიიღოს მონაწილეობა საქართველოს საქმეებში და ერთი სიტყვით, იმის გარანტია იქნება მიცემული, რომ უზრუნველყოფილი იქნება დარჩენილი მათი სიცოცხლე და პირადი ქონება. მე პირადად საჭიროდ მიმაჩნია ამ მუხლის შეტანა.

მ.ორახელაშვილი: საინფორმაციოდ მოგახსენებთ: ჯერ ჩვენ თბილისში არ ვიყავით ჩამოსული, თუმცა ვიცოდით რა მოხდა, რა ბედი ეწია ჩვენ ამხანაგებს, რა ბარბაროსობა ჩაიდინეს მათ მიმართ. ჩვენ უკვე დეკრეტი შემუშავებული გვქონდა. ნება მიბოძეთ წავიკითხო (კითხულობს). რასაკვირველია, თქვენ არ დაეთანხმებით ამ დეკრეტის დასაბუთებას. ყოველ შემთხვევაში მისი მთავარი აზრია ამნისტია ყველა იმ პარტიების, ჯგუფების და კერძო პირების, რომლებიც აქტიურად აწარმოებდნენ ბრძოლას საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. ჩვენ რადიო გადმოვეცით აქ, რასაკვირველია, რომ ძალაში რჩება ეს ამნისტია იმ ჯარის და მთავრობის მოხელეების მიმართ, რომელნიც განაგრძობენ ბრძოლას ბათუმში და ახლო მდებარე ტერიტორიაზე. თქვენ შეკითხვაზე მე გიპასუხებთ,არავითარი ყოყმანი არ გვექნება ამ საკითხში „სრული ამნისტია ჯარისკაცებს, ოფიცრებს, გენერლებს, მთავრობის, დამფუძნებელი კრების, ყველა იმ ჯგუფებს და კერძო პირებს, რომელნიც დღეს ჩვენ მოწინააღმდეგე ბანაკში იმყოფებიან, სრული ამნისტია. მაგრამ არ დაგიმალავთ პირადად ჩემს აზრს, რასაკვირველია, თქვენ რომ ბრძანეთ, თუკი ეს არ არის სისხლის სამართლის ხასიათის დამნაშავე „уголовного характерь“ აი მაგალი-

თად დღეს მე გადმომცეს, რომ დაუხვრეტიათ სამი ჩვენი ამხანაგი, აი ეს ისეთი შემთხვევაა, რასაკვირველია ჩვენ არ ვიქცევით ამ გარემოებაში კედიათ, რომელიც ჩვენში სიმბოლო იყო მდევნელთა რეჟიმისა. კედია არ იქნება დასჯილი, არც სხვა ვინმე ადმინისტრაციული პირი, მაგრამ იმ ადმინისტრაციას რომელმაც გამოიყვანა ჩვენი ამხანაგები ბათუმში გასაგზავნად და დახვრიტა, ჩვენ ვერ ჩავთვლით იმ პირთა კატეგორიაში, რომელთაც ეხებათ ამნისტია. ამის პასუხისმგებელი არ არის თქვენი მთავრობა, ეს არ არის სახელმძღვანელო მეთოდი იმის ბრძოლისა და ამაში არ ვადებთ იმას ბრალს, ეს არის ექცესი, ეს არის ერთგვარი ხულიგნობა, რომელიც არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ. მაგრამ ვიმეორებთ, საერთო წესი, გარდა ამ გამონაკლისისა არის სრული ამნისტია. მოხდა ისეთი გაუგებარი ფაქტი, რომ გამოიყვანეს ეს ჩვენი ამხანაგი პ... და დახვრიტეს. თქვენი რეჟიმი არ იყო ამ ექსცესების მატარებელი, ვიმეორებ, რომ მენშევიკური მთავრობა ჩვენ გვდევნიდა, მაგრამ იყო ერთი ორი გამონაკლისი, რომ დახვრიტეს ასეთი წესით: გაიქცა, წაიქცა...

გრ.ლორთქიფანიძე: ეს ფაქტია?

მ.ორახელაშვილი: რამდენადაც მე ვიცი ეს ფაქტია. ყოველ შემთხვევაში ვაცხადებ, თუ ეს ნამდვილი ფაქტია, ეს არის სისხლის სამართლის ხასიათის ფაქტი, დანარჩენ შემთხვევაში სრული ამნისტია იქნება.

ლორთქიფანიძე: ეს მართალია, რომ ასეთი რადიო იყო, მაგრამ მე მსურს შემოვიტანო ასეთი წინადადება. ეს გახლავთ ცალმხრივი აქტი. სასურველი იქნებოდა, რომ ყოველივე აქაც ყოფილიყო გამეორებული, რადგანაც ორმხრივი აქტის მიღება სამოქალაქო სიმშვიდეს შეიტანდა ჩვენს ცხოვრებაში.

ორახელაშვილი: უსათუოდ უნდა იყოს შეტანილი, მაგრამ როცა თქვენ ამბობთ ორ მხრით ამნისტიას,ჩვენ არ გიპასუხებთ... თქვენ გყავთ ჩვენი ამხანაგები, არავითარ კრინტს არ დავძრავთ– სრული ამნისტია,რასაკვირველია,ეს პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილია.

თავმჯდომარე: მე საჭიროთ მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე გამოვიდა რევკომის სახელით, ცალკე მუხლათ უნდა იყოს შეტანილი.

ორახელაშვილი: აქ სწერია 25 თებერვლამდე. აუცილებლად უნდა შევიტანოთ კერძო მუხლი.

თავმჯდომარე: ეს ჩვენ ხელშეკრულებაში უნდა შევიტანოთ. მე ამნისტიათ არ მიმაჩნია, შეურაცყოფა იქნება რომ ამით დავიწყ-

ოთ.

ამიტომ უნდა ვსთქვათ ხელშეუხებელი იქნება ყველა ის, ვინც ამ ბრძოლაში, ამ შეტაკებაში ჩარეული არის. აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ წევრები, პარტიის წევრები, ჯარისკაცები და სხვა.

გრ.ლორთქიფანიძე: შეიძლება შევიტანოთ ერთგვარი კორექტივი, თუ არა.

შ.ელიავა: არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ შევიტანოთ რაც აქ იყო ნათქვამი. ყველა სამხედრო პირი ვინც იყო წაყვანილი ჩვენ გავუშვით, ყველა თავის სახლში წავიდა.

გ.ლორთქიფანიძე: ჩვენ გვაქვს ცნობა, თითქო ოფიცრები არ იყვნენ გაშვებულნი.

შ.ელიავა: იყო ისეთი შემთხვევა, რომ ერთი ჯგუფი ოფიცრებისა ჩვენ დაუკითხავად გაგზავნილი იყო ბაქოში, მე პირადათ განკარგულება მივეცი, რომ ეს ჯგუფი დაბრუნებული ყოფილიყო თბილისში.

გ.ლორთქიფანიძე: შემდეგი კითხვა ჯარის შესახებ; ჩვენ გვინდა იყოს ნათქვამი, რომ ჩვენ მიგვაჩნია დათმობათ ის შეთანხმება, რომელიც არის. ჩვენ გვინდა სურვილი გამოვსთქვათ, რომ რუსეთის ჯარი, როცა შესაძლებელი... და მოსახერხებელი იქნება გაყვანილი იქნას აქედან, ჩვენ პირობებში არ შეგვაქვს როგორი ჯარი უნდა შექმნათ, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია საჭიროთ, რომ ეს გარემოება აღნიშნული იქნას.

თავმჯდომარე: მაგის შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი. რამდენადაც მახსოვს, ასეთი აზრი იყო გამოთქმული, როცა შესაძლებელი იქნება, როცა საქართველოს ეყოლება თავისი საუკუთარი ძალები, ისეთი ძალები რომლებიც შეძლებენ დროებით მაინც გარეშე საფრთხიდან დაიხსნან საქართველო და ისეთი აუცილებელი საჭიროება არ იქნება რუსეთის ჯარების აქ ყოფნა ისიც მხოლოდ საზღვრებში, ეს რუსეთის ჯარები გაყვანილი იქნებიან.

მ.ორახელაშვილი: რასაკვირველია, ეს ხომ არ არის უბრალო დაპირება, რომ საქართველოს წითელი ჯარის შექმნა გადაწყვეტილია. ჩვენ არ ვდებთ ვადას, ჩვენ არ შეგვიძლია ხვალვე შევქმნათ ჯარი, მაგრამ კიდევაც რომ ხვალ შევქმნათ, აქედან კიდევ რომ გითხრათ ეს, თქვენ არ დაიჯერებთ, ობიექტური პირობები, როგორც გარეშე, ისე შინაური გვაიძულებენ ჩვენ, რომ ეს წითელი ჯარი ჯერჯერობით აქ იყვეს, როდესაც ჩვენ საქართველოში გვეყოლება საკუთარი ლაშქარი,რასაკვირველია,რუსეთის ჯარს წავიყვანთ, მოგაშორებთ. ყოველ შემთხვევაში, როდესაც შექმნილი იქნება წითელი ჯარი, რუსეთის ჯარი უთუოდ იქნება დაბრუნებული რუ-

სეთში. მაგრამ თქვენ რომ ამბობთ დღეს შეიტანეთ ხელშეკრულებაში ეს მუხლიო, ჩვენ არ შეგვიძლიან დღესვე განუცხადოთ წითელ ჯარს– თქვენ გაგიყვანთ აქედან, რომ დავადგინოთ ეს, თქვენ თვითონ დამეთანხმებით, რომ ეს უხერხულობა იქნება. შეიძლება ერთი წლის შემდეგ არ დაისვას ეს საკითხი, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი, რომ რუსის ჯარი ჩვენ ჩამოვიცილოთ. რასაკვირველია ჩვენ პირველ შეძლებისთანავე რუსის ჯარს გავიყვანთ, მაგრამ დღეს ჩვენთვის ეს მიუღებელია, ჩვენ არ შეგვიძლია დღესვე განვაცხადოთ, რომ უსათუოდ გავიყვანთ რუსის ჯარს, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, როგორც შეიქმნება შინაური ლაშქარი, ჩვენ უკვე მოლაპარაკება გვქონდა ამის შესახებ. რუსეთის ჯარი აქ აღარ გვეყოლება. მაგრამ ვიმეორებ, აქ ამის აღნუსხვა ხელშეკრულებაში ჩვენ ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია.

გრ.ლორთქიფანიძე: ჩვენ გვინდა მეორე სურვილი გამოვთქვათ, გვინდა რომ ქართველმა მოქალაქემ სამხედრო ბეგარა მოიხადოს საქართველოშიე.

თავმჯდომარე: ეს ესეც იქნება, თუ სასურველია შევწყვიტოთ ახლა სხდომა ხვალამდი.

გრ.ლორთქიფანიძე: სასურველია ბათუმს მივცეთ პასუხი სამხედრო სპეციალისტებს მოველაპარაკოთ, როგორც ჩანს, ჩვენ სხვადასხვა კითხვებში უკვე შევთანხმდით. ხვალ ძალიან ადრე დავიწყოთ. წინასწარ მოვილაპარაკოთ, ერთი მეორის აზრი გავიგოთ, გაუკეთოთ რედაქცია იმ განცხადებას, რომელიც ნაწილ- ნაწილ იყო გამომუშავებული. სუყველა საკითხები, თუ ამას ინებებთ, თუ არა და ჩვენ მოვიტანთ ჩვენს რედაქციას და თქვენ მას შეასწორებთ. მაშინ ჩვენ ადრე გავათავებთ საქმეს და შეიძლება დღეს თუ არა, ხვალ მაინც შევატყობინოთ პასუხი ბათუმს.

თავმჯდომარე: მე მგონია საკმარისი იქნება, თუმცა ეს დადგენილება როგორც შედეგი ჩვენი მოლაპარაკებისა, არ მიგვიღია, მე დარწმუნებული ვარ ხვალ ჩვენ ამას ჩამოვაყალიბებთ დადგენილების ფორმით. ამიტომ მე ვამბობ, რაკი ბათუმი გეკითხებათ, საკმარისია აცნობოთ ის, რაშიაც ჩვენ შევთანხმდით. ხვალ დილიდანვე დავიწყოთ მეცადინეობა, თუ ჩვენ დადგენილებას მივიღებთ, საშვალება მოგვეცემა, რომ პასუხი გადასცეთ ბათუმს.

გრ.ლორთქიფანიძე: რადგანაც ნაჩქარევად უნდა წავიდეს ერთი ეშელონი თქვენი ჯარისა, არ არის სასურველი, რომ ეს ჯარი შევიდეს სოფელში, იდგეს იქ, ადგილი ქონდეს იმას რაც ხდება სხვა ადგილებშიაც. ამის გარდა, რომ მოვა ერთი კოლონა, ერთი ეშელონი, нужно договориться, чтобы не было неясностеи, თავის ჭკუაზე

არ უნდა მოიქცეს ერთი ბოლონა. როცა თქვენი ჯარები ამ რამ-
დენიმე დღის განმავლობაში იქ გადავლენ, იქ უნდა გამოიცვა-
ლოს ხელისუფლება, смена власти и другие подобные вопросы,
затрудняюсь сеичас перечислить и разрешить, а между тем это дело
срочное, по столько обязательнос чтобы эта част безостоновочно
поджигалас, нужно заране урегулировать взоимоотнашение между
вашими частями и нашим командованием и нашей администрацией.

თავმჯდომარე: ჩემი სურვილი არ არის ბათუმში გაჩერდნენ.

შ.ელიავა: ჩემის აზრით უფრო ხელსაყრელია, რომ ჩვენი წითე-
ლი არმია დადგეს საზღვარზე. ეს უფრო ხელსაყრელია სწორედ
იმისთვის, რომ ეს ადგილები დარჩეს საქართველოს ხელში. ჩვენი
ჯარი ჯერ არ არის მოსული ხულოდან, ჟლობა მოდის, მე მგონია,
რომ სანამ ეს არმიები შეუერთდებიან ერთმანეთს, ეს ერთი პოლ-
კი უნდა დაემორჩილოს (არ ისმის). ჟლობა თავისი დივიზიით
უნდა შევიდეს ბათუმში და მაშინ იქნება საერთო ოპერატიული
ხელმძღვანელობა. ჩვენ არ გვინდა ომი ვაწარმოოთ, შეიძლება
უომრათ გავათაოთ, თუ ჩვენ შევთანხმდით, საჭიროა ქემალმა
იცოდეს, რომ რუსის წითელი ჯარი სდგას საზღვარზე და ის ამ
გარემოებას ანგარიშს გაუწევს. ახლა ის ასე ლაპარაკობს:
საქართველოს მენშევიკური მთავრობა ჩვენი მტერია, ანტანტის
მეგობარი, ჩვენ უნდა ავყაროთ მას იარაღი და ჩამოვართვათ ძა-
ლაუფლება. ამიტომ საჭირო არის, რომ მათი მოწინააღმდეგე
რუსეთის ჯარი იყოს. სანამ ლიკვიდაცია მოხდება,მანამ საერთო
ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა იყოს. В случае столкнованыя,
каких либо обострениия общее руководство всеми военими силами,
должно принадлежать русским. Сеичась можно так Формулировать:
Установить порядки посилки всего двух полков, затемь с егодня ночью
или завтра мы выясним вопрос оканчательно и тогда будеть ясно.

Г.Лорткипанидзе: Полк из Саджавахо подвигается, он идет прямо не
Батум и через Батум выставляються заслоном но юг, он безусловно не
вмешиваеться ни вкакое дело административного своиства. Этоть полк
ползуется услугами нашей администрацыи, нашей власти, нашимь
снабжениемь, обслуживается нашими апаратами, проходит черезь Батумь
идет на юг. Это безпорно. Этот полкь дружественен по отнашениыя к
грузинского армыи, грузинского власти.

М.Орахелашвили: Вчера было заявлено Жлобе выслать парламента-
риев.

Г.Лорткипанидзе: Этот полк поидет к Жлобе. Между Жлобой и этимь
полком будуть наши власти. Тагда нашим полком нужно уити. Кому по-

дчиняется он, Жлобе или нам?

Ш.Елиава: Они подчиняются непосредственно Жлобе.

Г.Лорткипанидзе: Они не оперативномь отношении не подчиняются грузинскому командованыю?

Ш.Елиава: Нужно войти в соглашеные, грузинское командованые не в состаяныи... тогда можно вопрос поставить об участыи.

Г.Лорткипанидзе: Входит в контакть мы вашим частям дадим эпитеть «дружественний» по отнашеныи грузинской армии. (იცოდეს ჯარმა, რომ მოდის მეგობარი და არა მტერი)

Председатель: Идеть по линыи железной дороги не заходить в окрестные села, идет на Батумь и через Батумь за заслон **на...огь (სრულად არ იკითხება შ.ვ.)**. Это сила дружественная по отношенью к грузинской армыи и власт отнюд не враждебная ей, ана будеть стараеться войти с ней в контакт по сколько местная власт это найдеть целесообразнимь, а вобщемь это командованые подчиняется непосредственно Жлобе, а Жлоба слава непосредственно.

Г.Лорткипанидзе: Ни в коем случае, обсолютно не вмешиваеться ни в какые дело Батума и области, в смысле административном пользуется услугами грузинской армыи и ея органами снабженыя.

გედევანიშვილი: ეს აუცილებლად საჭიროა, ბათუმი ამჟამათ ისეთ მდგომარეობაში არის, რომ იქ გაჩერება წითელი არმიისა ყოვლად შეუძლებელია. მას შეუძლია გამოიწვიოს პირდაპირი პროვოკაცია. იქ არიან ასკერები, არიან აჭარლები, არიან ჩვენი ნაწილები, აშკარაა რაკი იქ არიან, თუ მაგათ ჩამოსვლამდი არ შეიცვალა რა, შეიძლება თავზარდაცემული ქალაქის მცხოვრების შუა რაიმე პროვოკაცია მოხდეს. ვინაიდან რაიმე შესაძლო პროვოკაციას ადგილი რომ არ ჰქონდეს, იმ პოლკმა, რომელიც წავა საჭიროა გაიაროს ბათუმზე და დადგეს იქ, სადაც საჭიროთ აინახავს თქვენი ან ჩვენი სარდლობა. ყოველ შემთხვევაში უსარდლოთ ყოვლად შეუძებელია ამ კითხვის გადაწყვეტა. ჩვენ არ ვიცით რა პირობებია. წარმოიდგინეთ რომ ხვალ ოსმალეთს ჯარი შეტევას დაიწყებს. ჩვენ აქ რომ შევთნხმდეთ და აქ გადავწყვიტოთ ხელმძღვანელობა ვის ჰქონდეს, ამით შეიძლება შეიბოწოს ის სარდლობა, რომელსაც მოუხდება იქ ბრზოლის წარმოება. შეიზლება ისეთ პირობებზე დავთანხმდეთ, რომ ჯარი მიდის ბათუმზე, პირდაპირ გაივლის, ბათუმში არ ჩერდება და ჩერდება იქ, სადაც სარდლობა ეტყვის და დაემორჩილება ამ სარდლობას. ყოველ შემთხვევაში ოპერაციის მხრით ეს მგონი, თვითონ სარდლობამ უნდა გადაწყვიტოს, გამართოს მოლაპარაკება. ჩვენ უკვე გვქონდა ასეთი პრე-

ცენდენტი, თქვენი სარდლობა ელაპარაკებოდა ჩვენ სარდლობას, მე მგონი უკეთესი იქნება რომ ეს მოხდეს.

შ.ელიავა: მაშ შეიძლება ესე გადავწყვიტოთ, გავუშვათ ეს პოლკი და მივაწოდოთ გეკკერს და ზაქარიაძეს ეს მოლაპარაკება თქვენ სარდლობასთან. О разстановке и ползовании этим полком; даваите так решим сейчас же: вы атдайте приказ погружаться в Батум. Захариадзе или Квинитадзе соединиться по прямому проводу с Геккером и установит такие участки в чем подчинении, при каких условях занимают полки тили другие участки и ни в какие политические, административные отнашения не вмешиваться. У нас в обще полки в эти вопросы не вмешиваются.

თავმჯდომარე: ჩვენი მხრით გეკერს ვაცნობოთ.

გრ.ლორთქიფანიძე: ჩვენი და თქვენი ინტერესებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ეს პოლკი არ გაჩერდეს ბათუმში, იმიტომ რომ, რა წამსვე დაინახავენ ოსმალები ამ პოლკს შეიძლება შეჩერდნენ.

შ.ელიავა: მე დარწმუნებული ვარ, რომ ოსმალები ვერ გაბედავენ შეტევის დაწყებას.

Д.Шарашидзе: Они заставлять местное население оказать сопротивление.

გედევანიშვილი: მით უფრო, უკვე ცნობა არის, რომ მათ უკვე ერთი ფორტი დაუკავებიათ, რომ გაჩერდეს ეს პოლკი ბათუმში, შეიძლება ძნელი პირობები შეიქნეს.

თავმჯდომარე: ვწყვეტ დღევანდელ სხდომას. ხვალ შევუდგებით ხელშეკრულების პროექტის განხილვას.

18 მარტის სხდომა. თავმჯდომარეობდა ა.ენუქიძე

ა.ენუქიძე: ნება მიბოძეთ კრება გავხსნა. გუშინ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დღევანდელი სხდომისათვის იქნეს წარმოდგენილი პროექტი ხელშეკრულებისა, გუშინ ჩვენ შევთანხმდით უმთავრეს კითხვებში. რამდენადაც მე ვიცი ამხ. მამიას აქვს უკვე შემუშავებული პროექტი, თქვენც ალბათ შეიმუშავეთ. შევადაროთ ერთი მეორეს და ან ერთი მივიღოთ საფუძვლად ან მეორე.

ლორთქიფანიძე: ჩვენ გვაქვს შემუშავებული პროექტი. თუ ნებას მომცემთ წაგიკითხავთ.

თავმჯდომარე: გთხოვთ წაიკითხოთ.

გრ.ლორთქიფანიძე: კითხულობს პროექტს ხელშეკრულებისას.

თავმჯდომარე: რამდენადაც მე ვიცი, მეორე პროექტი არსებითად სრულიად ეთანხმება თქვენ პროექტს.

ორახელაშვილი: მე მაქვს რამდენიმე შენიშვნა. ლეგალიზაცია არ ყოფილა შეტანილი დღევანდელ ჩვენს დღის წესრიგში. მე მგონი ხასიათი იმ მოლაპარაკებისა, რომელიც ჩვენ გვქონდა გუშინ არ გულისხმობს ამნისტიის დავიწყებას. ეს ახალი მომენტია პროფესიონალური კავშირები, პარტიული ორგანოები. გუშინდელ ჩვენ სხდომაზე საუბარში ვგულისხმობდით, ხაზს ვუსვამდით მთავრობის წარმომადგენლებზე. თუმცა მე ვფიქრობ ამაზე შეგვიძლია კერძო თათბირზე აზრთა გაცვლა- გამოცვლა ვიქონიოთ. მაგრამ მე მგონი ამ მუხლის შეტანა ჩვენ ხელშეკრულებაში უხერხული იქნება.

თავმჯდომარე: მეც ასე მიმაჩნია პარტიულ ორგანოებზე ლაპარაკს, პარტიულ მომენტს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ამ სხდომაზე, რადგანაც აქ ორი მთავრობის წარმომადგენლები არიან და უნდა შეეხონ სახელმწიფოს ქონებას, სახელმწიფო დაწესებულებებს და სახელმწიფო მოხელეების ხელშეუხებლობას. რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს მე მგონი შემდეგ ექნება ადგილი მათზე ლაპარაკს. რასაკვირველია, ამ შეთანხმებას მოჰყვება უფრო ვრცელი კონკრეტული შეთანხმება და აი იმ მოლაპარაკებაზე პარტიების შესახებ იქნება ლაპარაკი და მე მგონი ეს პუნქტი აქედან გამორიცხული უნდა იყოს.

ორახელაშვილი: მე განმარტებას მოვითხოვ, რას ნიშნავს 'მათი ქონება" დაუბრუნდეს პროფესიონალურ კავშირებს. მათ ქონებაში რა ქონებას გულისხმობთ, რომელიც უნდა ჩაებაროს პროფესიონალურ კავშირებს?

თავმჯდომარე: რა ქონებაზე არის ლაპარაკი?

ორახელაშვილი: მუშათა სასახლეზე რომ იყოს ლაპარაკი მე მესმის, მაგრამ თქვენ არაფერი დაგიტოვებიათ, ჩვენ არაფერი ჩამოგვირთმევია და რის დაბრუნებას გვავალებთ.

ლორთქიფანიძე: კავშირთა მიმართ არა გვაქვს ფაქტები.

ორახელაშვილი: ეს არ შეიძლება, არაფერი ფაქტები არ იცით და ასე ძნელია მსჯელობა. ზოგიერთი კავშირები მაგალითად სრულიად დაშლილია. გამგეობები წავიდნენ და ყველაფერი წაიღეს თან. არც ერთი კასა, ერთი კაპეიკი არ აღმოჩნდა არავითარი თა-

ნხა არცკი გვინახავს, რომ ჩამოგვერთვა. მიცემით კი რამდენიმე მილიონი მივეცით პროფესიონალურ გამგეობას. არავისათვის არაფერი ქონებისთვის მუშათა სასახლის გარდა ჩვენ ხელი არ გვიხლია. ასე, რომ ეს პუნქტი ზედმეტათ მიმაჩნია.

ლორთქიფანიძე: მაინც აქვს საფუძველი ასეთი მუხლის შეტანას, მაგალითად თქვენ ჩამოართვით და დაეპატრონეთ პოლიტიკური პარტიების ორგანოებსა და მთელ ქონებას.

ორახელაშვილი: ესე იგი, ჩვენ დავიკავეთ სოციალ- დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის შენობა მათი რედაქცია, ეს ბუნებრივი იყო.

ლორთქიფანიძე: ჩვენ გვგონია, რომ მთელი ტონი და საფუძველი ამ შეთანხმებისა, მოითხოვს რომ ეს დებულება იყოს მიღებული.

ორახელაშვილი: ცენტრალური კომიტეტის შენობა დავიკავეთ და მე მგონი ამ შენობის დაკავება მოხდა იმ ნორმით, რომ ეს ითვლება უძრავ ქონებათ. ყველა დიდი სახლი და კერძო მესაკუთრეების მიერ დატოვებული სახლები იქნებიან სახელმწიფოს ორგანოების განკარგულებაში. ისინი აძლევენ და ასახლებენ ამ ბინებში ამა თუ იმ ორგანოებს. თუ მაგალითად თქვენ მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის შენობა გაქვთ მხედველობაში, თუ არის საკითხი ამ შენობის შესახებ, შეიძლება ამაზე მოლაპარაკება ვიქონიოთ შემდეგში. ეხლა ამისთანა პუნქტის შეტანა ხელშეკრულებაში უხერხულად მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ გუშინ არ გვქონია ამის შესახებ მსჯელობა. მე მგონი, საკმარისი იქნება იმის განცხადება, რომ დევნას არ დავუწყებთ პარტიულ ორგანიზაციებს. ჩვენ ეს დევნა არც დაგვიწყია. მაგალითად, კერძოთ თქვენი პარტიის ჯგუფს ორჯერ ჰქონდა კრება, მომავალშიაც ლოგიკურად წარმოდგენა შეიძლება, რომ ეს მოხდება ყოველი პარტიისა და ჯგუფის მიმართ, რომელიც აქტიურად არ ეომება დღევანდელ წყობილებას. იდეური ბრძოლა დასაშლელად არ მიგვაჩნია, პირიქით მიგვაჩნია სასურველად. მთელი პროექტი ხელშეკრულებისა საერთოდ სრულიად მისაღებია.

თავმჯდომარე: ეხლა გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე. მხოლოდ მე მინდა ერთი რამ დაუმატო პარტიული ორგანოების ქონების შესახებ უკვე არის მოხსენებული, თუკი კერძო პირებს დაუბრუნდება ქონება, თავის თავად ცხადია პროფესიონალური კავშირების ქონების კონფისკაცია არ მოხდება რევკომის მიერ.

ორახელაშვილი: მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ლტოლვილების შესახებ, რა არის ლტოლვილი?

თავმჯდომარე: გთხოვთ წაიკითხოთ მუხლობრივ.

ლორთქიფანიძე: კითხულობს მუხლობრივ.

თავმჯდომარე: პირველი მუხლის წინააღმდეგ არავინ არის, მიღებულია.

ლორთქიფანიძე: კითხულობს მეორე მუხლს.

ორახელაშვილი: მე წინადადებას ვიძლევი ამოიშალოს ოსმალეთი. 'ოსმალეთის წიააღმდეგ"- ის მაგიერ იყვეს მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდგ, ე.ი. ამოიშალოს „ოსმალეთი."

ლორთქიფანიძე: შეიძლება ასე ითქვას „საერთო მტრისგან დასაცავად."

შ.ელიავა: ჩვენ გვაქვს: „ვინც უნდა იყოს."

ლორთქიფანიძე: წინააღმდეგი არა ვარ. (კითხულობს)

ორახელაშვილი: ჩვენ გვაქვს– ბათუმის სამხრეთი საზღვარი უჭირავს- ამ რედაქციას ეთანხმები თუ არა.

ლორთქიფანიძე: პირველ ყოვლისა в смислые очереди.

ელიავა: ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ „პირველ ყოვლისა" თუ იქნება.

ლორთქიფანიძე: კითხულობს. ეს მინდა დავასაბუთო. ანარქია რომ არ მოხდეს ჩვენ ვიღებთ მაქსიმალურ ვადას ხელისუფლებისას. одим продальжит срок до 25- го.

სვანიძე: Я бы внее добавленые: по сколько его имущество находится в распоряженыи нового груз. провительства... грузинского ревкома.

ლორთქიფანიძე: (კითხულობს). (обеспечит искание частных лиц в законном порядке). მაგალითად გაძარცვეს, წაიღეს, ლტოლვილი მოითხოვს ამის დაბრუნებას.

დგებუაძე: შეიძლება რამდენიმე პირმა რევკომის დაუკითხვად დაიკავა რომელიმე ბინა. თქვენ გაქვთ უფლება გააძევოთ ის და ბინა დაუბრუნოთ კანონიერ პატრონს.

სვანიძე: ამ შემთხვევაში მე მაქვს მხედველობაში ის ხელშეკრულება რომელიც დაიდება ხოლმე ამისთანა შემთხვევაში და ყოველთვის არის ისეთი მუხლი. თავისთავად საგულისხმოა, რომ ამნაირ შემთხვევაში, როდესაც ძარცვა- გლეჯა ხდება ხოლმე, ამას შინაური მეზობლები ადგილობრივი ქურდ- ბაცაცები ახდენენ. მთავრობას შეიძლება დაეკისროს და პასუხისმგებელი იყოს იმ შემთხვევაში, თუ მან მოახდინა რეკვიზიცია, მაგრამ რაც მთავრობის დაუკითხავად მოხდა, არ შეიძლება მას მოეთხოვოს. ამიტომ მე მგონია ასეთი დამატება უნდა იყოს.

ლორთქიფანიძე: ამაში არ არის საქმე. რასაკვირველია,თუ კერძო პირმა გაძარცვა ვინმე, მთავრობა როგორც ასეთი, ამაში არ

არის პასუხისმგებელი. ეს გულისხმობს, რომ მთავრობა კანონიერ დახმარებას უწევს დაზარალებულს, როცა ის სდევნის გამძარცველს. კანონიერათ სცნობს, რომ მან დაიბრუნოს დაკარგული. правительство должно оказывать содействие принуждения, в смисле судебно- административного возстановления его прав. Вот смысль. Если сама формулировка не точно, подразумивает то, что вы думаете, тагда мы можемь расшифровать, но всеткои обязанность должна быть ревкома в том смысле, что он оказываеть содействие.

Сванидзе: Требовать обязательство от Грузинского Ревкома, что он содействуеть и востановливает в своих правах граждан, это немыслимо, п.ч. это само собою разумеется, если какие нибуд права существують у нас, они существують для всех грузинскихь граждан, независимо от таво, где бы они ни были и чем бы они ни были.

ორახელაშვილი: აქ ორი მომენტია. შეიძლება საერთო წესიდან გამონაკლისი იყოს ზოგი კატეგორიებისათვის, შეიძლება ისეთი პირები გაძარცვონ, რომლებსაც თქვენ შეგიძლიათ უარი უთხრათ, მაგრამ იმ პირთა მიმართ, რომელნიც გაწვეულნი იყვნენ ჯარში. Мы их относимь к тои категории, за которой признаем право требовать оть ревкома содействия в искании похищенного и разграбленного, помогании в семи законными способами искать пропавшее. მე მგონია ეს ჩვენთვის მისაღები იქნება.

ლორთქიფანიძე: ხელი შეუწყოს რევკომმა, რომ მათ დაუბრუნდეთ ქონება.

ორახელაშვილი: საქართველოს რევკომი თავის სასამართლოთი და ადმინისტრაციული ორგანოებით დახმარებას უწევს.

სვანიძე: ნება მომეცით მაგ ფორმულის შემდეგ ჩემი ფორმულა მოგახსენოთ. მათ შორის განსხვავება იქნება: უბრუნებს ამა თუ იმ ქონებას, რამდენათ ეს საქართველოს რევკომის განკარგულებით მოხდა მისი ჩამორთმევა.

ლორთქიფანიძე: როგორც ნორმა საერთოდ მისაღებია, მაგრამ საქმე მარტო მაგაში არ არის: Я беженец, я должень быть возстановлень в своих правах, на квартиру и дзижимое имущество. Это мое правопризнаеть ревком. Если это имущество за ревкомом, он возвращает, а если не у моего я абращаюсь к его содеиствыю и домогаюсь возстановленыя своихь прав в судебном и административном порядке.

თავმჯდომარე: იქნება ასეთ შემთხვევაში, როდესაც ეს პიროვნება გავიდა თბილისიდან და კერძო პირმა მითვისა, ეს რევკომის განკარგულებაში არ არის. პირნი რევკომის ორგანოებს მიმართთავენ და დახმარებას მოითხოვენ.

დგებუაძე: მე სწორედ ეს უნდა მეთქვა, თქვენ რომ ამბობთ. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ქონება არის გადაცემული რევკომზე და რევკომის განკარგულებაში იმყოფება, მაგრამ იმ შემთხვევაში რომელზედაც ამხანაგი ამბობს შეიძლება რევკომის განკარგულებაში არ იყოს, კერძო პირს ჰქონდეს მისი ქონება; თქვენ ამ შემთხვევაში არაფერს ლაპარაკობთ. ჩვენ გვინდა რომ ამისთანა შემთხვევაზე იყოს ლაპარაკი, რომ რევკომმა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს, რათა დაუბრუნდეს ეს ქონება პატრონს, ასე რომ თქვენი ფორმულა უფრო ვიწროა.

სვანიძე: მე იმის აღნიშვნა მინდა, რა ქონებაზე არის ლაპარაკი. მთავრობა თუ დაადებს ხელს ამ ქონებას, ან ბინას მაშინ ის არის პასუხისმგებელი და მხოლოდ, როგორც მოქალაქეს უწევს დახმარებას კანონიერი გზით. თქვენი ფორმულით გამოდის დაკარგული არის თუ არა მაშინ რევკომი ზღვავს. მაგალითად თქვენ გიწევთ დახმარებას და ვეძებთ თუ ვერ ვიპოვნეთ, მაშინ თავისუფალია რევკომი. ჩვენ თუ მივიღეთ თქვენი ფორმულა, თუ რევკომმა კანონიერი გზით ვერ იპოვნა მაშინ აანაზღაურებს. მე ვიღებ თქვენ შენიშვნას, რომ ჩემ ფორმულაში არ შედის კანონიერი დახმარება. რა საჭიროა ასეთი ფორმულა? имущественные и правовые отношеныя всех этих беженцев остаются таким же, как всех граждан. никакого различыя неть, не должно подразумеваться, что всякые иски и прощеныя также могуть деиствоват для них возстановлять, как и для всех других граждань. Никакого различия в имущественном и прававом отношениыях между беженцами и прочими гражданими неть.

თავჯდომარე: მე მგონი ამხ. ალიოშა სცდება, ჩვენ აქ იურიდიულ ფორმებზე კი არ ვლაპარაკობთ. ამხ. მამიამ სთქვა, რომ ეს გამონაკლისი არ არის კერძო შემთხვევაზე. აქ არის ლაპარაკი პასუხისმგებლობაზე. არ არის ლაპარაკი რევკომის პასუხისგებაზე. თუ ვინმე იქნება გაძარცვული, რევკომი ვალდებულია დახმარება გაუწიოს იმ პირთ, რომლებიც წასულნი არიან, ან სამსახურის გამო, ან ბრძოლის გამო, ხელი შეუწყოს, რომ დაუბრუნდეს ეს ქონება და ეს როგორც უკვე არის დაწერილი მე მისაღებად მიმაჩნია. თქვენ კი საზოგადო ნორმები გინდათ, ამაზე აქ ლაპარაკი არ არის.

ლორთქიფანიძე: ამ შესწორებით...

თავმჯდომარე: ამ შესწორებით მე ვიღებ. არ ვიცი დანარჩენები როგორ უცქერიან.

ლორთქიფანიძე: კითხულობს მე- 5- ე მუხლს.

შ.ელიავა: მე მგონი ამგვარი დადგენილების ხელშეკრულებაში

შეტანა სრულიად საჭირო არ არის. ეს თავისთავად ცხადია, რომ კულტურული განძები, მატერიალური ნივთები დარჩება საქართველოს ფარგლებში, რომლის ნიადაგზე ჩვენ ვლაპარაკობთ და შეთანხმებას ვიქონიებთ. Здесь нет третей силы, которая могла бы ставить вопросы вывозь. Это имущество не транзитное, оно является достояныем республики Грузии и составляеть ея имущество. По крайне мере считаю, что это совершенно чудовищно, чтобы можно было так ставить вопрос. Мне кажется это должно быть уничтоженно.

ლორთქიფანიძე: საერთოთ მე მგონია ყველა გრძნობს, რომ ეს ხელშეკრულება არაჩვეულებრივია. ყველა ეს მუხლები არაჩვეულებრივია და ეს მუხლიც, როგორც შალვა ელიავამ ბრძანა მართლაც თითქოს უხერხულია. მაგრამ ეს სრულიად ეთანხმება მთელ სტილს ჩვენი შეთანხმებისას. რისთვის არის ეს საჭირო, როდესაც საქართველოს ჯარის ნაწილი იარაღს აიყრის, იმ წამს ჩაბარების დროს, ჩამბარებელი იქნება რუსეთის მხედრობა. ერთგვარი დამაკმაყოფილებელი და დამამშვიდებელი იქნება ჯარისთვის, სარდლობისთვის და ყველა იმ ძალებისთვის, რომელიც მას ყავს, თუ აი ეს იარაღი თუმცა ჩაბარდება ფაქტიურად რუსეთის მხედრობას, მაგრამ აღიარებული იქნება, რჩება აქ. როგორც ეს ერთს თქვენს რადიოში იყო ლაპარაკი, გადაეცემა ადგილობრივ წითელ არმიას. ეს არის შემარბილებელი მომენტი, შემამსუბუქებელი. ახალი აქ არაფერი არის, ეს სავსებით ეთანხმება ჩვენ ხელშეკრულებას.

შ.ელიავა: (ლაპარაკობს რუსულად)

თავმჯდომარე: გთხოვთ ქართულად.

შ.ელიავა: საქმე იმაშია: წითელი არმიის ნაწილები, რომელიც იქნება ბათუმში ან სხვა რაიონებში, ეს ნაწილები თქვენ საწინააღმდეგოთ არ მოქმედებენ. რაც შეეხება სამხედრო ქონების ჩაბარებას, მის ლიკვიდაციას, ეს არ გადაეცემა იმათ, ეს პირდაპირ ჩვენი საქმეა და ჩვენ უნდა მივიღოთ. ჩვენ ასეთ რწმუნებას ადგილობრივ ნაწილებს წითელი არმიისას არ ვაძლევთ. ამიტომ თუ ეს გაქვთ მხედველობაში, რომ წითელი არმია ამ ქონების ჩამბარებელია, ძლიერ შემცდარი ბრძანდებით. ჩვენ შეგვიძლია კონკრეტულად გამოვსთქვათ, თუ ვინ უნდა მიიღოს ეს ქონება. პირადათ მე ვამბობ სამხედრო ქონება, ფორმალურად მე უნდა მივიღო, როგორც სამხედრო ძალების სათავეში მდგომმა. წითელ არმიას ასეთი ჩვენი რწმუნება არ ექნება. ამიტომ ასეთი მოტივის შეტანა არ არის საჭირო. მანდ გარდა სამხედრო ქონებისა არის ლაპარაკი კულტურულ განძებზე და სხვა... წაიკითხეთ...

ლორთქიფანიძე: კითხულობს შემდეგ მუხლს.

შ.ელიავა: კულტურული განძები, მატერიალური ნაშთები- ეს სრულიად არ შეეხება სამხედრო ქონებას. თქვენი შიში რომ ამას მიიღებს წითელი არმიის ნაწილები და ეს იქნება გატანილი, სრულიად უსაფუძვლო არის იმიტომ, რომ ყველა ამ ქონებას ჩვენ მივიღებთ. იმათ არავითერი საქმე, არავითარი რწმუნება არც ერთ სარდალს არ ექნება, ამ განძებს ჩვენ მივიღებთ. ისინი თავის ადგილებზე, თავის საწყობებში იქნება მიღებული. წითელ არმიას აქ უნდა ვიხსენიებდეთ როგორც მოტივს. ჩემის აზრით ეს ადგილი მიუღებელია.

თავმჯდომარე: დაწვრილებით მე არ შევუდგები ამ საკითხის განხილვას. ეს შიში მეც მეტად მიმაჩნია, მაგრამ პოლიტიკურათ მეც მომხრე ვიქნები, რომ ეს მუხლი შეტანილი იქნეს ისე, როგორც აქ არის. ეს შეიტანს ერთგვარ დამშვიდებას იმ სფეროში, სადაც ლაპარაკია, სადაც ალბათ ეშინიათ, რომ ეს ქონება რუსეთში გადავა; რასაც ჩვენი რწმენით ადგილი არ ექნება. ამიტომ უკეთესია, რომ პოლიტიკურად ეს დარჩეს.

ლორთქიფანიძე: მოგახსენებთ, ცნობათ ასე თუ ისე ტრიალებს აზრი მასაში, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ასეთივე წესით დაიკავა რუსეთმა, დაზარალდნენ, იქედან გააქვთ ქონება. თქვენ შეხვდებით სრულიად შეგნებულ მუშებს, რომლებიც გეტყვიან: „მე შემიძლია ავაფეთქო, გავაფუჭო, ვიდრე ეს წაიღონ რუსეთში.“ საქართველოში რომ დარჩეს ეს იარაღი, ეს იქნება საქართველოსი, მაგრამ ვაი თუ მოხდეს ისე, რაც მას გაუგონია, რომ ყველა ამას წაიღებს რუსეთი: მაშინ შეიძლება საბოტაჟი გასწიოს. ამიტომ ამ მუხლის შეტანა არსებითად არაფერს ცვლის, მაგრამ ფსიქოლოგიურად და თვით საქმისთვის მას ექნება დიდი მნიშვნელობა. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ სწორეთ საქმის ინტერესებისათვის იყოს ნათქვამი, რომ ეს საქართველოში დარჩება.

მ.ორახელაშვილი: მე ვფიქრობ, რომ პირველი რედაქცია, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ უკეთესია. რაც შეეხება დანარჩენ ქონებას, იქნება ასე: ეს ქონება რჩება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებათ. რომ ვთქვათ, რომ ტერიტორიაზე რჩება, შეიძლება გაუგებრობა მოხდეს. რკინის გზის მოქმედება ვინც იცის არ შეიძლება, რომ საქართველოდან არ გავიდეს ორთქმავალი მოსკოვამდინ, როსტოვამდინ, საიდანაც მოდის ნავთი და სხვა. თქვენი აზრი ანარეკლია იმ გავრცელებულ შეხედულებისა, რომ რუსეთი თუ შემოვა, ყველაფერს გაზიდავს. დღეს თბილისს თუ აქვს კუჭი გამძღარი, მხოლოდ იმიტომ რომ რუსეთიდან მოდის პური. ერთი

ვაგონი მივიღე, კიდევ სამი უფასოდ მოდის, ეს პური და თუ ერთი ორთქმავალი გავიდა აქედან მაშინვე აყაყანდებიან– გააქვთ, გაზიდეს ყველაფერი, თუმცა არაფერი არ გადის აქედან. ასეთი საქმის მოგვარებისათვის, როგორიც არის სასურსათო კრიზისი, მე მგონი სახიფათო იქნება ამ მუხლის შეტანა, არევ- დარევას შეიტანს მასის ფსიქოლოგიაში. რაც შეეხება კულტურულ განძებს, რომ ეს რჩება საქართველოს კუთვნილებათ, ამის შეტანა დამამცირებელი არის. მაინცა და მაინც ჩვენ მთავრობათ მიგვაჩნია ჩვენი თავი პირობა მივცეთ, რომ ამას არ გავიტანთ, რას ნიშნავს ეს, როგორი თვალით უნდა დავენახოთ ხალხს, რომ ეს ქონება გავიტანოთ რუსეთში. პირიქით, რუსეთში გაგზავნილია მუზეის კომისია, საკოლექციო კომისია, რომელშიაც შედიან ექსპერტები. მათ უნდა ჩამოიტანონ Ивер. Боже Матеры და სხვა განძები და ამის წინააღმდეგ არავინ არის. ჩვენ ვცდილობთ, რომ ის რაც საქართველოს ეკუთვნის დაუბრუნდეს მას და ამიტომ, ჩემის აზრით, ამ მუხლის შეტანას ერთგვარი დამამცირებელი მნიშვნელობა აქვს.

თავჯდომარე: მე შემიძლია დავუმატო: „არ შეიძლება რომ სამუდამოთ იყოს გაზიდული“ შეიძლება მაგალითად, რომ ორთქმავალი წავიდეს ერთი გზით და მეორეთი შემოვიდეს, უამისოდ შეიძლება შეიქმნეს კატასტროფული მდგომარეობა.

გრ.ლორთქიფანიძე: (კითხულობს მუხლს)

თავმჯდომარე: რაც შეეხება განძებს, ჯერ მახარაძესთან უკვე არის ხელშეკრულება- რაც სამკაულები არის დაუბრუნდეს საქართველოს.

მ.ორახელაშვილი: Музеинная коллекционная комисыя არის მოსკოვში. იქედან უნდა მივიღოთ კოლექციები და აქედან რა უნდა გავიტანოთ, რა კოლექციები, რა კულტურული განძები, რა კულტურული ნაშთები.

გრ.ლორთქიფანიძე: ასე რომ დარჩეს ეს რედაქცია (კითხულობს მუხლს).

მ.ორახელაშვილი: მხოლოდ ერთი მომენტი: В развитые и таво декрета который был в баку в потверждение.

თავმჯდომარე: Скорее я бы сказал в дополненые

შ.ელიავა: В допалненые и развитые так как после детализированно.

Орахелашвили: Даже больше так как мы в административном преследовать.

გრ.ლორთქიფანიძე: რუსეთის ტაქტიკა ასეთი იყო, იქ ასე ხდებოდა- ვინც კი გაიქცეოდა, რადგანაც იქ ბრძოლას სამოქალაქო ომ-

ის ხასიათი ჰქონდა, ამიტომ არის ეს შეტანილი.

მ.ორახელაშვილი: ზოგმა ბინები დასტოვეს, ეს ბინები გაძარცვეს. ჩვენ გვაქვს კლასიკური საზომი, ჩვენ განზრახული გვაქვს რამოდენიმე დიდი სახლი ისეთი გაქცეულებისა, როგორიც არიან ბერძნები და მდიდარი სომხები, ჩავასახლოთ მუშები. ხელიც რომ მოვაწეროთ ჩვენ ამას ვერ შევასრულებთ. რაც შეეხება მშრომელ მასებს, ეჭვი ნუ შეგეპარებათ თქვენ, ვიცით რომ ბევრია გაქცეული და გაძარცვული მშრომელ მასათა შორის. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ **ნოე ჟორდანიას** და **ნოე რამიშვილს** ხელს არ ვახლებთ, ნუთუ უბრალო გლეხზე შურს ვიძიებთ, ამიტომ ამ პუნქტს მნიშვნელობა არა აქვს.

გრ.ლორთქიფანიძე: (კითხულობს) პოლიტიკური მოღვაწეები და სხვა.

მ.ორახელაშვილი: თქვენ გჯერათ, რომ ასეთი საზომით მივუდგებით, რომ მშრომელი მასა დავჩაგროთ? трудящихся. ნუთუ დავჩაგრავთ მშრომელ მასას?

შ.ელიავა: ამათ უნდა დავუბრუნდეთ, მაგრამ მესაკუთრეებს რომლებმაც დასტოვეს თავიანთი ბინა.

გრ.ლორთქიფანიძე: კითხულობს

დგებუაძე: საქმე იმაშია, რომ ყველას გაქვთ თქვენ თქვენი საზომი. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, მამია, ამის წინააღმდეგი არ იქნებით, მაგრამ არიან თქვენში წვრილმანი ამხანაგები, რომლებიც სულ სხვანაირი საზომით შეხედავენ. ჩვენ გვყავს ამისთანა ამხანაგები. თქვენც გეყოლებათ, რომლებიც გვეტყვიან- თქვენ გაიქეცით იარაღით ხელში, თქვენ კონტრ- რევოლუციონერები ხართ, როდესაც ეს იქნება მოხსენებული, ეს იქნება სავალდებულო, იმიტომ, რომ გაატარებთ ცხოვრებაში ამ თქვენ აზრს, თუ ამ წინადადებას მიიღებთ და მშრომელ მასაზე ცალკე დასწერთ.

შ.ელიავა: მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ ეს მუხლი შევიტანოთ მშრომელი ხალხის და ინტელიგენციის შესახებ.

თავმჯდომარე: ან და სულ ნუ მოვიხსენიებთ. დაუსვათ წერტილი. (მ.ორახელაშვილი წინააღმდეგია ამ მუხლის შეტანისა).

გრ.ლორთქიფანიძე: კითხულობს.

თავმჯდომარე: მე ასე მგონია, რომ მაგ კითხვის შესახებ შემდეგი იქნებოდა, რომ ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გასატარებლად ჩვენ უნდა შეგვეტანა ამისთანა მუხლი, რომ არჩეული ყოფილიყო ცალკე კომისია, რომელიც მოილაპარაკებდა სხვადასხვა საკითხების შესახებ. მაგალითად- თუ რანაირათ მოვაწყოთ მთავრობა, რანაირი შემადგენლობა იქნება მთავრობისა. როდესაც

იქვე იქნებოდა ლაპარაკი, მაში თავის- თავად დაისმება კითხვა სხვადასხვა პარტიების ორგანოების შესახებ. სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების შესახებ და ექნებოდა ადგილი მაგას. აქ კი მე არ მგონია, რომ აუცილებლად საჭირო იყოს მაგის შეტანა. აქ არის ორივე მთავრობის წარმომადგენელი და იქ შემდეგ როდესაც იმ კომისიაში რომელიც მე მოვიხსენიე, რასაკვირველია, ის იქნებოდა შემდგარი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებისგან, ამაზე მოილაპარაკებდნენ. ეს სულ სხვა იქნება.

გრ.ლორთქიფანიძე: მე არ გავიმეორებ, რომ აქაც შეიძლებოდა ამ მუხლის შეტანა, რადგანაც ის არ ეწინააღმდეგება მთელ წყობილებას ამ ხელშეკრულებისა. მაგრამ, რადგანაც თქვენ შაუძლებლად მიგაჩნიათ ამ მუხლის შეტანა, მაშინ ასე დარჩეს. ყოველ შემთხვევაში ეს არ უნდა იყოს საბუთი იმისთვის, რომ ჩაიშალოს ეს ხელშეკრულება.

ორახელაშვილი: მაშინ ვფიქრობ რომ ეს საკითხი იყოს предметомделовыъх переговоров между нами о конструкцыи. ამ საკითხს შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ქონდეს, შეიძლება არ გაინტერესებდეთ, შეიძლება თქვენ არ დაგვეთანხმოთ მაშინ ჩვენ სხვა პარტიას მივმართავდით о конструкцыи власти. თქვენ დააყენეთ საშური საკითხი. დღევანდელი მომენტი მოითხოვს ამ საკითხის გაშუქებას და ერთგვარ შეთანხმებას და ამიტომ ჯერ ჩვენ არ დაგვისვამს ეს საკითხი о конструкцыи власти, თუკი დაუშვებთ ამ საკითხს о конструкцыи власти, მაშინ დიდი სიამოვნებით დავსვამთ ამ საკითხსაც. შეიძლება ცალკე ხელშეკრულებით, შეიძლება ცალკე პუნქტად დავსვათ პარტიულ მუშაობაზე. ჩვენ ყველა პარტიას ვერ მივცემთ გარანტიას, რომ მისი წევრები ხელშეუხებელი იქნებიან. ამიტომ, თუ შესაძლებლად მიგაჩნიათ მოვხსნათ ეს მუხლი.

გრ.ლორთქიფანიძე: კითხულობს (არ ისმის).

თავმჯდომარე: აქ ეს ბეგარა, სახელმწიფო ბეგარაა. რაც შეეხება პარტიულ ბეგარას, თქვენც გაგზავნიან და სხვასაც. თუ თქვენ ძალიან საძნელოთ მიგაჩნიათ ამ მუხლის გამოტოვება, შეიძლება დაუმატოთ, რომ ეს კრება სასურველად სცნობს შედგეს ის კომისია, რომელიც მოილაპარაკებს ასეთ კითხვებზე. ამ კომისიას ექნება მსჯელობა მთავრობის კონსტრუქციაზე, პარტიებზე. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს და საბუთს, რომ ამაზე მოლაპარაკება ვიქონიოთ.

გრ.ლორთქიფანიძე: მაშინ ოქმში შევიტანოთ.

თავმჯდომარე: ოქმში შევიტანოთ, რომ პარტიული ორგანოების

მდგომარეობის შესახებ, საქართველოს მთავრობის შემადგენლობის შესახებ სურვილი არის გამოთქმული, რომ შესდგეს ცალკე კომისია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობასთან ერთად, სადაც გარჩეული და დასმული იქნება ეს საკითხები.

დ.შარაშიძე: მე უფრო ზოგად ფორმულას ვირჩევ. (პოლიტიკური კითხვები).

მ.ორახელაშვილი: Организацыя конструкцыи власты.

თავმჯდომარე: პოლიტიკური კითხვა, ძალიან კარგი. მე წინააღმდეგი არა ვარ.

მ.ორახელაშვილი: Тогда я свой претензии имею.

თავმჯდომარე: Это совподает. სწყვეტს სხდომას. სხდომა იხურება ორ საათზე.

დოკუმენტი № 3

ქუთაისში 1921 წლის 18 მარტის შეთანხმება შესახებ სამხედრო მოქმედების ლიკვიდაციისა დემოკრატიულ მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რწმუნებული გრიგოლ ლორთქიფანიძე და საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის რწმუნებული მამია ორახელაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს 1921 წლის 17 და 18 მარტს ქ.ქუთაისში და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით და იმავე რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელის ალექსანდრე სვანიძის მონაწილეობით შეთანხმდნენ შემდეგში:

1.მოხდეს დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა;

2.დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციონური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს მივიდეს ბათუმის დასაცავად და დასაკავებლად გარეშე მტრებისგან შემოსევისაგან;

3.რევოლუციონური კომიტეტის განკარგულებაში მყოფი საბჭოთა არმიების ნაწილები პირველ ყოვლისა ბათუმზე გავლით იჭერენ ამ ოლქის სამხრეთ ნაწილებს;

4.არა უგვიანეს ვიდრე 25 მარტისა თანხმობით ქ.ბათუმსა, მის რაიონსა და რკინიგზის ლიანდაგზე საჯავახოდან ვიდრე ბათუმამდე და საერთო იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელთ ადმინისტრაცია და ხელისუფლება;

5.რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათუმის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული მთავრობისა და მისი მხედრობისადმი;

6.საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად საჭირო და მიზანშეწონილი იქნება დემოკრატიული მთავრობისა და რევკომის ჯარების გაერთიანებული მოქმედება ბათუმის ოლქის გარეშე მტრისაგან დასაცავად, გამორკვეული იქნება ორთავე სარდლობის თანხმობით;

7.საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და გვარდიის დათხოვნა ხდება ამ არმიისა და გვარდიის სარდლობის განკარგულებით;

8.იმავე სარდლობის განკარგულებით ჩამორთმეული იარაღი და სამხედრო სამკაული რჩება საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტს;

9.ტანსაცმელი რომელიც არის კაცების, გვარდიელებსა და ოფიცრებს მიღებული აქვთ სათანადო განკარგულების ძალით, დარჩებათ მათ.

10.აგრეთვე ეძლევა ყველა სამხედრო პირთ კუთვნილი ჯამაგირი ჯარისა და გვარდიის დაშლის უკანასკნელ დღემდე;

11.ჯარისა და გვარდიის სარდლობას ეძლევა საკმაო რიცხვი ვაგონებისა და ორთქმავლებისა ჯარისკაცების, გვარდიელების და ოფიცრების და მათი ოჯახების სახლში დასაბრუნებლად;

12.საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ ყველა სახლში დაბრუნებულ სამხედრო პირთ, რომლებმაც თავისი ბინა დატოვეს სამსახურის მოვალეობის აღსრულების გამო, დაუბრუნდება როგორც ბინა, აგრეთვე დატოვებული პირადი ქონება, რომელშიაც საქართველოს რევკომი თავის სასამართლოთი თუ თავისი ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით გაუწევს სათანადო დახმარებას;

13.ის სახელმწიფო ქონება, იარაღი, მატარებლები, ისტორიული და კულტურული განძები და სხვა, რომელიც აწ გადაეცემა რევკომს, რჩება საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებათ;

14.საქართველოს რევკომი თავის 25 თებერვლის ამნისტიის დეკრეტის დამატებათ აცხადებს, რომ არ აგებინებს პასუხს და არ დასჯის არც სასამართლოთი და არც ადმინისტრაციული წესით რესპუბლიკის არცერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, სამხედრო პირებს, ჯარისკაციდან დაწყებული, ვიდრე მთავარ სარდლამდე. გვარდიელებს, გვარდიის ოფიცრებს, შტაბის წევრებს, ადმინისტრაციის ყველა მოხელეთ და საზოგადოთ ყოველ იმ პირთ, რომელთა მოქმედება მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახური, მოღვაწეობიდან გამომდინარეობდა. ეს მუხლი ეხება იმ პირთა მოქმედებას, რომელთაც ადგილი ქონდა ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე;

15.რევკომი ხელს უწყობს ყველა ლტოლვილების თავისუფლად და სასწრაფოდ დაბრუნებას თავიანთ ადგილას;

16.საქართველოს მოქალაქე სამხედრო პირნი რომლებიც არის ჯარისკაცები, მოხელენი და ოფიცრები, თავის ბეგარას ასრულე-

ბენ საქართველოს ტერიტორიაზე;
17.ეს ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან მისი ხელმოწერ-
ისა 1918 წლის 18 მარტი.

საქართველოს რევკომის რწმუნებული მამია ორახელაშვილი
საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რწმუნებული გრიგოლ
ლორთქიფანიძე
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის რწმუნებული
აბელ ენუქიძე

1921 წლის 18 მრტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტი № 4

დ.შარაშიძე
რამდენიმე შენიშვნა ქუთაისის მოლაპარეკების გამო
(მხოლოდ ს.დ. პარტიის წევრებისათვის)

როგორც იქნა მოაღწია სტამბოლში ქუთაისის მოლაპარაკების სტენოგრაფიულმა ანგარიშებმა.

ქუთაისის მოლაპარაკების გარშემო ბოლშევიკებმა დიდი განგაში ასტეხეს რუსეთში და ალბათ ევროპაშიაც. საუბედუროთ არ მქონია შემთხვევა გავცნობოდი იმას, რაც მოლაპარაკების შესახებ ევროპაში გამოქვეყნდა. საქართველოში მხოლოდ ამის გამოხმაურებამ მოაღწია. ერთ მშვენიერ დღეს (აპრილში თუ მაისში) „კომუნისტმა“ გვამცნო თბილისში თითქოს ნოე ჟორდანიას უარი ეთქვას ქუთაისში გაგზავნილ დელეგაციაზე, განეცხადებინოს რომ მთავრობას არ დაუკისრებია გრ.ლორთქიფანიძისათვის ბოლშევიკებთან შეთანხმება. ჩვენ ვიფიქრეთ მაშინ, რომ ეს ჭორი იქნებოდა, მაგრამ ისიც გავითვალისწინეთ, რომ შესაძლებელი იყო ჩვენ მთავრობას დასჭირებოდა ამა თუ იმ პოლიტიკური მოსაზრებით ხელშეკრულების ამა თუ იმ ნაწილის ან მუხლის დეზავუაცია. იმას კი ვერ გავიფიქრებდით, რომ ზოგიერთ საზღვარგარეთ წასულ ამხანაგებში ქუთაისის ხელშეკრულების შინაარსი უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ის წერილი რომელიც ამხანაგმა ნოე ჟორდანიამ გაგზავნა საქართველოში ცეკას სახელზე, მოწმობს რომ ასეთ უკმაყოფილებას ქონია ადგილი. ამიტომ მე მოვალეობათ მიმაჩნია ქუთაისის დელეგაციის საქართველოში დარჩენილი ნაწილების წინაშე ამ სტენოგრაფიულ ანგარიშს რამოდენიმე შენიშვნა დავურთო.

ქუთაისის მოლაპარაკებას წინ უძღოდა რადიოტელეგრაფით ლაპარაკი ბათუმსა და თბილისს შორის და პირდაპირი მავთულით ლაპარაკი გრიშა ლორთქიფანიძესა და მამია ორახელაშვილს შორის ღამით 15- 16 მარტს. ლორთქიფანიძე ამ ლაპარაკს აწარმოებდა სადგურ საჯავახოდან. 16 ნაშუადღებს დავბრუნდით საჯავახოდან ბათუმში გრ.ლორთქიფანიძე, ალ.დგებუაძე და მე. მთავრობის თავმჯდომარის ვაგონში მოხდა მთავრობის წევრების და ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეების კრება, რომელზედაც ჩვენ

წავიკითხეთ საჯავახო- თბილისის, ე.ი. ლორთქიფანიძე- ორახელაშვილის მოლაპარაკების ტექსტი. ამ მოლაპარაკების მთავარი აზრი იყო ლორთქიფანიძის მხრით შემდეგი: - არმისტისი (რომელსაც 16- ს დილით გაუდიოდა ვადა) უნდა გაგრძელდეს, რადგან ჩვენ ორი მხრით ბრძოლას ველარ ვაწარმოებთ; თანახმა ვართ შევწყვიტოთ ომი და გვინდა თქვენთან ერთად ვიზრუნოთ უპირველესად ბათუმის გადარჩენაზე ოსმალებისგან. ჩვენ არ გვაქვს შეძლება ეხლავ გავუშვათ თქვენი (ე.ი. რუსის) ჯარები ბათუმისაკენ. ფიზიკურად შეუძლებელია შეგატყობიოთ დილამდე. (ლაპარაკი 15- ს ღამე სწარმოებდა) ყველა ჩვენ ნაწილებს, რომ რუსის ჯარს წინააღმდეგობა არ გაუწიონ. ამიტომ გავაგრძელოთ არმისტისი, ავიცდინოთ სრულიად უაზრო სისხლის ღვრა, რადგან შეიძლება ხვალ- ზეგ ჩვენსა და თქვენს ჯარებს ერთად მოუხდეს ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ ბათუმის დასაცავად. ამას ეუბნებოდა ლორთქიფანიძე ორახელაშვილს. ამ ნიადაგზე მოხდა შეთანხმება მათ შორის ქუთაისში შეხვედრის და მოლაპარაკების შესახებ. საჯავახო- თბილისის პირდაპირი მავთულით ლაპარაკის ტექსტს, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის ვაგონში იქნა წაკითხული, არავითარი შენიშვნა არ გამოუწვევია. გადაწყდა იმავე დღეს წასულიყო დელეგაცია ქუთაისში.

ამნაირად, მთავრობის მიერ დადასტურებული 16 მარტის მოლაპარაკება გულისხმობდა ბრძოლის შეწყვეტას წითელ არმიასა და ჩვენს ჯარს შორის და მომავალ შეთანხმებას მთავრობასა და რევკომს შორის, არამცთუ ბათუმისკენ წითელი არმიის თავისუფლად გაშვების, არამედ ჩვენი დახმარებით [შეუფერხებელ შ.ვ] სვლას და ბათუმის დასაცავად საერთო შეთანხმებული ზომების მიღებას. ეს მთავარი აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა 16 საღამოს და ღამე, როცა გამოირკვა, რომ ანგორის წარმომადგენელს გადაწყვეტილი ჰქონდა ბათუმის დაკავება და ჩვენი მთავრობისა და ჯარისადმი აგრესიული მოქმედება. ამან გამოიწვია იმავე ღამეს ციხიდან ქავთარაძის და ტოროშელიძის დაბარება და მათთან მთავრობის თავმჯდომარის მოლაპარაკება. გადაწყდა, რომ ჩვენ გაგვეადვილებია ბოლშევიკებისათვის მთავრობის წასვლისთანავე ბათუმში რევკომის გამოცხადება და ხელი შეგვეწყო მათთვის ბათუმის დაცვის საქმეში, თუ საჭირო იქნებოდა ჩვენი ჯარის დახმარებით.

იმ მომენტში, როცა ქუთაისის დელეგაცია გაემგზავრა ბათუმიდან (16- ს ღამის 12 საათზე), მდგომარეობა შემდეგი იყო: ჩვენი ფრონტი ყოველი მხრით სრულიად მოშლილი იყო. საკმარისი

იყო ბოლშევიკების ძალები საჯავახოს მხრით დაძრულიყვნენ, მათ არავითარი წინააღმდეგობა აღარ დახვდებოდათ და მოკლე ხანში ბათუმში შევიდოდნენ. ასევე თავისუფლად შემოვიდოდა ბათუმში ხულოს მხრით ჟლობას კავალერია. თვით ბათუმში სრული დემორალიზაცია იყო. მთავრობის ხელშეუხებლობა არ იყო უზრუნველყოფილი ჩვენი მოხულიგნო ოფიცრების მხრით და რომ რუსეთის ჯარი სამხედრო მოქმედებით რომ შემოსულიყო ბათუმში, უთუოდ კატასტროფა მოხდებოდა. საეჭვო იყო, რომ ამ შემთხვევაში მთავრობას შესძლებოდა ბათუმიდან გამოსვლა. ამავე დროს მთავრობას, ჩვენ მოღვაწეებს და ბათუმში მყოფ გვარდიაჯარს ემუქრებოდა ქიაზიმ- ბეი. დავუმატოთ ამას ჩვენი პარტიული ამხანაგების თავის მოყრა ბათუმში სხვადასხვა კუთხეებიდან, მათ შორის გამეფებული შიში, დემორალიზაცია, გემებისკენ მისწრაფება.

ასეთ პირობებში დატოვა ბათუმი ქუთაისის დელეგაციამ. მისი საერთო ამოცანა იყო: ერთი მხრით დროს მოგება, რათა მთავრობას ბათუმიდან თავისუფლად გასვლა შეძლებოდა, პოლიტიკურ მოღვაწეებს და პარტიულ ამხანაგებს კი თავიანთ ადგილებზე დაბრუნება. მეორე მხრით ბოლშევიკებთან შეთანხმება, ოსმალების მხრიდან ბათუმისადმი [მოსალოდნელი საფრთხის განეიტრალების მიზნით შ.ვ.] უზრუნველსაყოფად. ეს მეორე ნაწილი ბოლშევიკებთან წინასწარი მოლაპარაკებიდან სავსებით გამომდინარეობდა. იმ მოლაპარაკებიდან, რომელიც მთავრობამ მოიწონა და დაამტკიცა. ამავე დროს ამოცანის ეს ნაწილი, სრულიად ეთანხმებოდა იმ ზომებს, რომლებსაც თვით მთავრობა და მისი თავმჯდომარე ანხორციელებდნენ ბათუმში: ქავთარაძე- ტოროშელიძესთან მოლაპარაკება და სხვა.

17- ს ნაშვადღევს ჩავიდა დელეგაცია ქუთაიში. იმავე დღეს, საღამოს გაიხსნა მოლაპარაკება. ერთი საათიც არ იყო გასული მისი დაწყებიდან,რომ ბოლშევიკებმა შეატყობინეს ლორთქიფანიძეს- პირდაპირ მავთულზე გეძახიან ბათუმიდანო. დაელაპარაკა მას გ.ცინცაძე მთავრობის თავმჯდომარის დავალებით. ამ ლაპარაკიდან გავიგეთ, რომ ჩვენი წასვლის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულიყო და ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო კატასტროფა. ცინცაძე გვაჩქარებდა, მალე შეთანხმდით, რათა შესაძლებელი გახდეს რუსის ჯარების გამოშვება ბათუმისკენო. თან შევიტყვეთ, რომ ცარიელი ვაგონები წამოსული იყვნენ ბათუმიდან საჯავახოსკენ, რომ შეთანხმებისთანავე რუსებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ბათუმისკენ დაძრულიყვნენ. ამის შემდეგ დელე-

გაციას შეძლება არა ჰქონია დალაპარაკებოდა ბათუმს. 18- ს დილით ბათუმს რომ შევეკითხეთ, ტელეგრაფის კანტორიდან ჩვენი მოხელის მაგივრად გვიპასუხა რუსის ჯარიკაცმა- ქალაქში ბრძოლაა, ტელეგრაფი ოსმალებს უკავიათ, რუსებს არ გვებრძვიან, ტელეგრაფზე კი დამიშვესო. 18- ს საღამოს გავათავეთ მოლაპარაკება და წამსვე ბათუმისკენ გამოვეშურეთ. საუბედუროთ მგზავრობის პირობები ისეთი იყო, რომ მხოლოდ მეორე დღეს, 19- ს ნაშუადღევს ჩავედით ბათუმში. ჩასვლამდე ბათუმის ბედი არ ვიცოდით. მავთულები დაწყვეტილი იყო. ჩაქვსა და ბათუმს შუა კინაღამ დაგვიჭირეს ჩასაფრებულმა ოსმალებმა. გადაგვარჩინა იმ გარემოებამ, რომ ჩვენს ვაგონში მოდიოდა წითელი არმიის სარდლობა. ბათუმში შევიტყვეთ, რომ მთავრობა წასული იყო.

დაარღვია თუ არა ქუთაისის დელეგაციამ დაკისრების ფარგალი, გადააცილა თუ არა მან დავალებას?

როგორც ზევით ითქვა, ამ დავალების მთავარი საგანი იყო ბათუმის დასაცავად შეთანხმება. ამ მიზნისთვის მთავრობა და ჩვენი საზოგადო მოღვაწეებიც მზად იყვნენ უბრძოლველად დაეთმოთ ბოლშევიკებისათვის ბოლო დროს ჩვენს ხელში დარჩენილი ტერიტორია. მზად იყვნენ აგრეთვე წითელი არმიის და ჩვენი ჯარის მოქმედება გაეერთიანებინათ ოსმალების წინააღმდეგ ჩვენი ან რუსების სარდლობის ქვეშ. ეს მკაფიოდ იყო ნათქვამი გრ.ლორთქიფანიძის მიერ საჯავახოს მოლაპარაკებაში, რომელიც მთავრობამ, ვიმეორებ წაიკითხა და მოიწონა. ამნაირათ, მთავრობა მზათ იყო ბოლშევიკების განკარგულებაში გადაეცა ბათუმის დასაცავთ ჯარი, როგორც ასეთი. მე მგონი ეს გაცილებით მეტია ვინემ ჯარის დაშლის დროს იარაღის გადაცემა მოწინაარმდეგისათვის. იქ სადაც სამხედრო მოქმედების ლიკვიდაციაზეა ლაპარაკი და შეთანხმებეაა, შეუძლებელია არ დაისვას კითხვა ჯარის დაშლის შესახებ, ჩვენთვის, რა თქმა უნდა უმჯობესი იყო ჯარი და გვარდია ჩვენვე დაგვეშალა, ჩვენვე დაგვეკმაყოფილებია რამდენადაც ეს მაშინდელ პირობებში იყო შესაძლებელი. რახან ჯარის დაშლაზე იყო ლაპარაკი, შეუძლებელი იყო გვერდი აგვევლო იარაღის საკითხისათვის და რომ იარაღით ხელში ხალხს არ გაგვაშვებინებდნენ სახლში, ან ყოველ შემთხვევაში, ამას არ დასწერდნენ დოკუმენტში (ფაქტიურად მრავალი გვარდიელი და ჯარისკაცი იარაღიანათ წავიდოდა სახლში), აშკარა უნდა იყოს.

ამნაირად, ჯარის იარაღის და სამხედრო მასალის გადაცემა რევკომისათვის არამც თუ არ ეწინააღმდეგებოდა დელეგაციისთვის დაკისრებულ ამოცანას, არამედ თავისთავად იგულისხმებოდა ამ

ამოცანაში.

მოლაპარაკების სიძნელე მდგომარეობდა შემდეგში: მოგვეხდინა ფაქტიური შეთანხმება ისე, რომ მოწინააღმდეგის ძალაუფლების ცნობის საკითხისათვის აგვეხვია გვერდი. რევკომის ცნობის საკითხი წამოყენებული იყო წინასწარ დეპეშაში და მოლაპარაკებაში ბოლშევიკების მიერ. ეს კითხვა, როგორც სტენოგრაფიიდან სჩანს, პირდაპირ დააყენეს ბოლშევიკებმა მოლაპარაკების დაწყებისას და ამ მთავარ კითხვაში მათ სავსებით დაიხიეს უკან. ეს იყო გრ.ლორთქიფანიძის გამარჯვება. კიდევ მეტი, ჩვენთვის მრავალი მხრით მეტათ ხელსაყრელი შეთანხმების ტექსტი მიიღეს და ამასთანავე იძულებული გახდნენ დაეშვათ გრ.ლორთქიფანიძის კატეგორიული განცხადება, რომ დემოკრატიული მთავრობა მხოლოდ თავის თავს სცნობს კანონიერ მთავრობათ.

რა თქმაუნდა, თვით დელეგაციის გაგზავნის და მოლაპარაკების ფაქტი არანორმალობა იყო, მაგრამ ეს არანორმალობა გამომდინარეობდა საერთო მდგომარეობიდან. ეს ყველასთვის აშკარა იყო მაშინ. ამ არანორმალურ მდგომარეობაში ის, რასაც დელეგაციამ მიაღწია ქუთაისში, მაქსიმუმი იყო. ეს არის ჩვენი ამხანაგების საერთო აზრი. მათ სავსებით მოიწონეს ქუთაისის მოლაპარაკების შედეგები, როცა მოისმინეს მოხსენება ბათუმში და თბილისში.

საქართველოში შეთანხმებამ ჩვენებზე და სხვებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. როცა ხალხმა შეიტყო, რომ ბოლშევიკებმა ჩვენს წინაშე მთელი რიგი გამარჯვებულისათვის (და ისიც გამარჯვებული ბოლშევიკებისათვის) სრულიად უჩვეულო ვალდებულება იკისრეს, ის დარწმუნდა, რომ ჩვენი დამარცხება მხოლოდ ფიზიკური იყო, რომ მორალურად ჩვენ ვიყავით გამარჯვებულნი. შეთანხმებამ გაამაგრა და დაამშვიდა ჩვენი ამხანაგები, გაჰფანტა პანიკა, გაადვილა მათი თავიანთ ადგილებზე დაბრუნება და ხალხში გამოჩენა. ამან უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს პარტიას და ერს. შეთანხმებამ შეძლება მოგვცა ჩვენ რამოდენიმე კვირა ნახევრათ ლეგალურათ გვემუშავნა, რასაც აგრეთვე უდიდესი ნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის წელში გამართვის და ფეხზე დადგომისათვის. ჯარისა და გვარდიის ჩვენ მიერ დაშლასაც (რაიცა შეგვაძლებია ქუთაისის შეთანხმებამ) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯარისკაცებსა და გვარდიელებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ისინი ღვთის და ბოლშევიკების ანაბარათ არ დავტოვეთ, გაჭირვების დროს ჩვენვე ვუპატრონეთ.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი პარტიული ისტორია ქუთაისის შეთანხმებას ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იცნობს

პარტიის პრესტიჟის გადარჩენაში, მის მოსულიერებაში და ბრძოლის უნარის დაბრუნებაში.

ქუთაისის მოლაპარაკება გაუქმებულად გამოაცხადეს ბოლშევიკებმა, როგორც კი გაიგეს, რომ მთავრობა საზღვარგარეთ გავიდა და თან წაიღო ქონების ნაწილი. სტენოგრამის ტექსტი არამც თუ არ გამოაქვეყნეს, შეძლებაც არ მოგვცეს მასთან ერთად შეგვესწორებია ძლიერ ცუდათ წარმოებული ანგარიშები. მე მოვახერხე ლორთქიფანიძის სიტყვების რამოდენიმედ შესწორება,სანამ სტენოგრამა ბოლშევიკებს ხელში ჩაუვარდებოდათ. ბოლშევიკების სიტყვები კი გაუსწორებელია და რა თქმაუნდა, მეც ხელი არ მიხლია მისთვის.

ბოლშევიკები ძლიერ გაწყრნენ, როცა შეიტყვეს, რომ სტენოგრამა ჩვენც მოგვხვდა ხელში. სტენოგრაფისტებს დაჭერით ემუქრებოდნენ.

აპრილში თუ მაისში თბილისის რევკომმა მიიღო დეპეშა ჩიჩერინიდან- საჩქაროთ გამოგზავნეთ ქუთაისის მოლაპარაკების ტექსტიო. როგორც გავიგე, უნდოდათ ამ ტექსტით ესარგებლათ ჩვენს წინააღმდეგ ევროპაში. ეს არ მოხდა, რადგან მათთვის ხელსაყრელი ლორთქიფანიძის სიტყვებში და განცხადებაში არაფერია. საერთო შთაბეჭდილება იყო თვით კომუნისტურ წრეებში, რომ ლორთქიფანიძემ დიპლომატობით „მოატყუა“ ბოლშევიკები. ეს გარეშეებთან სთქვეს არა ერთხელ და ორჯერ ენუქიძემ, ორახელაშვილმა და სხვებმა.

დ.შარაშიძე.

სტამბოლი 27 ოქტომბერი 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გედევანიშვილი იოსებ კონსტანტინეს ძე (1872- 1939). სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. რუსეთის არმიის შტაბ-სკაპიტანი და დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალი. 1905- 1923 წლებში იყო სოციალ-ისტ- ფედერალისტთა პარტიის წევრი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ქართული საარმიო კორპუსი. 1918 წლის დასაწყ-ისიდან ხელმძღვანელობდა ბათუმთან მებრძოლ სოციალისტ- ფედ-ერალისტთა შეიარაღებულ რაზმს. 1918 წლიდან იყო სქართვე-ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წლის მარტიდან არჩეული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად. სამხედრო სამსახ-ურის გამო, იმავე წლის 15 აპრილს უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობაზე. 1921 წლის დასაწყისიდან ხელმძღვანელობდა ბორჩალოს მაზრაში ქართულ გარნიზონს. იმავე წლის თებერ-ვალში, შულავერის მიმართულებით დაშვებული სამხედრო შეცდომების გამო ი.გედევანიშვილი თანამდებობიდან გადააყენეს. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ი.გედევანიშვილი „ქართული წითელი არმიის“ შემადგენლობაში მსახურობდა. 1923 წლის 3 მარტს იგი დააპატიმრეს. ხოლო იმავე წლის მაისში პატიმრო-ბიდან გაანთავისუფლეს. ი.გედევანიშვილი 1939 წელს გარდაიცვ-ალა. დასაფლავებულია სვეტიცხოვლის ეზოში.
(იხ. საქართველოს დამფუძნებელი კრება. გვ. 186- 188)

დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე (1883- 1937). დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1900 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1917 წელს იყო წითელი გვარდ-იის (შემდეგში ეროვნული გვარდია) ერთ- ერთი დამაარსებელი და მისი მშენებლობის ორგანიზატორი. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. 1921 წლის თებერ-ვალში იბრძოდა XI არმიის წინააღმდეგ. საქართველოს გასაბ-წოების შემდეგ იგი საქართველოში დარჩა და ანტისაბჭოურ საქმი-ანობას ეწეოდა. 1922 წელს 52 პატიმართან ერთად ალ.დგებუაძე მოსკოვში გაგზავნეს. 1923 წელს არხანგელსკის საკონცენტრა-ციო ბანაკში, ხოლო 1926 წელს ვორონეჟის საკონცენტრაციო

ბანაკში გადაასახლეს. ალ.დგებუაძე სასჯელს იხდიდა მარინსკის, კუზნეცოვსკის, გორნოშორის პატიმართა ბანაკებში. დახვრიტეს 1937 წელს. (იხ. საქართველოს დამფუძნებელი კრება. გვ. 216)

ელიავა შალვა ზურაბის ძე (1883- 1937). საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. 1904 წლიდან სოციალ- დემოკრატიული პარტიის წევრი (ბოლშევიკი). 1905- 1907 წლებში ეწეოდა პარტიულ მუშაობას თბილისში, ქუთაისში, პეტერბურგში... 1917 წლის თებრვლის რევოლუციის პირველ დღეებში აირჩიეს ვოლოგდის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. მონაწილეობდა რუსეთის საბჭოების II და VI ყრილობების მუშაობაში. 1919 წლიდან არჩეული იყო სრულიად რუსეთის ცაკის წევრად, რკპ (ბ) ცკ-ის, რსფსრ სახკომსაბჭოს და სრულიად რუსეთის ცკ- ის თურქესტანის საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ. 1920 წლიდან დაინიშნა რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად ოსმალეთსა და ირანში. 1920 წლის დამლევიდან იყო XI არმიის რევოლუციური საბჭოს წევრი. საქართველოს გასაბჭოება- ოკუპაციის ერთ- ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. 1921- 1923 წლებში იყო გასაბჭოებული საქართველოს სამხედრო- საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი. 1923- 1927 წლებში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. 1927- 1930 წლებში ამიერკავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. 1931- 1935 წლებში სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის მოადგილე. 1936 წლიდან სსრკ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარის მოადგილე. 1937 წელს დახვრიტეს. (იხ. ქსე. ტ. 4. გვ. 125)

ენუქიძე აბელ სოფრომის ძე (1877- 1937). საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. 1897 წელს დაამთავრა თბილისის საშუალო ტექნიკური სასწავლებელი. 1897- 1900 წლებში იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშა. მისი მონაწილეობით 1900 წელს დაარსდა ბაქოს სოციალ- დემოკრატიული ორგანიზაცია. 1905- 1914 წლებში აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწეოდა ბაქოში, დონის როსტოვში, მოსკოვსა და პეტერბურგში. 1917 წლის თებერვალში მონაწილეობდა პეტროგრადის ჯარისკაცთა რევოლუციურ გამოსვლებში. 1917 წლის ოქტომბერში აირ-

ჩიეს პეტროგრადის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის წევრად, სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის დელეგატად, ხოლო 1918 წლის ოქტომბერში სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრად. იყო კომუნისტური პარტიის VI, VIII, IX, XI- XII, XVII ყრილობების დელეგატი, ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი. 1937 წელს დახვრიტეს. (იხ. ქსე. ტ. 4. გვ. 161)

ლორთქიფანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე (1881- 1937). 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია. სწავლა გააგრძელა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო, ხოლო შემდეგ ისტორია- ფილოლოგიის ფაკულტეტზე. რევოლუციური საქმიანობისთვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს. 1907 წლიდან სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის იმავე ფაკულტეტზე. 1911 წელს დააპატიმრეს და ვორონეჟის გუბერნიაში გადაასახლეს. 1918 წლის დასაწყისში დაბრუნდა საქართველოში. 1920 წელს დაინიშნა სამხედრო მინისტრად. პარალელურად იყო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. იმავე წლის დეკემბრიდან განათლების მინისტრად დანიშნეს. როგორც მთავრობის წარმომადგენელი მონაწილეობდა ბოლშევიკებთან 1921 წლის 17- 18 მარტის ქუთაისის მოლაპარაკებაში. გრ.ლორთქიფანიძე ემიგრაციაში არ წასულა. ბოლშევიკებმა იგი დააპატიმრა. ჯერ გადაასახლა, ხოლო 1937 წელს დახვრიტა. (იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918- 1921) ენციკლოპედიური ლექსიკონი. გვ. 248)

ორახელაშვილი ივანე (მამია) დიმიტრის ძე (1881- 1937). ცნობილი სოციალ- დემოკრატი (ბოლშევიკი). რსდმპ (ბ) წევრი 1903 წლიდან. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1908 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო- სამედიცინო აკადემია. 1917 წელს აირჩიეს რსდმპ (ბ) ვლადიკავკაზის კომიტეტისა და საბჭოს თავმჯდომარედ. იყო რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი. 1920- 1921 წლებში საქართველოს კპ (ბ) ცკ- ის თავმჯდომარე და რკპ (ბ) ცაკის კავბიუროს წევრი. აქტიური მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის საქმეში. 1921 წლიდან იყო საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, საქართველოს კპ (ბ) ცკ- ის მდივანი, ამიერკავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. 1923- 1925 წლებში სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1926- 1929 წლებში საკ. კპ ამიერკავკასიის

სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი და გაზ. "ზარია ვოსტოკას" პასუხისმგებელი რედაქტორი. 1931 წლიდან ამიერკავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი. 1937 წელს დახვრიტეს. (იხ. ქსე. ტ. 7. გვ. 553)

სვანიძე ალექსანდრე სვიმონის ძე (1886- 1942). საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. ისტორიკოსი. რსდმპ (ბ) წევრი 1903 წლიდან. იენის (გერმანია) უნივერსიტეტში მოისმინა ისტორიისა და ფილოსოფიის სასწავლო კურსი. 1921- 1924 წლებში მუშაობდა განათლების სახალხო კომისრად, ფინანსთა სახალხო კომისრად, საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრედ. 1924-1927 წლებში იყო გერმანიაში სსრკ- ის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელი, სსრკ- ის საგარეო ვაჭრობის ბანკის სამმართველოს თავმჯდომარე. იყო ძველი აღმოსავლეთის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი და ჟურნალ „Вестник древней истории"- ს პირველი რედაქტორი. (იხ. ქსე. ტ. 9. გვ. 311)

შარაშიძე დავით გიორგის ძე (1886- 1935). დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა ოდესის რეალურ სასწავლებელში. 1904 წლიდან იყო რსდმპ წევრი. რევოლუციური საქმიანობის გამო იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში. დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტი. სამშობლოში დაბრუნებული დ.შარაშიძე 1907 და 1912 წლებში რევოლუციური საქმიანობის გამო დააპატიმრეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. 1918 წლიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ხოლო 1919 წლიდან დამფუძნებელი კრების წევრი. საქართველოს ოკუპაციის (1921 წლის თებერვალი) შემდეგ იგი საქართველოში დარჩა. იმავე წლის სექტემბერში საზღვარგარეთ წავიდა და სტამბოლში ცხოვრობდა. იყო ინტერპარტიული კომიტეტის საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი და აკონტროლებდა არალეგარული ინფორმაციის გადაცემას საქართველოში. 1925 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა საფრანგეთში. გარდაიცვალა 1935 წელს. დაკრძალეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. (იხ. საქართველოს დამფუძნებელი კრება. გვ. 414)


საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1920 წლის ივლისის მონაცემებით.
რუკის ავტორები: გ.გახუჩილაძე.ქ.ქაგანია. თბილისი 1920 წელი
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. 1921 წლის თებერვალ- მარტი


ბზიფი
გუდაუთა
სოხუმი
ოჩამჩირე
ზუგდიდი
ფოთი
ბათუმი
ახალციხე
ქუთაისი
ცხინვალი
ონი
ოზურგეთი
ბორჯომი
ახალქალაქი
ახალციხე
ბორჯომი
ალაგაზი
ბაქათალა
ბოლნისი
ბორჩალო
ელენოვკა
ალექსანდროპოლი
ყარსი
ბაკური
ბორჩალო
ბაკური
ბორჩალო
ბაკური
ბორჩალო



საქართველოს მეორე რესპუბლიკის საზღვრები რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების შემდეგ –1990 წლამდე.

შინაარსი

1. შესავალი ——— 3

2. საქართველოს შევუნარჩუნოთ ბათუმის ოლქი და მომავალი თაობების წინაშე ვიყოთ პირნათელი ——— 5

3. **Kutaisi Negotiation of March, 17-18, 1921. Abstract** ——— 27

დოკუმენტები

4. გრიგოლ ლორთქიფანიძისა და მამია ორახელაშვილის 1921 წლის 16 მარტის სატელეფონო საუბარი ——— 30

5. ქუთაისის 1921 წლის 17- 18 მარტის მოლაპარაკების სტენოგრაფიული ანგარიში ——— 39

6. ქუთაისში 1921 წლის 18 მარტის შეთანხმება შესახებ სამხედრო მოქმედების ლიკვიდაციისა დემოკრატიულ მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის ——— 91

7. დ.შარაშიძე. რამდენიმე შენიშვნა ქუთაისის მოლაპარეკების გამო (მხოლოდ ს.დ. პარტიის წევრებისათვის) ——— 94

8. შენიშვნები ——— 100

9. რუკები ——— 104

7ci
L 3/528
b42718545

შოთა ილიას ძე ვადაჭკორია

ქუთაისის 1921 წლის 17- 18 მარტის საზავო მოლაპარაკება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
სპეციალური
№ 1560 2019 წ.
ეგზემპლარი

თბილისი
2019

საბეჭდი ფაბრი 60 X 84 1/16
სააღრიცხვო- საგამომცემლო 6,75

K 324.603
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ვადაჭკორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ილიას ძე ვადაჭკორია დაიბადა 1951 წლის 20 ივნისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში. 1966 წელს დაამთავრა სოფ. ჭანჭათის არასრული, ხოლო 1968 წელს სოფ. აკეთის საშუალო სკოლა. 1977 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1979 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. 2000- 2006 წლებში მუშაობდა იმავე აკადემიასთან არსებულ პოლიტოლოგიის ინსტიტუტში წამყვანი მეცნიერ- თანამშრომლის თანამდებობაზე. 2006 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის 15 ივნისამდე ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ– თანამშრომელი იყო. 2019 წლის ოქტომბრიდან ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორია. წლების მანძილზე დედაქალაქის სხვადასახვა უმაღლეს სასწავლებლებში ეწეოდა და დღესაც ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 1986 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო, 2002 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ინტენსიურად იკვლევს ქართული პოლიტიკური აზროვნების, ქართული ემიგრაციისა და საქართველოს უახლესი პერიოდის პოლიტიკური ისტორიის სხვა აქტუალურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს 130- ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აქედან 28 წიგნი და ბროშურა, რომელთაგან 12 მონოგრაფიაა. 1)ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიოტიკურ აზროვნებაში. ნაკვეთი I. (1917- 1918 წწ.); 2)ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიოტიკურ აზროვნებაში. (1921- 1923 წწ.); 3)საქართველო- სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში 1918- 1920 წწ.); 4)ქართული სოციალ- დემოკრატია 1917- 1921 წლებში; 5)საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. (XX საუკუნე) წიგნი I; 6)ებრაელთა საკითხი და ქართული სინამდვილე (1921- 1940); 7)საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. (XX საუკუნე) წიგნი II; 8)კოდორის ხეობის დილემა და ქართული საზოგადოებრივ- პოლიტიკური აზრი (1993- 2014); 9)ქართული ეპოსიდან ამოზიდული ლეგენდა (ვალოდია გოგუაძე); 10)საბჭოთა რუსეთთან საქართველოს დამარცხების ზოგიერთი ფაქტორის დაზუსტებისათვის (1921 წლის თებერვალი- მარტი); 11)ოსური სეპარატიზმი და ქართული სინამდვილე (1917- 1925 წწ.); 12)ქართული ემიგრაცია და ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში (1921- 1990). ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

ელექტრონული მისამართი: **shota1951@gmail.com**